ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 1 აგვისტო, 2013 №180 (6181) ფასი: 30 თეთრი

30 ივლისიდან!
„ახალი თაობა“ +
რაინდები და ციხე-კოშკები
ფასი გაზეთთან ერთად
10 ლარი

დღეს ბაჩო ახალაიას გაათავისუფლებენ?!

გვ.3

ილია II: „აფხაზეთიც და ცხინვალიც ძალიან მალე საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდებიან“

გვ.5

პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები 15 აგვისტომდე განადგურდება

გვ.7

გიორგი გუგავა: „ივანიშვილი პასუხისმგებლობას გაურბის“

გვ.2

საია და უჩა ნანუაშვილი თენგიზ გუნავას შეწყალებას აპროტესტებენ

გვ.5

მამუკა არეშიძე: „ივანიშვილს მტრები თავის გუნდში ჰყავს“

გვ.4

საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური გარდაუვალია

გვ.3

პეტრე მამრაძე დევნილების დაბრუნებას ითხოვს

გვ.8

25 ივლისიდან!
„ახალი თაობა“
+
„მგლის ბილიკი“
6 ლარი

ISSN 1987-9385

2 ჯონდი ბაღათურია: „ივანიშვილი პოლიტიკიდან ვერ წავა“

4 გელა ნიკოლაიშვილი: „150-მდე პატიმარი შიმშილობს“

6 „შეიარაღებულ ძალებში კვების უსაფრთხოების თვალსაზრისით საგანგაშო მდგომარეობაა“

7 მამუკა გვაძაბია: „საქართველოს პრემიერი რუსეთთან ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებს“

ჯონდი ბაღათურია: „ივანიშვილი პოლიტიკიდან ვერ წავა“

შორენა გონგლაძე

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია პრეზიდენტის გადაწყვეტილებას თენგიზ გუნავას შეწყალებასთან დაკავშირებით უთავმოყვარეო საქციელს უწოდებს. ამის შესახებ ბაღათურიამ „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. ბაღათურია კრიტიკულად აფასებს ასევე პროკურატურის გადაწყვეტილებას, რომელმაც თავის დროზე გუნავა ბენზინის ტალონების მოპარვის გამო დააპატიმრა.

– გუნავასთან დაკავშირებით სამარცხვინოდ მოიქცა „ქართული ოცნებაც“ და სააკაშვილიც. სამარცხვინოა, როდესაც გუნავას აკავებ ბენზინის ტალონების მოპარვის გამო, როდესაც მას უამრავი მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი. მისი და მისი სტრუქტურების მსხვერპლი გახდა უამრავი ადამიანი და ამის მაგალითია სამეგრელოში აღმოჩენილი სამალავები, – განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

რაც შეეხება აქციებს, რომლითაც არასამთავრობო პრეზიდენტის გადაწყვეტილებას გუნავას შეწყალებასთან დაკავშირებით გააპროტესტებს, ბაღათურია აცხადებს, რომ ის ამ აქციებს არ შეუერთდება.

– გუნავა არ ღირს იმად, რომ აქციები გაუმართოთ, – აცხადებს ბაღათურია.

ბაღათურია ივანიშვილის მიერ პოლიტიკიდან წასვლის შესახებ გაკეთებულ განცხადებასაც გამოეხმაურა. ბაღათურია აცხადებს, რომ ივანიშვილის გადადგომა ასეთ სიტუაციაში დაუშვებელია.

– ივანიშვილი ჰგავს იმ ბრმას, რომელიც ბრმებს მიუძღვის წინ, – ამბობს ბაღათურია. მისივე თქმით, ივანიშვილი არ ფლობს სრულფასოვან ინფორმაციას მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით და, აქედან გამომდინარე, განცხადება მისი პრემიერის პოსტიდან ახალ წლამდე გადადგომასთან დაკავშირებით დაუშვებელია.

– ივანიშვილის განცხადება ახალ წლამდე პოსტიდან წასვლის შესახებ დაუშვებელია. ფაქტია, რომ ივანიშვილი არ ფლობს რეალურ ინფორმაციას ქვეყანაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. ამიტომაც ის აუცილებლად უნდა შეხვდეს არასაპარლამენტო ოპოზიციას. დღეს შექმნილი სიტუაციით კი მას სიბრმავეში ამყოფებენ და ამ ფონზე პრემიერი ჰგავს იმ ბრმას, რომელიც ბრმებს მიუძღვის წინ, – აცხადებს ბაღათურია.

გიორგი ლაღიძე: „სააკაშვილის და ივანიშვილის დაპირისპირება ქვეყნისთვის სახიფათოა“

შორენა გონგლაძე

დაფინანსების ახალი მოდელით უკმაყოფილოა პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ლაღიძე. მისი თქმით, აღნიშნული კანონპროექტის მიღების შემთხვევაში პარტიებს არათანაბარ გარემოში მოუწევთ მოღვაწეობა.

– თქვენ ამბობთ, რომ დაფინანსებას მხოლოდ ის პარტიები მიიღებენ, რომელთა არსებობაც ხელისუფლების ინტერესებში შედის.

– ბოლო პერიოდის განმავლობაში საკმაოდ საინტერესო მოვლენები ხდება. ფაქტიურად, ახალი ხელისუფლება წარმატებით აგრძელებს იმ ტრადიციას, რაც წინა ხელისუფლებამ დანერგა. მათთვის სასურველ პარტიებს ისინი უქმნიან სასათბურე პირობებს და აყენებენ პრივილეგირებულ მდგომარეობაში, მაგრამ ის პარტიები, რომლებიც არ შედიან მათი ინტერესის სფეროში, ექცევიან არათანაბარ პირობებში. ყველამ კარგად ვიცით, რომ პოლიტიკური პარტიის ნორმალური არსებობისათვის საჭიროა ფინანსები, პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში შედის ცვლილებები, რის საფუძველზეც იცვლება დაფინანსების პრინციპი და, ჩემი ინფორმაციით, იმ პარტიებს, რომლებიც უკვე იღებდნენ დაფინანსებას, მათ კიდევ ეზრდებათ დაფინანსება, მაგრამ ის პარტიები, ვინც ვერ გადალახა ბარიერი და არ ჰყავთ პარლამენტში წარმომადგენელი, ლაპარაკია შვიდ სუბიექტზე, ისინი ერთჯერადად მიიღებენ დაფინანსებას 150 ათასი ლარის ოდენობით. მე მოვისმინე ასევე პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, რომ დაფინანსებას მიიღებენ ის პარტიები, რომლებიც იღებდნენ მონაწილეობას და ვერ გადალახეს ბარიერი. რა თქმა უნდა, ეს საკმაოდ ახლოსაა დემოკრატიულ პრინციპებთან, მაგრამ, თუ ეს ასე არ მოხდა, ვთვლი, რომ ეს არის პოლიტიკური ზეწოლა იმ მიზნით, რომ პარტიებმა, რომლებიც არ მოსწონს ხელისუფლებას, შეწყვიტონ არსებობა. ხელისუფლება ამით ცდილობს, მათთვის არასასურველი პარტიები პოლიტიკას ჩამოაშორონ. იმავეს აკეთებდა ნაციონალური მოძრაობა თავის დროზე, როდესაც იყო ხელისუფლებაში. ის აფინანსებდა მხოლოდ მის სატელიტ პარტიებს და ეს კურსი დღემდე გრძელდება. ჩვენ დანიშნული გვაქვს ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქცია ამ საკითხთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრის კანცელარიასთან იმიტომ, რომ მის გარეშე საქართველოში არაფერი წყდება. მართალია, ამ კანონპროექტის ინიციატორი არის ზაქარია ქუცნაშვილი, მაგრამ ივანიშვილი ამ ყველაფერს აძლევს საბოლოო სახეს. ამიტომ ჩვენ ამ საკითხის გარკვევას შევეცდებით პრემიერის კანცელარიასთან და, თუ იქიდან ვერ მივიღეთ დადებითი პასუხი, რა თქმა უნდა, დავიწყებთ აქციებს ქუთაისში პარლამენტთან, რათა ეს შერჩევითი პრინციპები ჩვენს ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ თუ პრეტენზია გვაქვს დემოკრატიაზე, ისინი ვალდებული არიან, პოლიტიკური პარტიები ჩააყენონ თანაბარ პირობებში, სხვა შემთხვევაში ეს ყველაფერი აღქმული იქნება ისე, რომ ხელისუფლება ზეწოლას ახდენს პოლიტიკურ პარტიებზე და მათ უსპობს არსებობის საშუალებას. მოგეხსენებათ, შეტანილია ცვლილებები პოლიტიკურ პარტიათა დაფინანსების შესახებ კანონში და, პრაქტიკულად, ეს პროცესები სერიოზულად არის შეზღუდული, ამასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვმონაწილეობთ საპრეზიდენტო არჩევნებში, კონტროლის პალატა ზუსტად იმ რეჟიმში გვთხოვს ანგარიშებს, რა რეჟიმშიც სთხოვს ანგარიშებს იმ პარტიებს, რომლებიც მონაწილეობენ საპრეზიდენტო არჩევნებში. ამ ანგარიშების დაყენება მოითხოვს ადამიანურ რესურსს და ჩვენ ზუსტად ისე ვართ ვალდებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან, როგორც ყველა ის პარტია, ვინც ფინანსდება ბიუჯეტიდან. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ ვაპირებთ გაჩუმებას, ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვიქნებით ძალიან კრიტიკულები და დავიცავთ ჩვენს ინტერესებს, ეს არის აქ უმთავრესი. მე არ ვაპირებ სირაქლემას პოზიციაში ყოფნას, თუ ხელისუფლებამ ეს ნაბიჯი გადადგა, ეს ყველაფერი იქნება აღქმული ისე, რომ მათ სურთ იმ პარტიების პოლიტიკურ სცენიდან გაქრობა, ვინც მათ ინტერესებში არ შედის. როგორც აქედანვე ირკვევა, პრემიერ-მინისტრი საერთოდ აპირებს პოლიტიკიდან წასვლას. რადგან ეს ინფორმაცია გაჟღერდა, კიდეც უნდა ველოდოთ მის შესრულებას, თუმცა ეს ყველაფერი ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს ტოვებს, რაზეც პასუხს საზოგადოება ამ ხელისუფლებას აუცილებლად მოსთხოვს.

– რამდენად გამართლებული იქნება პრემიერის პოლიტიკიდან წასვლა?

– დიდი ხანია, კოალიციის შიგნით დაწყებულია ბრძოლა, ისინი არ არიან ერთი იდეის გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური ძალა. აქედან გამომდინარე, მოგეხსენებათ, რესპუბლიკურ პარტიას გაჩნია საკუთარი მიზნები, ალასანიას საკუთარი და ასე შემდეგ. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ კოალიცია დღეს თუ ხვალ დაიშლება, ეს ასეც მოხდება მაგრამ, თუ ბიძინა ივანიშვილი არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წავიდა, ეს შეასრულებს კატალიზატორის როლს და დააჩქარებს კოალიციის დაშლის პროცესს. რაც შეეხება ივანიშვილის წასვლის მიზანშეწონილობის საკითხს, ამ დრომდე საქართველოში არანაირი მნიშვნელოვანი პროცესები არ მომხდარა, სასიკეთოდ არაფერი არ შეცვლილა, მაგრამ თუ მას უნდა, რომ პროცესებს დააკვირდეს გვერდიდან, მე ვფიქრობ, ეს არ არის საკითხისადმი სწორი მიდგომა, თუ პოლიტიკურმა გუნდმა, ლიდერმა აიღო პასუხისმგებლობა, მაშინ ეს პასუხისმგებლობა უნდა გაითავისოს კიდეც. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ივანიშვილის განცხადება პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე აღქმულია, როგორც უპასუხისმგებლო განცხადება. ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში „ქართული ოცნების“ რეიტინგი საკმაოდ დაეცა, მათ ვერ შეასრულეს ის, რაც დაჰპირდნენ ხალხს და მათი ყველაზე დიდი შეცდომა არის ის, რომ ჰყავთ ისეთი კადრი, რომელიც საზოგადოებაში ბადებს ბევრ კითხვის ნიშანს. ასევე მძიმე სიტუაციაა რეგიონებშიც, აქედან გამომდინარე, მათი რეიტინგი, ფაქტიურად, დამოკიდებულია ივანიშვილის რეიტინგზე. თუ ივანიშვილი ჩამოშორდა კოალიციას, ყველასათვის ნათელია უკვე, როგორც განვითარდება პროცესები. ავიღოთ თუნდაც მათი პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც, ფაქტიურად, ურეიტინგოა, როგორც ცალკე აღებული პიროვნება, აქედან გამომდინარე, მე არ ვიცი, ვის რაში აწყობს ასეთი ურეიტინგო ფიგურის არჩევა პრეზიდენტად, მაგრამ ამას აქვს ის დატვირთვა, რომ სუსტი ფიგურის მართვა გაცილებით იოლია, ვიდრე სხვა რომელიმე ძლიერი ფიგურის. რაც შეეხება ბატონ პრემიერს, მან აიღო პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, რაც ჯერჯერობით არ ხორციელდება, ამიტომ ის ამ პასუხისმგებლობას არ უნდა გაექცეს. მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ივანიშვილი პასუხისმგებლობას გაურბის.

– ხელისუფლება ამბობს, რომ ქვეყანა ნორმალური განვითარების კურსს იღებს. ამაში რამდენად ეთანხმებით?

– დღეს რაც საქართველოში ხდება, ეს არის გააფთრებული ბრძოლა ორ პიროვნებას შორის, რაც ქვეყნის ნორმალურ განვითარებას ნამდვილად ვერ წაადგება. საზოგადოებას სჭირდება ეკონომიკის განვითარება და არა პოლიტიკური ოპონენტების არაფრისმომცემი ლაყბობის მოსმენა. პირველი და უმთავრესი, რითიც ეს ხელისუფლება იწონებდა თავს საზოგადოების წინაშე, ესაა სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაწყება, თუმცა ქვეყანაში დღემდე შერჩევითი სამართალია და არანაირ სამართლიანობის აღდგენასთან არ გვაქვს საქმე.

გიორგი გუგავა: „ივანიშვილი პასუხისმგებლობას გაურბის“

შორენა კოწოწაშვილი

ლეიბორისტი გიორგი გუგავა ფიქრობს, რომ თუ პოლიტიკური და სოციალური ფონი შენარჩუნდა ისეთივე მძიმე, რაც დღეს არის ქვეყანაში, საზოგადოება საერთო სახალხო ამბოხებამდე მივა.

შალვა ნათელაშვილის თანაპარტიელის აზრით, პარტიების დაფინანსების უზარმაზარი წილი მიაქვს მილიარდერების პარტიას – „ქართულ ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“, განსაკუთრებით კი „ქართულ ოცნებას“. კოალიციაში შემავალი პარტიებიდან თითოეულს დაფინანსება მინიმუმ ნახევარ მილიონზე მეტი უხდება.

რატომ არ აწყობს ივანიშვილს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები და რატომ შეიძლება დამარცხდეს გიორგი მარგველაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურ მდივან გიორგი გუგავასთან.

– ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებდით საპრეზიდენტო არჩევნების წინ შექმნილ ვითარებას და რა გამოკვეთა მმართველმა გუნდმა იმავე პარტიების დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით?

– პირდაპირ გეტყვით: საარჩევნო სიტუაცია, წინა რეჟიმთან შედარებით, გაუარესდა. ყველაზე სასწაული, რაც შეიძლება მომხდარიყო ამ მოკლე პერიოდში და სასწაული დემოკრატიით გავეკვირვებინეთ ივანიშვილის ხელისუფლებას, სწორედ ეს იყო. დავიწყოთ იქიდან, რომ არანაირი თანაბრობა, არანაირი პარიტეტი და სამართლიანი გარემო ამ შემთხვევაში არ არსებობს. საუბარია იგივე საარჩევნო ადმინისტრაციებთან დაკავშირებით. თუ სააკაშვილის მმართველობის პირობებში 7 პოლიტიკური პარტია იყო წარმოდგენილი საარჩევნო კომისიებში, დღეს ორი პოლიტიკური პარტიაა წარმოდგენილი, ეს არის ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“. ამ ორმა ძალამ გაიყო მთლიანად საარჩევნო კომისიები. ეს კეთდება იმისათვის, რომ შეთანხმებულად, კოჰაბიტირებულად, საჭიროების შემთხვევაში გამოიტანონ და ამ კომისიებმა ისე იმუშაონ, როგორი სურვილიც ექნება „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას. ასევე იცით, რომ მანამდე გვქონდა საშუალება, უფასო ტელერეკლამები განგვეთავსებინა ტელევიზიებში არჩევნების წინ. ასევე გვქონდა თანაბრობის პრინციპი იმავე დაფინანსებასთან დაკავშირებით. როგორც ხედავთ, ამ ბოლო გადაწყვეტილებითაც ქარავასლური, ვაჭრული დამოკიდებულება გააჩნიათ იგივე პარტიებთან მიმართებით, როდესაც კაპიკები გადმოუგდეს ლეიბორისტულ პარტიას ამ ახალი კანონპროექტით და, სამაგიეროდ, ნულპროცენტიანმა პარტიებმა, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის ფულით მოხვდნენ პარლამენტში, გაიხადეს ნახევარმილიონიანზე მეტი დაფინანსება თითოეულმა, მინიმუმ ოთხი წლის გარანტიით. უფრო მეტიც, თითოეული ფრაქციაზე გაიცემა ბონუსები, ამიტომაც შექმნეს სხვადასხვა ფრაქციები. ასე რომ, საბონუსე დაფინანსება ცალკე გაიკეთეს. ამას ემატება მაჟორიტარების 5 000-ლარიანი დაფინანსება ყოველთვიურად თითოეულ დეპუტატზე. რომელ თანაბრობაზე და რომელ სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზეა ლაპარაკი, როდესაც ასევე ადმინისტრაციული რესურსის შეზ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ტური გარდაუვალია

ქართველ ხალხს არ უნდა კოჰაბიტაცია და არც ნაციონალური მოძრაობის დაფინანსება

ნათია ხურცილავა

პრესკლუბ „მედიაინფოში“ გუშინ პრესკონფერენცია გაიმართა. „თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა პოლიტიკური სისტემის რეფორმირების აუცილებლობაზე ისაუბრა. შაშიაშვილი ამბობს, რომ ქვეყანას სჭირდება პოლიტიკოსად აღიარების ნათელი სისტემა. როგორც ჩანს, შაშიაშვილი არჩევნებს ამ კონტექსტში არ განიხილავს.

– ამ პოლიტიკოსებით, ამ პოლიტიკური ფილოსოფიით, ამ პოლიტიკური აზროვნებით და ამ პოლიტიკური პარტიებით საქართველოს მომავალი არა აქვს. ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკოსების პირობებში ქვეყნის დიდ მომავალზე საუბარი შეუძლებელია. ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუძლებდა გარედან მართულ პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების ასეთ რაოდენობას. ვერც ერთი ქვეყანა ვერ გაუძლებდა ასეთ აგრესიულ და დემაგოგიურ პოლიტიკურ პროცესებს და ასეთ დემაგოგ და აგრესიულ პოლიტიკოსებს. პოლიტიკოსებმა კარგად ვისწავლეთ ხალხის ენაზე საუბარი. კარგად ვისწავლეთ ისეთი პოზის დაჭერა, თითქოს ვუსმენთ ხალხს, მაგრამ აშკარაა, რომ პოლიტიკოსთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ გვესმის ხალხის. დემაგოგიის მწვერვალია, როდესაც ხალხის ენაზე ლაპარაკობ, მაგრამ აბსოლუტურად არ გესმის ხალხის, – აცხადებს შაშიაშვილი.

„თეთრების“ ლიდერი პოლიტიკოსად აღიარების სისტემის საჭიროებაზე საუბრობს. ის იქვე იმაზეც მიანიშნებს, რომ მისი ეს იდეა შეიძლება პოლიტიკოსების დიდი უმრავლესობის მიერ იგნორირებული იქნას.

– ქვეყანას პოლიტიკოსად აღიარების სისტემა სჭირდება. პარტიას შეფასების კრიტერიუმი სჭირდება. პოლიტიკოსად თვლიან ადამიანები თავს, რომლებიც საქმეში არავის უნახავს. ამ ადამიანებმა პოლიტიკა ბიზნესად აქციეს. ეს დამღუპველია. დრო არ ითმენს. დღეს სრულიად სხვა ფილოსოფიისა და მომავალზე ორიენტირებული პროცესია საჭირო. მე ამ განცხადებას პოლიტიკური პარტიებისთვის კი არ ვაკეთებ, ხალხისთვის ვაკეთებ, – ამბობს „თეთრების“ ლიდერი.

შაშიაშვილმა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზეც ისაუბრა. ის ფიქრობს, რომ 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება.

– საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები იქნება, უნდა თუ არა ეს ბიძინა ივანიშვილს. არ არის გამორიცხული, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და ადგილობრივი არჩევნები ერთდროულად ჩატარდეს. სწორედ მიმდინარე წელზეა დამოკიდებული, როგორ გამოვა ქვეყანა კრიზისიდან და როგორ სიტუაციას მივიღებთ. რეალურად დღეს უმძიმესი სიტუაცია გვაქვს. შეიძლება, რომ პარტია ეწოდოს იმას, რომელიც ქვეყნის გარედან იმართება? ან პარტიას, რომელიც ბიზნესშია ჩართული?

თემურ შაშიაშვილი საარჩევნო კოდექსზე საუბრობს. მისი განცხადებით, დაფინანსება მიიღეს იმ პარტიებმა, რომლებმაც ყველაზე მეტად მოატყუეს ამომრჩეველი.

როგორც „თეთრების“ ლიდერი ამბობს, მისმა პარტიამ და ბურჯანაძის პარტიამ ვერ მიიღეს დაფინანსება.

– ვინც ყველაზე მეტად მოატყუა ხალხი, იმან მიიღო ყველაზე მეტი დაფინანსება. „რას აკეთებს „ქართული ოცნება“, როდესაც ნაციონალური მოძრაობის დაფინანსებას ორი მილიონით ზრდის. ფინანსდება მატყუარა, დემაგოგი პარტიები, ფინანსდებიან პარტიები, რომლებიც ბიზნესში არიან. რომლებიც ქვეყნის გარედან იმართებიან. ამას აკეთებს დღეს „ქართული ოცნება“. ხელისუფლებამ ორად ორი პარტია არ დააფინანსა ეს არის „თეთრები“ და ნინო ბურჯანაძის პარტია. ამ ორი პარტიის გარდა, ყველას მისცა ფინანსები. „სახალხო კრება“ 26 მაისის სათავეებთან იდგა, რომ არა 26 მაისი, საქართველოში არავითარი ცვლილებები არ მოხდებოდა და უმძიმეს პირობებში ვიქნებოდით. ის ორი პარტია, რომელიც „სახალხო კრებაში“ იყო წარმოდგენილი, იმ ინტელექტუალებს, რომლებსაც ხალხი უსმენს, უთხრეს – თქვენ არაფერი ხართ. ქართველ ხალხს არ უნდა კოჰაბიტაცია და არც ნაციონალური მოძრაობის დაფინანსება, – ამბობს შაშიაშვილი.

„თეთრების“ ლიდერი საპრეზიდენტო არჩევნებზე კომენტარს აკეთებს. როგორც ის ამბობს, არჩევნების მეორე ტური გარდაუვალია.

– პრეზიდენტობის ვერც ერთი კანდიდატი პირველ ტურში ვერ გაიმარჯვებს. თუ გაიმარჯვებს, ეს იქნება იმის ნიშანი, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებს აყალბებს. რადგან ვერ გაიმარჯვებს, აწყობთ, რომ მეორე ადგილზე ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი გავიდეს. ეს არის მათი იდეოლოგია. არ მინდა ვიფიქრო, რომ ეს ყველაფერი ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა იცის. მესმის, რომ მას პოლიტიკიდან წასვლა უნდა. რადგან, რაც ნახა მის ირგვლივ და რასაც ხედავს ქვეყანაში, ის ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ქვეყანაში მსგავსი რამ შეიძლება მომხდარიყო. მაგრამ ეს მისი შეცდომების ბრალია, ეს გუნდი მან აარჩია, – ამბობს შაშიაშვილი.

თემურ შაშიაშვილი პრემიერ-მინისტრს უწუნებს ერთ-ერთ უცხოური გამოცემისთვის მიცემულ ინტერვიუში გაკეთებულ განცხადებას.

– 10 მილიარდი ეკონომიკის აღორძინებისთვის უნიკალური პროგრამაა. ეს არის ქვეყნის გადარჩენის პროგრამა, მაგრამ საკაშვილი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ეს პროგრამა ჩაშალოს. სააკაშვილი ამბობდა, რომ საქართველოს სინგაპურიზაცია უნდა მოხდეს, ივანიშვილი ამბობს, რომ დუბაიზაცია უნდა მოხდეს. საქართველო საქართველო უნდა იყოს, – განაცხადა შაშიაშვილმა.

დღეს ბაჩო ახალაიას გაათავისუფლებენ?!

ნათია ხურცილავა

გაათავისუფლებს თუ არა საქალაქო სასამართლო პატიმრობიდან ბაჩო ახალაიას? საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ვერდიქტი სწორედ დღეს გახდება ცნობილი. საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი დარახველიძე ახალაიას პატიმრობაში დატოვებს ან თავისუფლებას დაუბრუნებს.

დარჩება თუ არა პატიმრობაში თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი თუ ერთგვარი სენსაციური გადაწყვეტილების მოწმენი გავხდებით?

ბაჩო ახალაიამ, გიგი კალანდაძემ და მათთან ერთად ბრალდებულმა სხვა პირებმა 27 ივლისს გამართულ სასამართლო სხდომაზე დასკვნითი სიტყვები წარმოთქვეს. ბაჩო ახალაია დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას მხოლოდ რამდენიმე წინადადებით შემოიფარგლა, სწორედ მაშინ განაცხადა მან, რომ მისი უდანაშაულობის დამტკიცება მისმა დაცვის მხარემ მოახერხა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს მოსამართლე? როგორი იქნება პროკურატურის პოზიცია? ეს დღეს გახდება ცნობილი საზოგადოებისთვის.

მოსამართლეს განაჩენი 7 აგვისტომდე უნდა გამოეტანა.

პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში 10:00 საათზე დაიწყება.

როგორც ცნობილია, საქმე ეხება სამხედრო მოსამსახურეებისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების, თავისუფლების აღკვეთის ეპიზოდებსა და ზვიად აბესაძესთან დაკავშირებულ ეპიზოდს, როდესაც მას, პროკურატურის ინფორმაციით, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და თავისუფლება აღუკვეთეს.

ბაჩო ახალაიასთან ერთად აღნიშნულ პროცესზე ბრალდებულების გიორგი კალანდაძის, ალექსანდრე გორგაძის, ზურაბ შამათავას, მერაბ კიკაბიძის, მანუჩარ დარასელიასა და გიორგი კინწურაშვილის საქმეები განიხილება, თუმცა მათგან დარასელია და კინწურაშვილი მიმალვაში არიან და, შესაბამისად, პროცესს არ ესწრებიან.

ბაჩო ახალაიას ერთ-ერთი ადვოკატი გიორგი ონიანი დარწმუნებულია, რომ სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას და ბაჩო ახალაიას სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლებს.

გიორგი გუგავა: „ივანიშვილი პასუხისმგებლობას გაურბის“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ღუდვა არ აიკრძალა კანონმდებლობით; ასევე სავალდებულოს არ ხდიან ამომრჩევლის მონაწილეობას არჩევნებში; ასევე გაზარდეს ამომრჩეველთა სია. გახსოვთ. ალბათ, იგივე კოალიციის წარმომადგენლებს რა ამბავი ჰქონდათ ატეხილი და სწორადაც და ამტკიცებდნენ იმას, რომ ამომრჩეველთა სია მილიონით იყო გაზრდილი. ნაცვლად იმისა, რომ ამომრჩეველთა ზუსტი სია დადგენილიყო, კოალიციის გადაწყვეტილებით, ამომრჩეველთა სია საქართველოში, სამწუხაროდ, გაიზარდა. ყველა ამ გარემოების გათვალისწინებით, ცხადი ხდება, რომ საარჩევნო მდგომარეობა საქართველოში არის გაუარესებული. თუ ასე გაგრძელდა, ბუნებრივია, არალეგიტიმური იქნება ეს საპრეზიდენტო არჩევნები. ეს ყველაფერი ხდება იმისათვის, რომ კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატს არ აქვს შანსი იმისა, რომ არჩევნების პირველივე ტურში გაიმარჯვოს. ამიტომ საპარლამენტო უმრავლესობამ ყველა საშუალება ჩართო იმისათვის, რათა ამ მეთოდებით როგორმე გაათრიონ გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურა.

– პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ გააკეთა მედიით განცხადება პრემიერის პოსტიდან წასვლის თაობაზე და ვადაც დააკონკრეტა. ივანიშვილი ამბობს, რომ ის პრემიერის პოტს ახალ წლებში დატოვებს. არის ეს ნაციონალებისთვის იმის სიგნალი, რომ მათ ხელისუფლებაში მოსვლის შანსი კიდევ აქვთ?

– ეს იმის დასტურია, რომ პრემიერი ივანიშვილი პასუხისმგებლობას გაურბის. წინასაარჩევნოდ, ბუნებრივია, მან უხვად ჩამოარიგა დაპირებები, რომლის შესრულებასაც არ აპირებს. როდესაც დგება პერიოდი ოცნებების მსხვრევისა, როდესაც დგება პერიოდი წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებისა, ივანიშვილს არ უნდა, ეს პასუხისმგებლობა ჰქონდეს. პრემიერს უნდა, ჩუმად, დენსიაოპინივით ან დალი ლამასავით იყოს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებული და რეალურად თავად მართავდეს პოლიტიკურ პროცესს ქვეყანაში ანუ დასვას მარიონეტები პარლამენტში, მარიონეტი დასვას პრეზიდენტის და პრემიერის პოსტზე და თვითმმართველობაში, ხოლო რეალურ მმართველად და პოლიტიკური პროცესების დირიჟორად თვითონ მოგვევლინოს. ივანიშვილს უნდა, რომ მასზე არანაირი პასუხისმგებლობა არ იყოს, თან ეს ხდება იმ დროს, როცა ხალხში უკვე მასობრივად დაიწყო უკმაყოფილება. ხალხი მაღე მოსთხოვს ივანიშვილის დაპირებების შესრულებას. ამიტომ ის უკვე იმაზე ფიქრობს, რომ ფორმალური თანამდებობა არ ჰქონდეს და პასუხისმგებლობაც აირიდოს. შესაბამისად, ის შეეცდება, კულუარებიდან მართოს პროცესები. ამაზეა ეს გათვლილი და მეტზე არაფერზე. თუ მიდის, კეთილი ინებოს და ხელს გააყოლოს მის მიერ მოყვანილი ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი და ანტისოციალური ძალები, რომლებიც დაკავებული არიან ფულებისა და ბიზნესის განაწილებით; დაკავებული არიან საკუთარი ნათესავებისა და ახლობლების თანამდებობებზე დანიშვნით. აი, ამას ემსახურება ივანიშვილის განცხადებები და ამის გაკეთებას აპირებს. ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლა იყო ერთგვარი ბიზნესგადათამაშება, როდესაც ამის სანაცვლოდ მან სერიოზული ბიზნესგარიგებები განახორციელა რუსეთში, რომელიც ძალაში წლის ბოლოს შედის. როდესაც ივანიშვილი რუსეთში ამ ბიზნესგარიგებიდან 2 მლრდ-ს „დაირტყამს“, ამის შემდგომ, როგორც გითხარით, საკუთარი ქონებისა და ბიზნესების მართვაზე გადავა. როგორც იცით, მან ბიზნესები დაიბრუნა და ყველაზე წარმატებული საქართველოში სწორედ ივანიშვილის ბიზნესებია. ივანიშვილის კომპანიებმა მისი ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ მილიარდამდე მოგება ნახეს. ლოგიკურია, რომ ივანიშვილს არ სჭირდება აღელვებული და გაჭირვებული ხალხის მოთხოვნების მოსმენა. ამიტომ ადგება და კულუარებში გადაინაცვლებს, საიდანაც პოლიტიკური დიქტატის განხორციელებას შეეცდება.

– ივანიშვილის წასვლას საზოგადოებაში უკმაყოფილებას არ გააჩენს? ალბათ, მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩათვლის, რომ ის ივანიშვილმა მოატყუა.

– საზოგადოების უდიდესი და ჯანსაღი ნაწილი დღესაც თვლის, რომ ის მოატყუეს. სისტემა, რეჟიმი, მძარცველური პოლიტიკა შენარჩუნებულია, რაც ბოლო ცხრა წლის მანძილზე გრძელდებოდა. აქედან გამომდინარე, სწორედ ამ უკმაყოფილებასა და მოსალოდნელ წინააღმდეგობას გაურბის. ამის გამო იხსნის ივანიშვილი პასუხისმგებლობას.

– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება ივანიშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდგომ გარდაუვალი იქნება?

– ბუნებრივია, ბიძინა ივანიშვილს არ სურს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, კოჰაბიტირებული მდგომარეობა აწყობს და სურს, ასეთი მონა-მორჩილი პარლამენტი ჰყავდეს. ეს არ არის სურვილი ქართველი ხალხისა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, უნდა ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ამის გარანტი ვერანაირად ვერ იქნება ბიძინა ივანიშვილის გუნდი, ამის გარანტი იქნება შალვა ნათელაშვილი პრეზიდენტის რანგში.

– ანუ, თქვენი აზრით, „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი მარგველაშვილი საპრეზიდენტო არჩევნებს ვერ მოიგებს.

– კოალიციის კანდიდატმა საპრეზიდენტო არჩევნები ვერ უნდა მოიგოს, იმდენად, რამდენადაც ის არის ურეიტინგო. ხალხი ამას მშვენივრად გრძნობს. ის არის, ასე ვთქვათ, ჩებურაშკა და სათამაშო მავანის ხელში. ამდენად, ვფიქრობ, მარგველაშვილს საპრეზიდენტო არჩევნების მოგების შანსი არ აქვს, მით უმეტეს, საზოგადოებაში უკმაყოფილება იზრდება მასობრივად. აქედან გამომდინარე, შემოდგომაზე, თუ საზოგადოება სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს, დარწმუნებული ვარ, საპრეზიდენტო არჩევნებს კოალიციის კანდიდატი წააგებს.

– პრემიერი აცხადებდა, რომ ის მხოლოდ მაშინ დატოვებს პოსტს, როცა სახელმწიფო ინსტიტუტები გამართულად იფუნქციონირებენ. ამ კუთხით წინსვლა იგრძნობა? წლის ბოლოს იქნება იმის ვითარება, რომ „ქართული ოცნების“ ლიდერი ხელისუფლებიდან განზე გადგეს და სამოქალაქო სექტორში გადავიდეს?

– რა თქმა უნდა, ბლეფია. სისტემურად ქვეყანაში არაფერი შეცვლილა უკეთესობისკენ, თუ არ გაუარესდა. დღესაც პოლიტიზებული პოლიციაა და ანტისოციალური პოლიტიკა. ისევ მიმდინარეობს გაჭირვებული მოსახლეობის გამოსახლება საცხოვრებელი ფართებიდან. ბიზნესი ისევ დატერორებულია. ფასები ისევ იზრდება. ისევ მონოპოლიური მდგომარეობა ბიზნესში და ისევ მიმდინარეობს მოსახლეობის ძარცვა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, ახალ წლამდე კი არა, ამათ ხელში არაფერი არ შეიცვლება იმდენად, რამდენადაც თვითონ სახელმწიფო პოლიტიკაა ასეთი. ივანიშვილმა უკვე დაიბრუნა ქონება, ბიზნესი, მისი ბიზნესი წავიდა მოგებაზე და არანაირი პასუხისმგებლობის აღებას არ აპირებს. ბუნებრივია, ის არანაირად არ ფიქრობს იმ დანაპირების შესრულებაზე, რომელიც უხვად არიგა არჩევნების წინ. მას უნდა, შუშის აკვარიუმიდან მარიონეტების ხელით მართოს ქვეყანა, რა სისტემურ ცვლილებაზე მელაპარაკებით. აბა, ჰკითხეთ ადამიანებს, რომლებიც უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურებიდან პოლიტიკური ნიშნით, რა შეიცვალა მათთვის? არაფერი. 850 პედაგოგი იყო გათავისუფლებული ბოლო წლებში პოლიტიკური ნიშნით. ერთი მასწავლებელიც არ დაუბრუნებიათ სამსახურში, იცით თუ არა?! ერთი რიგითი ადამიანი დამისახელეთ, რომელსაც წინა ხელისუფლებამ ქონება წაართვა და ამათ დაუბრუნეს. ასეთი არ არსებობს.

– იზიარებთ იმათ მოსაზრებას, ვინც ფიქრობს, რომ კოაბიტაციის პროცესში ნაციონალები თავს კომფორტულად გრძნობენ?

– რა თქმა უნდა, კომფორტულად არიან. ივანიშვილსაც აწყობს ოპოზიციად ნაციონალები. ამიტომ ხდება მათ შორის შეხვედრები და გარიგებები. იმიტომ აწყობს, რომ ნაცმოძრაობა არის დისკრედიტებული ძალა და ასეთთან ოპონირება მისთვის იოლია. ამიტომაც აძლიერებს ნაციონალებს ფინანსურადაც და სხვა მხრივაც. 1 ოქტომბერს მოხდა დეკორაციების ცვლილება და არა რეალური სისტემური ცვლილება. ამიტომ, თუ ეს ვითარება არ შეიცვალა და ეს კოაბიტირებული ძალები არ გამოვდევნეთ პოლიტიკური ველიდან, მომავალ წლებში უფრო უარესი გველოდება. თუ ასე გაგრძელდა, საზოგადოება საერთო სახალხო ამბოხებამდე მივა. ამას ნუ გამორიცხავთ. ამის ხელშემწყობი ფაქტორიც არის კატასტროფული სოციალური მდგომარეობა. ასეთი უკიდურესი გაჭირვება არ ყოფილა ქვეყანაში დიდი ხანია. ეს ყველაფერი ერთობლიობაში განაპირობებს იმას, რომ ამათ საზოგადოება შესაბამის ადგილს მიუჩენს. სამწუხაროდ, ამათ ხელში ჩვენ უკეთესი პერსპექტივა არ გველოდება.

– რა შანსები აქვს ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატს? უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი გიგა ბოკერია აცხადებს, რომ წინ საკმაოდ მწვავე საარჩევნო პროცესი გველის.

– ნაციონალურ მოძრაობას არანაირი შანსი არ აქვს, რომ გადარჩეს, მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილი ხელოვნურ სუნთქვას უტარებს. ამიტომ ნაცმოძრაობა პოლიტიკურ ველზე მოღვაწეობას ვეღარ განაგრძობს. მათი მთავარი მაცოცხლებელი დღეს სწორედ ივანიშვილის ხელისუფლებაა. მას აწყობს, ნაცმოძრაობა გადარჩეს. ამას ოცნებაში არ მალავენ და აცხადებენ, ქართული დემოკრატიის ფუნქციაა, გადავარჩინოთ ნაციონალური მოძრაობაო.

– დაბოლოს, თქვენ თქვით, რომ პრემიერს ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება არ აწყობს, თუმცა მედიაში 50-კაციანი სიაც კი გავრცელდა, რომელიც დღევანდელი პარლამენტარებისგან დარჩება.

– ივანიშვილმა რესპუბლიკელები კბილებით დაიცვა და პირდაპირ განაცხადა, არანაირი ვადამდელი არჩევნები არ იქნებაო. ახალ არჩევნებში ვერც ნაციონალები და ვერც ოცნება იმდენივე მანდატს ვერ აიღებენ, რაც დღეს აქვთ. ამიტომ არც ერთს ვადამდელი არჩევნები არ აწყობს.

მამუკა არეშიძე: „ივანიშვილს მტრები თავის გუნდში ჰყავს“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ექსპერტთან კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძესთან

— ბატონო მამუკა, თქვენთვისაც ცნობილია, რომ საზოგადოებაში თანდათან მატულობს უკმაყოფილება „ქართული ოცნების“ მიმართ. საუბარია იმაზეც, რომ ვერ გაამართლეს ამომრჩევლის იმედები. რა ხდება, გადაჰყვნენ ამ კოჰაბიტაციას თუ რასთან გვაქვს საქმე?

— ეს ცოტა ზედაპირული შეფასებაა, ალბათ, უფრო ღრმად უნდა ჩავიხედოთ საგანში, თუ რის გამო ხდება ეს ყველაფერი და საერთოდ რატომ დაიწყო ეს კოჰაბიტაციის პროცესი. კოჰაბიტაცია რომ თავს მოხვეული პროცესია, ეს ხომ ფაქტია. ეს არ იყო სურვილი და პოზიცია გამარჯვებული კოალიციის. შეიძლება ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება თვლიდა, რომ ფორსირებულად სამართლის აღდგენა ქვეყანაში გარკვეულ დაძაბულობასა და სამოქალაქო დაპირისპირებას გამოიწვევდა, მაგრამ, სხვა მხრივ, ძირითადად ეს არის დასავლეთის მოთხოვნა და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების. მიზეზიც ალბათ გასაგებია, მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა, ეს იყო ამერიკული პროექტი და ბუნებრივია მათ არ აწყობდათ, რომ ეს პროექტი ესე უსახელოდ დამარცხებულიყო. გარდა ამისა მათ ასევე არ აწყობდათ, რომ პროდასავლური ძალები დამარცხებულიყვნენ არც თუ მყარი ორიენტაციის მქონე გამარჯვებულ პროდასავლურ ძალებთან. რას აირჩევდა ბიძინა ივანიშვილი, რუსეთთან დაახლოების თუ რუსეთთან კონფრონტაციის გზას, ეს ჯერ კიდევ უცნობი იყო. აი, ამან განაპირობა გარკვეულწილად ამ კოჰაბიტაციის მოვლენის გაჩენა. რაც დრო გადის, ეს დასავლეთის ზეწოლა უფრო და უფრო იზრდება და, საბოლოო ჯამში, ვიღებთ კოჰაბიტაციის იმ ფორმას, რომელიც ჩვენ გვაქვს. ახლა ყველაფერი, ამის გარდა, არის სხვა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც თვითონ კოალიციის ზოგიერთი წევრის კომფორტულობაზე მეტყველებს ამ კოჰაბიტაციის რეჟიმში.

— უფრო კონკრეტულად რას გულისხმობთ?

— მე არ მინდა ახლა სახელებითა და გვარებით ვილაპარაკო, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ნაწილი კოალიციის წევრებისა, კომფორტულად გრძნობს თავს, იმიტომ რომ, მათ უცებ იგრძნეს, ნაციონალური ბიზნესსტრუქტურები, ზოგ შემთხვევაში მათზე გახდა დამოკიდებული ანუ მათ შეუძლიათ, ყოველგვარი ექსცესების გარეშე მართონ ან ჩაერიონ ამ ბიზნესსტრუქტურების მართვაში, შემოსავალი მიიღონ სხვანაირად. არის კიდევ სხვა ძალები, რომლებმაც გადაწყვიტეს, თავიანთი პოლიტიკური მომავალი დაეკავშირებინათ ნაციონალური მოძრაობის იმ ძალებთან, რომლებიც, ფაქტობრივად, ფინანსურ რესურსებსაც ფლობენ და, გარდა ამისა, განუდგნენ ნაციონალურ მოძრაობას. ამიტომ კოალიციაში შემავალი ერთ-ერთი პარტია, პრაქტიკულად, რეგიონებში კომპლექტდება ყოფილი ნაციონალებით. ისეთი ოდიოზური ფიგურების მიღებასაც არ ერიდებიან პარტიის რიგებში, რომლის წინააღმდეგაც კონკრეტული რეგიონის მთელი მოსახლეობა არის განწყობილი. მ პარტიას, მაგალითად, გარდაბნის რაიონში თავი შეაფარა ნაციონალური მოძრაობის გადამწყვეტმა უმრავლესობამ, რომელიც რეგიონში იყო. აი, ეს ორი განწყობა გაჩნდა გამარჯვებული კოალიციის რიგებში მყოფ ზოგიერთ ადამიანში. ერთი მხრივ, ფინანსური სარგებელი, მეორე მხრივ, პოლიტიკური სარგებელი. ე.ი. მთლიანად ეს კოჰაბიტაციის პროცესი და მთლიანად ის მდგომარეობა, რომელიც ქვეყანაში შექმნილია, ორიენტირებულია კონკრეტული ადამიანების სარგებელზე და აბსოლუტურად იგნორირებულია საზოგადოებრივი აზრი. დღეს, ისე, როგორც არასოდეს, ერთმანეთს დაშორებულია კოალიცია და საზოგადოება. ზუსტად ეს განაპირობებს იმ განწყობებს, რაც არის გაჩენილი ხალხში. საზოგადოების აზრი, პრაქტიკულად, დღეს არავის არ აინტერესებს. პრინციპში, მეორდება ის, რაც ხდებოდა ნაციონალების დროს, საზოგადოებასთან დაკავშირებით, ოღონდ უფრო რბილი ფორმით ბუნებრივია. ნაციონალების დროს დემონსტრაციულად ხდებოდა საზოგადოებრივი აზრის იგნორირება და საკუთარი აზრის თავზე მოხვევა, დღეს ასე არ ხდება. დღეს ვითომ გათვალისწინება ხდება საზოგადოებრივი აზრისა, მაგრამ ყოვლად უშედეგოდ. სხვათა შორის უნდა გითხრათ, რაც არ უნდა პარადოქსულად უნდა ჟღერდეს, ჯობია ცინიზმი, როგორიც ჰქონდათ ნაციონალებს, ვიდრე უმოქმედობა, როგორიც არის დღეს. იმიტომ რომ, ხელისუფლების უმოქმედობა იწვევს ასეთ განწყობას საზოგადოების ერთ ნაწილში, რომ ყველაფერი შეიძლება და ქვეყანას ქაოსისკენ უბიძგებს. დღეს ჩვენ გვაქვს არნახული დემოკრატია ქვეყანაში, როცა ყველასთვის ყველაფერი შეიძლება და ასეთი ტიპის დემოკრატია, როდესაც არ არსებობს ძლიერი სახელმწიფო კარკასი, ქვეყანას უბიძგებს ანარქიისაკენ. საპრეზიდენტო არჩევნები იქნება მანიშნებელი იმისა, რამდენად მიუშვა მმართველმა კოალიციამ პროცესები და ადგილობრივი არჩევნების წინა პერიოდი იქნება ზუსტად ყველაზე კრიზისული, დღევანდელი ქვეყნისთვის. იმ შემთხვევაში თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა, მე იმედს ვიტოვებ რომ არ გაგრძელდება. ხოლო თუ გაგრძელდა, ძალიან სერიოზული კრიზისის მოწმენი გავხდებით.

— ბატონო მამუკა, საუბარია იმის თაობაზე, რომ შეგნებულად და მიზანმიმართულად მიმდინარეობს ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა. სხვადასხვა პარტიებს თუ თანამდებობებს აფარებენ თავს, თუნდაც ბოლო, თბილისის საკრებულოს მაგალითი რომ ავიღოთ, თქვენი აზრით, რატომ დაუშვეს ეს?

— გამარჯვებული კოალიციის მიერ თავიდანვე დეკლარირებულმა პოზიციამ, რომ ნაციონალურ მოძრაობაში არის საღი ძალები, მმართველ სტრუქტურებში და ჩინოვნიკურ სტრუქტურებში არის საღი ძალები და რომ მათი შენარჩუნება არის აუცილებელი, გამოიწვია ზუსტად ის განწყობები, რაც არის დღეს. საქმე ის არის, რომ მმართველმა კოალიციამ გადაწყვიტა თავისი სიტყვის შენარჩუნება, რომ რაც თქვა, ის შეასრულოს. გახსოვთ, რომ წინასაარჩევნოდ

სულ ამაზე ლაპარაკობდა კოალიცია, რომ დღევანდელ სტრუქტურებში არის საღი ძალები და მათი დარჩენა ხელისუფლებაში აუცილებელია. ეს სიტყვა შეასრულეს და ამ სიტყვამ მოიტანა ის, რაც ხდება დღეს.

— ეს რამდენად სწორი გადაწყვეტილება იყო?

— პრინციპში, მე ამ აზრს არასოდეს ვეთანხმებოდი, ყოველთვის ვამბობდი, რომ ჩვენ უპირობოდ კი არ უნდა შევინარჩუნოთ ის ხალხი, რომელიც არის მმართველ სტრუქტურებში, არამედ ამ ადამიანებმა გარკვეული შემოწმება უნდა გაიარონ, რათა განისაზღვროს მათი დანაშაულის სიმძიმე, იმიტომ რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ისე ააწყო სტრუქტურები, როდესაც ყველა ადამიანი, ყველა იქ მომუშავე, ცდილობდნენ რამეში გაესვარათ. ზოგი ნაკლებად გაესვარათ, ზოგი მეტად, ზოგიც საერთოდ არ გასვრილა. ზუსტად ეს გასვრის ხარისხი იყო ძალიან მნიშვნელოვანი, იმიტომ რომ, რა გამოდის დღეს? განსაკუთრებით კი ძალოვან სტრუქტურებში, ადამიანები, რომლებიც უამრავ დანაშაულს ჩადიოდნენ, დღეს კარნახობენ მოქცევის წესს ადამიანებს, რომლებიც ამ სისტემას ებრძოდნენ. ე.ი. აბსოლუტური ცინიკური დამოკიდებულება შეიქმნა დღეს ქვეყანაში იმ ადამიანების მიმართ, ვინც წლების განმავლობაში ებრძოდა ამ რეჟიმს. ე.ი. პოლიტპატიმრებიც კი, რომლებმაც მიიღეს ეს სტატუსი, დღეს არიან აბსოლუტურად უუფლებო მდგომარეობაში! ეს არის ნონსენსი ნებისმიერ ქვეყანაში, რომ ქვეყანამ აღიაროს პოლიტპატიმრად თავისი მოქალაქე და იმ მოქალაქეს არ ჰქონდეს უფლება თავის თავი დაიცვას. მე აღარ ვლაპარაკობ სხვა ადამიანებზე. ახლა რასაც ამბობს პრემიერი იმის თაობაზე, რომ ადამიანებს ქონება ვერ დაუბრუნდებათ, იმიტომ დააწვება ბიუჯეტს ტვირთად ამ ქონების დაბრუნება ან ბევრჯერ არის გადაყიდული ჩამორთმეული ქონება და რთულია ამ საქმეში გარკვევა, ეს ნაწილობრივ მართალია. მე მესმის ეს ყველაფერი და შემიძლია გავიგო, რომ ამ ყველაფერს დასჭირდება წლები, ასე მარტივად ვერ მოხდება ეს ამბავი და ეს რეალობაა, მაგრამ არის მეორე საკითხი, მე ვიცი უამრავი შემთხვევა, როდესაც ადამიანს წაართვეს ქონება და აქვს მეორე ადამიანს. არც გადაყიდვა მომხდარა და არც ის, რომ კიდევ გასხვისებულიყო ეს ქონება. ამის გაკეთება და ერთი ადამიანის მიერ დაბრუნება ამ ქონების, იმისთვის ვისაც წაართვა, ძალიან მარტივი რამ არის. ამაში რთული არაფერია. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ პრემიერს არასწორ ინფორმაციას აწვდიან იმისთვის რომ სიტუაცია საგანგებოდ არიონ.

— არ არის საქმის კურსში პრემიერი, არ იცის თუ რა პროცესები მიმდინარეობს ქვეყანაში?

— რასაკვირველია. მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, სხვა შემთხვევაში, არ არის ბიძინა ივანიშვილი იმ ყაიდის ადამიანი, რომ შეგნებულად არასწორი ინფორმაცია გაავრცელოს. რასაც აწვდიან, იმას ამბობს. მას სჯერა იმ ადამიანებისა, ვინც ამ ინფორმაციას აწვდის და მე თვითონაც ვხედავ, რომ ხელისუფლებაში, გარემოცვაში არსებობენ ადამიანები, ერთი მხრივ, რომლებიც შეგნებულად ამახინჯებენ ინფორმაციებს და, რასაკვირველია, ვხედავ არაპროფესიონალიზმს. ასევე ვხედავ კიდევ ერთ რამეს — პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე არაღების სურვილს. „ქართულ ოცნებაში“ ბევრია პატიოსანი და წესიერი ადამიანი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ აქვთ ეს თვისება — პასუხისმგებლობის აღება არ უნდათ თავის თავზე. არავის არ უნდა უთხრას პრემიერს, რეალურად რა ხდება ქვეყანაში.

— საყვედურობენ პრემიერს, რომ მას აკლია ხალხთან კომუნიკაცია, ურთიერთობები და მოუწოდებენ, რომ ის გავიდეს საზოგადოებაში და თავად გაიგოს პირველი პირისგან, რეალურად რა ხდება. განა ასე პრობლემურია ეს საკითხი? არ არის შესაძლებელი?

— არა რის პრობლემური, ამის გაკეთებაც შესაძლებელია რასაკვირველია, მაგრამ ჰქონდა ასეთი ტიპის შეხვედრები ბატონ პრემიერს, მაგალითად, ეკომიგრანტებთან, შესაბამისი ბრძანებებიც გაიცა, მაგრამ ამ დავალებებს შემსრულებელი სჭირდება... იცით, რა ხდება მერე? ვთქვათ, შეხვედრა ჰქონდა ბატონ ბიძინას გარკვეულ ჯგუფთან, მაგალითად, სოციალურ ჯგუფთან, რომლებსაც გარკვეული პრობლემები აქვს, შემდეგ იწყება საკითხის შესწავლა. შესწავლილი საკითხი ბიძინა ივანიშვილამდე მიდის ისეთი ფორმით, სპეციალურად არის იქ ყველაფერი აბურდული, რომ ისეთი დასკვნა გააკეთოს შემდგომში პრემიერმა, რა დასკვნასაც აკეთებს.

— გამოდის, რომ შიგნითვე ჰყავს მტერი და მოღალატე?

— შიგნითვე ჰყავს, რასაკვირველია. აბა, სხვანაირად მე ვერ ავხსნი. ის, რომ ბიძინა ივანიშვილის ყაიდის ადამიანი საკუთარ უარყოფით იმიჯზე თვითონ მუშაობდეს, ეს ხომ წარმოუდგენელია? ამიტომ მე სხვა დასკვნის გაკეთების საშუალება არა მაქვს, გარდა იმისა, რომ მის გარშემო არიან ადამიანები, რომლებიც სპეციალურად ქმნიან ისეთ სურათს, რომ ივანიშვილის რეიტინგი დაეცეს, იმიჯი შეირყვნას და თქვას ისეთი რამ, რაც საზოგადოებისთვის აბსოლუტურად მიუღებელია.

გელა ნიკოლაიშვილი: „150-მდე პატიმარი შიმშილობს“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

— ბატონო გელა, თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ, რა ხდება დღეს სასჯელაღსრულების სისტემაში, რატომ აქვთ ამხელა პროტესტი პატიმრებს?

— მე ვფიქრობ, რომ ეს მაინც არის იმის სინდრომი, რომ ფაქტიურად უჰაეროდ მყოფმა ადამიანებმა მიიღეს ზედმეტი ჟანგბადი და ამ ზედმეტი ჟანგბადისგან ისინი გარკვეულ თრობას განიცდიან, გამომდინარე იქიდან, რომ ისინი ვერ ხედავენ, რა შესაძლებლობები აქვს სასჯელაღსრულების დეპარტმენტს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების და რა სცილდება მათი კომპეტენციის ფარგლებს. მაგალითად, არანაირი საშუალება არა აქვს სასჯელაღსრულების სამინისტროს და დეპარტმენტს, რომ მათ განაჩენებს გადახედონ, ან შეკრებითობის ახალი კანონით რამენაირად იმოქმედონ, ან მათ მიმართ წარსულში ჩადენილი ძალადობები გამოიძიონ, ეს ყველაფერი პროკურატურის და სასამართლოს საქმეა. ერთადერთი, რა შესაძლებლობაც მათ აქვთ, არის ის, რომ უფრო ფართოდ გამოიყენონ ვადამდე პირობით გათავისუფლების ე.წ. უდოს მექანიზმი. ამ მოთხოვნაში შეიძლება რაღაცა ლოგიკა იყოს, თორემ დანარჩენი მოთხოვნები ყველანაირ ლოგიკას სცილდება და მე ვფიქრობ, რომ ისინი ამას მალე გაიგებენ. ბევრმა გაიგო უკვე და შეწყვიტა ან არ დაიწყო შიმშილობა. არანაირი აზრი არა აქვს პროტესტი გამოუცხადო სასჯელაღსრულების სამინისტროს და დეპარტმენტს იმ ფუნქციების არშესრულებისთვის, რისი შესრულებაც მათ არ შეუძლიათ და კანონით არ ევალებათ, პირიქით, ეკრძალებათ.

— იმის თქმა გინდათ, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრო არსებულ რეალობას ვერ შეცვლის?

— დიახ, მათ კომპეტენციაში არანაირი ცვლილების შეტანა არ შედის, კანონით ეს მათ აკრძალული აქვთ, ეს არის პროკურატურის ან სასამართლოს პრეროგატივა.

— ამ დროისათვის რა მდგომარეობაა?

— რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, ყველა დაწესებულებაში 150-მდე პატიმარი შიმშილობს. თუმცა ამას არანაირი აზრი არა აქვს, რადგან ამით არაფერი შეიცვლება. როგორც ჩანს, მათ არ აქვთ სწორი ინფორმაცია და როდესაც ისინი გაერკვევიან ვითარებაში, აქციას შეწყვეტენ.

— ბატონო გელა, რაც შეეხება პოლიტიკურ პროცესებს, საუბარია იმის თაობაზე, რომ პრემიერი იანვარში წავა პოლიტიკიდან. ასევე ითქვა ისიც, რომ მისი წასვლის შემდეგ კოალიცია დაიშლებაო და რა პროცესებს უნდა ველოდოთ ქვეყანაში?

— მე ვფიქრობ, რომ ეს არ იქნება კარგი და თვითონაც ალბათ დარწმუნდება, რომ ამ ეტაპზე მისი წასვლა, გარკვეულად არევს სიტუაციას. სანამ ასე მყიფე სიტუაციაა, სანამ ნაციონალები ისევ ხელისუფლებაში არიან და მათ გარკვეული ბერკეტები ისევ აქვთ ხელში და თვითონ კოალიციაშიც არ არის სრული ჰარმონია, რასაკვირველია, მათი დაშლა რეალურია. სწორედ ამის გამო ვფიქრობ, რომ პრემიერიც გააცნობიერებს ამას და ის ამ წლის ბოლოს არ წავა. როგორც მინიმუმ, ადგილობრივი არჩევნების პერიოდიც ალბათ სასურველია, რომ ის იყოს ხელისუფლებაში. მე ვგულისხმობ სადღაც მომავალი წლის ზაფხულამდე.

— კიდევ ერთი წლით უნდა დარჩეს?

— დიახ, მინიმუმ ერთი წლით, მერე სიტუაცია გვიჩვენებს. თუმცა, რა თქმა უნდა, თუ ეს მისი სურვილია, მას ძალით ვერავინ დააკავებს. მე ვფიქრობ, რომ პრემიერი მაინც სიტუაციის მიხედვით იმოქმედებს. როდესაც ეს განცხადება გააკეთა ივანიშვილმა, ისიც აღნიშნა, რომ თუ არ იქნება სიტუაცია, მე ამას არ გავაკეთებო და მე დიდი იმედი მაქვს, რომ ასე მოხდება. წასვლის შემთხვევაში კი ბევრი რამე შეიცვლება, იმიტომ, რომ არ არის ჩამოყალიბებული მყარი პოლიტიკა ხელისუფლებაში, კოალიციაში არ არის ერთობა და სავარაუდოდ მთავარი საფრთხე ისევ იქნება ნაციონალებიდან, რომლებიც, თუ ასეთი ვითარება გაგრძელდა, ადგილობრივ არჩევნებამდე კარგად მოძლიერებულები იქნებიან.

— დღეს საკმაოდ ბევრი ნაციონალი ინიშნება ამა თუ იმ თანამდებობაზე, თუნდაც ბოლოდროინდელი მაგალითი, თბილის საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა რომ ავიღოთ, რატომ აირჩა ხმების უმრავლესობით ყოფილი ნაციონალი საკრებულოს თავმჯდომარედ?

— ეს, რა თქმა უნდა, მეც რ მომწონს, განსაკუთრებით არ მოეწონებათ იმ პირებს, ვინც წლების განმავლობაში, თავიდანვე ედგა ოპოზიციაში ნაციონალებს. ადამიანი, რომელიც თავის დროზე ნაციონალებთან ერთად, მეტად თუ ნაკლებად, ჩადიოდა დანაშაულებს, ან, ყოველ შემთხვევაში, ზურგს უმაგრებდა თავისი სიტყვით და ტაშისკვრით, რასაკვირველია, არ არის მოსაწონი, რომ გარკვეული ხნის შემდეგ ის ახალ ამპლუაში ისევ ხელისუფლებაში მოხვდეს და ტყავი გამოიცვალოს. მე არ ვიცი ახლა, იქ ძალთა განლაგება როგორ არის, როგორც ჩანს, გარკვეულწილად კომპრომისულ ფიგურედ აღიქვეს და მიიღეს საკრებულოს დეპუტატებმა და აქედან გამომდინარე მოხდა მისი არჩევა, თორემ, თავისთავად, გარედან რომ შეხედო, ეს არ არის ლამაზი.

— დიახ, მას ამოუტივტივეს და გაუხსენეს ძველი გამოსვლები, იგივე 7 ნოემბერს, 26 მაისს და ის საკმაოდ კატეგორიული იყო იმდროინდელ ოპოზიციასთან მიმართებაში...

— დიახ, მეც სწორედ მაგას ვგულისხმობდი, რომ დღეს საზოგადოებას ძალიან აღიზიანებს ტყავგამოცვლილი ნაციონალები, რომლებიც საკმაოდ აგრესიულობით გამოირჩეოდნენ და დღეს ოცნების მხარდამჭერებად და დემოკრატებად გვევლინებიან.

„ნოემბრიდან დავით უსუფაშვილი რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე აღარ იქნება“

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი აღარ იქნება. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა თინათინ ხიდაშელმა განაცხადა, ნოემბერიდან დავით უსუფაშვილი რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე აღარ იქნება და ყრილობა ახალ თავმჯდომარეს აირჩევს.

,,ასეთია რესპუბლიკური პარტიის წესი, ტრადიცია და პოლიტიკური კულტურა. ნოემბერში რიგით ყრილობაზე, პარტია ახალ თავმჯდომარეს აირჩევს. ჩვენს პარტიებში თავმჯდომარეები ცას არ ეკიდებიან, თანამდებობისთვის არ კვდებიან და მერე თანამდებობაზე, რომ აღარ არიან, პარტიიდან არ მიდიან. ყველა ყოფილი თავმჯდომარე პარტიაშია,“ — განაცხადა ხიდაშელმა.

მედიანიუსი

ილია II: „აფხაზეთიც და ცხინვალიც ძალიან მალე საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდებიან“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პატრიარქი რუსეთიდან 2 დღის წინ დაბრუნდა. ამ ვიზიტის ფარგლებში ის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსაც შეხვდა. რუსეთის პრეზიდენტისგან პატრიარქმა დევნილების დაბრუნებასთან დაკავშირებით პირობაც მიიღო. საქართველოს პატრიარქი დარწმუნებულია, რომ ვლადიმერ პუტინი თავის სიტყვას შეასრულებს. ამის შესახებ განცხადება უწმინდესმა საქართველოში დაბრუნების შემდეგ გააკეთა. რუსულ მედიასთან საუბრისას კი იმედი გამოთქვა, რომ აფხაზეთი და ცხინვალი მალე საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდებიან.

პატრიარქმა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე განცხადება უკვე რამდენჯერმე გააკეთა. ამან საზოგადოებას გაუჩინა ერთგვარი იმედი, ყველამ კარგად ვიცით, რომ ილია II ისე არაფერს არ ამბობს.

რუსულ გამოცემა „კავკაზსკაია პოლიტიკისთვის“ მიცემულმა ინტერვიუმ ჩვენში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. სოციალურ ქსელებში პატრიარქის ინტერვიუ აქტიურად განიხილება, მასზე კომენტარებს პოლიტიკოსებიც აკეთებენ. განსაკუთრებული აქცენტი დაკარგულ ტერიტორიებზე კეთდება.

– ჩვენ კარგი ურთიერთობა შევინარჩუნეთ აფხაზ და ოს ხალხთან. როგორც იცით, მე ვლადიკავკაზში დავიბადე, იქვე დავამთავრე საშუალო სკოლა და ძალიან კარგად ვიცნობ ოს ხალხს. ეს კეთილი და ნიჭიერი ხალხია. ჩვენ იმდენად ახლოს ვიყავით, რომ ჩვენი სულიერი მამა, ოჯახის სულიერი მამა, ოსი მღვდელი მამა მიხაილ ძაცოევი იყო. რაც შეეხება აფხაზეთს, მე 11 წლის განმავლობაში აფხაზეთის მიტროპოლიტი ვიყავი და არცერთი შემთხვევა არ მახსოვს, ჩვენს შორის რომ სირთულეები ყოფილიყოს. ვფიქრობ, რომ არც ჩიხი არსებობს და არც კედელი. როდესაც ჩვენს წინ კედელს ვხვდებით, მას უნდა შემოვუაროთ, ამ ჩიხსაც უნდა შემოვუაროთ და გასასვლელი კარი ან ფანჯარა ვიპოვოთ, – განაცხადა პატრიარქმა.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები გაწყვეტილია, თუმცა საქართველოს პატრიარქი ხუთი წლის განმავლობაში რჩება საქართველოს ერთადერთ წარმომადგენლად, რომელიც რუსეთში ჩადის და არა მხოლოდ მოსკოვის პატრიარქ კირილს ხვდება, არამედ – ქვეყნის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინსაც.

– საქართველოში კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის გავლენა უპრეცედენტოა. ამერიკული გამოკვლევების თანახმად, მისი რეიტინგი 92%-ზე ქვევით არ ჩამოდის. ხუთი წლის წინ პატრიარქი პირადად ესაუბრა რუსეთის სამხედრო უწყებას და პირადად ჩავიდა საომარი ქმედებების ზონაში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების ცხედრების საქართველოში გადმოსასვენებლად. რუსეთში ვიზიტამდე ილია II კიდევ ერთხელ აღნიშნა, თუ რამდენი რამ აერთიანებთ რუსეთსა და საქართველოს გარდა მართლმადიდებლობისა – მათ შორის კულტურა, ტრადიციები, საერთო ისტორია, პოეტები და საბჭოთა კავშირის თვით ყველაზე გავლენიანი და მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ლიდერი იოსებ სტალინი, – წერს სტატიის ავტორი ნადეჟდა კევორკოვა.

რუსულ გამოცემასთან საუბარში ჩვენი პატრიარქი ამბობს, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობები ხელოვნურად არის დაძაბული.

– პირველ რიგში, მინდა ყველას მივმართო – ის დაძაბული ურთიერთობები, რომელიც საქართველო-რუსეთს შორის წარმოიშვა – ხელოვნურად შექმნილია. მიუხედავად ჩვენ ქვეყნებს შორის არსებული რთული ურთიერთობებისა, ჩვენმა ეკლესიებმა შეინარჩუნეს ძმური, ჩვენმა ხალხმა კი თბილი ურთიერთობები. ჩვენ დიდი სიყვარულით ვხვდებით რუსულ მრევლს და ისინი ესწრებიან ჩვენს ღვთისმსახურებას, თავის მხრივ ქართველებიც ხშირად სტუმრობენ რუსულ წმინდა ადგილებს. დაძაბული ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის დიდხანს არ გაგრძელდება, რადგან რუსეთშიც და საქართველოშიც არსებობენ კეთილი ძალები, რომლებიც გამოასწორებენ ამ გაუგებრობას, – აღნიშნავს ილია II.

რუსულ გამოცემასთან საუბარშია ილია II-მ ისიც აღნიშნა, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება მზად არის რუსეთთან მოლაპარაკებებისთვის.

– ჩემი აზრით, რუსულ მხარესთან მოლაპარაკებების გამართვა სასულიერო პირებსაც და ელიტის წარმომადგენლებსაც შეუძლიათ. ამას ხელს არაფერი უშლის მით უმეტეს, რომ უკვე ათი თვეა, რაც საქართველოს ახალი ხელისუფლება ჰყავს, რომელიც მზადაა მოლაპარაკებებისთვის და ვფიქრობ, ეს მოლაპარაკებები შედგება, მე არ ვაწარმოებ მოლაპარაკებებს, განსაკუთრებით პოლიტიკური რანგის მოლაპარაკებებს. ყოველთვის ღიად ვაფიქსირებ საკუთარ აზრს და ვფიქრობს, რომ დაუშვებელია თვალის დახუჭვა რუსეთსა და საქართველოს შორის შექმნილ სირთულეებზე. მიმაჩნია, რომ ჩვენ ვიყავით ძმები და ძმებად დავრჩებით. მთავარია, ერომანეთისადმი გულწრფელები ვიყოთ. ამას წინათ, მაგალითად, 300 მეტრით გადმოწიეს საზღვარი. რუსეთისთვის ეს არაფერს ნიშნავს, საქართველოსთვის კი ეს ძალიან ბევრია. ამაზე პასუხისმგებელი რუსეთის მხირდან ქვეყნის პრეზიდენტია, საქართველოს მხრიდან კი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი და ისინი უნდა შეხვდნენ და გადაჭრან ეს საკითხები. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მისი დანაწევრება არ შეიძლება. ამას არ დაუშვებს ღვთისმშობელი. ეს დიდი ცოდვაა ღვთის წინაშე. აფხაზეთი და ცხინვალი – საქართველოს ტერიტორიის ნაწილია. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და აუცილებლად ვიპოვით გამოსავალს ამ რთული სიტუაციიდან. ძალიან მიყვარს რუსეთი, სადაც სასულიერო სემინარიაში მივიღე განათლება და აკადემია დავამთავრე, – განაცხადა საქართველოს პატრიარქმა..

„კავკაზსკაია პოლიტიკასთან“ საუბრისას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ასევე განაცხადა, რომ რუს და ქართველ ხალხს არა მხოლოდ მართლმადიდებლობა, არამედ კულტურა აერთიანებს.

– საქართველოს ძალიან უყვარს რუსული კულტურა. ქართველები კითხულობენ და ძალიან უყვარს რუსეთის ლიტერატურა და ფილოსოფია, განსაკუთრებით XIX საუკუნის. მახსოვს, როცა სემინარიისა და აკადემიის სტუდენტი ვიყავი, საბჭოთა პერიოდში ეს ლიტერატურა აკრძალული იყო, თუმცა მაინც ვახერხებდით ამ წიგნების კითხვას, – აღნიშნა ილია II-მ.

ამ ინტერვიუში ჩვენმა პატრიარქმა სტალინზეც ისაუბრა. მისი თქმით. სტალინი ერთდროულად ქართველიც იყო და რუსიც.

– სტალინი წარმოშობით ქართველი იყო და შესანიშნავად იცოდა ქართული ენა, ქართული სიმღერა, გალობა. როდესაც ის გარდაიცვალა, სასულიერო სემინარიის სტუდენტი ვიყავი. მისი დაკრძალვისას ყველანი დარბაზში ვიდექით და ვტიროდით. მის შესახებ ბევრს გვესაუბრებოდა ჩვენი რექტორი, მამა კონსტანტინ რუჟიცკი, რომელმაც სტალინის შესახებ ბევრი იცოდა რუსეთის პატრიარქის ალექსი I, ვისაც ძალიან უყვარდა სტალინი. ერთ-ერთი მიღების დროს, როცა სტალინი ალექსი I, მიტროპოლიტ ნიკოლაისა და პროტოპრესვიტერ ნიკოლაი კოლჩიცკის ხვდებოდა, სტალინმა ჰკითხა, რამ შეგაწუხათო? მათ კი უპასუხეს, მადლიერები ვართ თქვენი, რომ ტაძრები გახსენითო. „არა, ეს საკმარისი არ არის. გახსენით სასულიერო სემინარიები და აკადემიები“, – უპასუხა სტალინმა. სტალინი გამოჩენილი პიროვნებაა. ასეთი პიროვნებები იშვიათად იბადებიან. მან იცოდა რუსეთის მსოფლიო მნიშვნელობა. სტალინი ყველასთვის ერთნაირი იყო და არ გამოყოფდა საქართველოს. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს პროცენტულად ყველაზე მეტი ქართველი დაიღუპა. ის მორწმუნე იყო, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, – ამბობს ილია II.

საია და უჩა ნანუაშვილი თენგიზ გუნავას შეწყალებას აპროტესტებენ

გუნავა კი პოლიტიკურ აქტიურობას გეგმავს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თენგიზ გუნავა შეიწყალა. მისი შეწყალების შესახებ განცხადება მიხეილ სააკაშვილმა 30 ივლისს გააკეთა. თენგიზ გუნავას შეწყალების შესახებ სამართლებრივი აქტი პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გუშინ გამოაქვეყნა.

პრეზიდენტის მიერ შეწყალებულმა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, თენგიზ გუნავამ სასჯელაღსრულების დაწესებულება გუშინ დატოვა. მას სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები და მეგობრები ელოდნენ.

– დიდი მადლობა მინდა მოვახსენო პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს იმ მხარდაჭერისთვის, რაც გამოიჩინა ჩემ მიმართ. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა აქ მობრძანებულ ჩემს მეგობრებს, ნაციონალური მოძრაობას, იმ ბიჭებს, ვინც მხარს მიჭერდა და იმ ადამიანებს, ვინც გვერდში მედგა. ერთი რამ მინდა კიდევ აღვნიშნო, აქ რჩებიან ჩემი მეგობრები, ხალხი, რომელიც თავისი მოღვაწეობის პერიოდში აკეთებდნენ იმ საქმეს, რომელიც იყო ქვეყნის წარმატება და ამაში ძალიან დიდი შრომა ჩადეს. ახლო მომავალში, ვფიქრობ, ისინიც გარეთ იქნებიან, – განაცხადა შეწყალებულმა გუნავამ.

ის აქტიურობის შეწყვეტას არ აპირებს და პოლიტიკურ საქმიანობაშიც აქტიურ ჩარევას გეგმავს.

– მე, ჩემი მოღვაწეობის პერიოდში, ყოველთვის ვიდექი იქ, სადაც სჭირდებოდა ჩემს ქვეყანას და მომავალშიც გავაგრძელებ ამას, – განაცხადა გუნავამ.

მის შეწყალებას დიდი ამბები მოჰყვა. ნაციონალები გახარებულები არიან. არანაციონალები კი ცოტა შეცბუნებული ჩანან.

სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის განცხადებით, პრეზიდენტის მიერ სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის თენგიზ გუნავას შეწყალება ნაადრევი იყო.

– გუნავას საქმეში დარღვევები აღინიშნებოდა, თუმცა მას შემდეგ გამოძიება მიმდინარეობდა. შეწყალება ინდივიდუალური აქტია. ამის უფლება აქვს პრეზიდენტს. მაგრამ როდესაც სასამართლოს მიერ განაჩენი გამოტანილია, გასაჩივრებულია და პროცესი ჯერ არ დასრულებულა, შეწყალების აქტი ნაადრევია, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

გუნავას შეწყალებას გუშინ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც გამოეხმაურა. ორგანიზაცია პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, საზოგადოებაში არათანასწორობის და უსამართლობის განცდა გააჩინოს

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით, სამეგრელოს გუბერნატორ თენგიზ გუნავას სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ნაწილში ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით პრეზიდენტის შეწყალების აქტი კანონიერია, თუმცა ნასამართლეობის მოხსნის ნაწილში – უკანონო.

– საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 30 ივლისის განკარგულებით შეწყალებულ იქნა მსჯავრდებული თენგიზ გუნავა და მას ნასამართლობა მოეხსნა. გაჩნდა კითხვები, თუ რამდენად კანონიერი და სამართლიანი იყო პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს პასუხი გავცეთ აღნშინულ ფაქტთან დაკავშირებულ რამოდენიმე ძირითადი კითხვას: არის თუ არა ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კანონიერი პრეზიდენტის განკარგულება თ.გუნავას სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შესახებ?აღნიშნულ საკითხს არეგულირებს ,,შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ივლისის №277 ბრძანებულება. აღნიშნული ნორმატიული აქტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“, ,,ე“, და ,,ლ“ ქვეპუნქტების თანახმად ,,შეწყალება

არ გამოიყენება იმ მსჯავრდებული პირის მიმართ:• ბ) რომელიც სასჯელს იხდის თავისუფლების აღკვეთის სახით ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენისათვის და მოხდილი არა აქვს დანიშნული სასჯელის ნახევარი;• ე) რომელიც პირველადაა მსჯავრდებული ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით და მოხდილი არა აქვს დანიშნული სასჯელის 1/3;• ლ) რომელიც არ ცნობს თავს დამნაშავედ, არ ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და არ ითხოვს შეწყალებას“.როგორც ჩვენთვის ცნობილია, თ.გუნავა სასჯელს იხდიდა ორი დანაშაულის ჩადენისათვის, არ ჰქონდა მოხდილი სასჯელის 1/3, არ ცნობდა თავს დამნაშავედ, შესაბამისად, არ ინანებდა დანაშაულს და არც შეწყალებას ითხოვდა. ანუ მითითებული ნორმატიული აქტის ამ მოთხოვნებს თ.გუნავას შემთხვევა არ აკმაყოფილებდა.თუმცა, №277 ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, პრეზიდენტს უფლება აქვს ამავე ბრძანებულებით დადგენილი მოთხოვნების დაუცველად მიიღოს გადაწყვეტილება პირის შეწყალების თაობაზე. შესაბამისად, მიუხედავად ზემოაღნიშნული აკრძალვებისა, პრეზიდენტს პრეზიდენტისავე ბრძანებულების საფუძველზე, ფაქტობრივად, მსჯავრდებულთა შეწყალების შეუზღუდავი ძალაუფლება აქვს მინიჭებული. მან ეს ძალაუფლება მოცემულ შემთხვევაში გამოიყენა და, შესაბამისად, მისი აქტი თ.გუნავას სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების ნაწილში ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კანონიერი იყო (სხვა საკითხია ის, უნდა ჰქონდეს თუ არა პრეზიდენტს ასეთი განუსაზღვრელი უფლებამოსილება).კანონიერია, თუ არა პრეზიდენტის განკარგულება თ.გუნავასთვის ნასამართლობის მოხსნის შესახებ?საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 78) იცნობს 2 სახის შეწყალებას: 1) შეწყალება სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების, შემცირების ან შეცვლის შესახებ (მხ. 78.2.); 2) შეწყალება ნასამართლობის მოხსნის შესახებ; სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ,,სასჯელმოხდილს შეწყალების აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა“. როგორც ნორმაში არაორაზროვნად არის მითითებული შეწყალების აქტით ნასამართლობა შეიძლება მოეხსნას სასჯელმოხდილს. მოცემულ შემთხვევაში, პრეზიდენტის აქტის გამოცემის მომენტში თ.გუნავა არ იყო სასჯელმოხდილი და შესაბამისად, მისთვის ნასამართლეობის მოხსნის შესაძლებლობას სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებდა. აღსანიშნავია, რომ ამ შესაძლებლობას არც ,,შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ პრეზიდენტის 2004 წლის ბრძანებულება ითვალისწინებს. უფრო მეტიც, ეს ბრძანებულება ერთმანეთისგან მიჯნავს მსჯავრდებულის შეწყალებას და სასჯელმოხდილი პირისათვის ნასამართლობის მოხსნას.გარდა ამისა, საქართველოს კანონმდებლობა ერთმანეთისგან განასხვავებს ,,მსჯავრდებულსა“ და ,,სასჯელმოხდილ“ პირს. როგორც აღინიშნა, შეწყალება ნასამართლობის მოხსნის ფორმით, შეიძლება განხორციელდეს სასჯელმოხდილი პირის მიმართ, რაც, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ნასამართლობის მოხსნა დასაშვებია იმ მსჯავრდებულთა მიმართაც, ვისაც სასჯელი არ მოუხდია. მსგავსი რამ საქართველოს კანონმდებლობაში, უბრალოდ, არ წერია.აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებამოსილება არის მსჯავრდებულის შეწყალება და არა სასჯელმოხდილი პირისათვის ნასამართლობის მოხსნა. ნასამართლობის მოხსნას ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსი, თუმცა, როგორც აღინიშნა, მხოლოდ სასჯელმოხდილი პირების მიმართ. ნასამართლობის მოხსნის კუთხით პრეზიდენტის №277 ბრძანებულების ფართო განმარტების შემთხვევაშიც კი ის არ შეიძლება გასცდეს კანონით დადგენილ ჩარჩოებს. იმ შემთხვევაშიც კი თუ ვინმე სხვაგვარად განმარტავს პრეზიდენტის ბრძანებულებას, იმოქმედებს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილი, ვინაიდან კანონს (სისხლის სამართლის კოდექსს) აქვს უპირატესი იურიდიული ძალა პრეზიდენტის ბრძანებულებასთან შედარებით. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ნასამართლობის მოხსნას მხოლოდ სასჯელმოხდილი პირისთვის ითვალისწინებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პრეზიდენტის განკარგულება თ.გუნავასთვის ნასამართლობის მოხსნის ნაწილში კანონიერი არ არის. არის თუ არა პრეზიდენტის გადაწყვეტილება თ.გუნავას სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ სამართლიანი და კონსტიტუციური პრინციპების შესაბამისი?პრეზიდენტის მიერ თავისი კონსტიტუციური უფლებამოსილების გამოყე-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ქართული ნაყინი უსაფრთხო აღმოჩნდა

მერი ნამორაძე

ნაყინის მოყვარულებს შეუძლიათ, ქართული წარმოების ნაყინი თამამად და „ენ“ რაოდენობით მიირთვან. სურსათის ეროვნული სააგენტო აცხადებს, რომ გამოკვლეულ ქართული წარმოების ნაყინის 9 ნიმუშში დარღვევები ჯერჯერობით არ გამოვლენილა. სხვადასხვა წარმოების ნაყინის კვლევა დღესაც გრძელდება. 2013 წლისათვის სააგენტოსთვის პრიორიტეტული იქნება საბავშვო ბაგა-ბაღების, ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიებისა და სასაკლაოების კონტროლი.

გუშინ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 2013 წლის 6 თვის ანგარიში წარმოადგინა. როგორც სააგენტოში ამბობენ, პრობლემები, რომელიც საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებას უკავშირდებოდა, მეტ-ნაკლებად დაძლეულია. რაც შეეხება სურსათის უვნებლობის კონტროლს, მომხმარებელთა უფლებების დაცვას თუ საწარმოთა ინსპექტირებას, სააგენტოში ირწმუნებიან, რომ ამ კუთხით 6 თვეში იმდენი გაკეთდა, რამდენიც ბოლო სამი წლის განმავლობაში არ გაუკეთებია წინა ხელისუფლებას.

როგორც სააგენტოს წარმომადგენელმა გიგა ქურდოვანიძემ აღნიშნა, შეიცვალა საიმპორტო და სატრანზიტო მოთხოვნები, არაკეთილსაიმედო ქვეყნებში საწარმოთა ინსპექტირების პროცედურები. არაკეთილსაიმედო ქვეყნებიდან ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა გაიცემა ექსპორტიორი ქვეყნის სახელმწიფო ვეტერინარული სამსახურის მიერ საერთაშორისო ვეტერინარულ-სანიტარიული კოდექსით დადგენილი ნიმუშისა და სერტიფიკატის წარდგენის საფუძველზე. ასევე არაკეთილსაიმედო ქვეყნებიდან ცოცხალი ცხოველების ტრანზიტის შემთხვევაში აუცილებელი გახდა მიმღები ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ ტვირთის გარანტირებულ მიღებაზე დამადასტურებელი დოკუმენტის ქონა.

პროდუქციის ნუსხებს დაემატა პროდუქციის ჯგუფი, რომელზეც უნდა გაიცეს იმპორტის ნებართვა, ასეთია თევზისა და კიბოსნაირნის, მოლუსკებისა და წყლის უხერხემლოების სხვადასხვა ჯგუფი, ღორის, შინაური ფრინველის, მსხვილფეხა პირუტყვის, ხორცის, მოლუსკების ან ზღვის უხერხემლოებისგან დამზადებული პროდუქტები, ბულიონები, ნაყინი და საკვები ყინულის სხვადასხვა სახეობები, ახალი კიტრი, პომიდორი. როგორც სააგენტოში ამბობენ, ეს ცვლილებები უზრუნველყოფს პროდუქტების კონტროლსა და ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას.

ცვლილებები შეეხო სპეციფიკურ მოთხოვნებს ბავშვთა კვების პროდუქტებზე, თაფლისა და მეფუტკრეობის პროდუქტებზე, ასევე სასურსათო კვერცხის, თევზის, რძისა და ხორცის პროდუქტებზე. მოთხოვნები არ იყო განსაზღვრული არც ერთი ნორმატიული აქტით, რის გამოც მომხმარებელს არ მიუწვდებოდა ხელი სათანადო ხარისხის პროდუქტთან. სავალდებულო გახდა საქართველოში შემოსატან კვერცხზე წარმოშობის ქვეყნისა და დადების თარიღის მითითება.

სურსათის უვნებლობის სფეროში წელს 1 ივლისამდე პერიოდში შესყიდული და აკრედიტებულ ლაბორატორიაში გამოკვლეულ იქნა სხვადასხვა დასახელების სურსათის 157 ნიმუში, დარღვევა გამოვლინდა 43 ნიმუშში, რაზეც განხორციელდა კანონმდებლობით განსაზღვრული ქმედებები. ვეტერინარული მოწმობა ფორმა №2-ის გარეშე ხორცის რეალიზაციის ფაქტის გამოსავლენად შემოწმდა 604 ობიექტი. აქედან 1000 ლარით დაჯარიმდა 61 ბიზნესოპერატორი. გასულ წელს ამ მიზეზით დაჯარიმებული იყო სულ 25 ბიზნესოპერატორი.

პირველი 6 თვის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით გამოვლინდა ვადაგასული სურსათის რეალიზაციის 379 ფაქტი, გასულ წელს მსგავსი კონტროლი საერთოდ არ განხორციელებულა. განადგურდა 55 ათასი კილოგრამი ვადაგასული მყარი სურსათი; 825, 7 ლიტრი თხევადი სურსათი; 12 160 კილოგრამი ხორცი და ხორცპროდუქტები, მათ შორის 5 ტონაზე მეტი ცხენის ხორცი; განადგურდა 650 000 ცალზე მეტი სასურსათო კვერცხი.

2013 წლის იანვრიდან 1 ივლისამდე გეგმიური ინსპექტირება განხორციელდა 365 საწარმოში. გეგმიური ინსპექტირების დროს კრიტიკული შეუსაბამობა აღმოჩნდა 2 ბიზნესოპერატორთან, კერძოდ, საკონდიტროსა და აგრარულ ბაზარში. შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, რა თქმა უნდა, ათას-ათას ლარიანი ჯარიმაც მიაყოლა. რას შეეხება არაგეგმიურ ინსპექტირებას, იგი 110 საწარმოში განხორციელდა, მათ შორის სასაკლაოზე, მარკეტებში, ალკოჰოლური სასმელების წარმოებაში, კვების ობიექტებში და ასე შემდეგ. კრიტიკული შეუსაბამობა აღმოჩნდა 3 ბიზნესოპერატორთან, გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები და შეუსაბამობის აღმოფხვრამდე შეუჩერდათ საწარმოო პროცესი. ასევე დაჯარიმდნენ ათას-ათასი ლარით.

პირველი 6 თვის მონაცემებით, ცხოველთა დაკვლა ვეტერინარული ზედამხედველობით განხორციელდა ცხოველთა 72 სასაკლაოზე; ზედამხედველობის ქვეშ დაიკლა 53 981 სული. 2012 წელს საქართველოში მოქმედებდა ცხოველთა 38 სასაკლაო. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით, წელს სასაკლაოებზე დაკვლების რაოდენობა 1,5-ჯერ გაიზარდა.

რაც შეეხება ქვეყანაში შექმნილ ეპიზოოტიურ მდგომარეობას, ჯილეხის გავრცელების რისკების გათვალისწინებით, საწინააღმდეგო-პროფილაქტიკური ვაქცინაცია განხორციელდა არაკეთილსაიმედო ზონებში. პროფილაქტიკის მიზნით ვაქცინირებულ იქნა 136 914 ცხოველი. ქვეყანაში რეალური საშიშროება არსებობს დაავადება „თურქულის“ შემოჭრისა დაავადების აღმძვრელის საქართველოს სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მდებარე ქვეყნებში არსებობის გამო. ვინაიდან დაავადება სწრაფად ვრცელდება და იწვევს დიდ ეკონომიკურ ზარალს, მისი დაფიქსირების შემთხვევაში ქვეყანას საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით ეკისრება ვალდებულება, გაატაროს საკარანტინო-სალიკვიდაციო ღონისძიებები. დაავადების აღმოფხვრამდე იზღუდება ექსპორტი და ტრანზიტი, რაც აფერხებს საერთაშორისო ვაჭრობას. როგორც სურსათის ეროვნულ სააგენტოში ამბობენ, მოსაზღვრე ქვეყნებში თურქულის მიმართ შექმნილ არაკეთილსაიმედო ეპიზოოტიურ ფონზე განსაკუთრებულად საყურადღებოა საქართველოს ტერიტორიაზე დაავადების ამთვისებელ ცხოველებში მყარი იმუნური ფონის შექმნა, ასე რომ, ერთ-ერთ პრიორიტეტს ცხოველთა ვაქცინაცია წარმოადგენს. თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ივნისში დაიწყო და დღემდე გრძელდება. ვაქცინირებულია 549 772 მსხვილფეხა და 77 780 სული წვრილფეხა პირუტყვი.

წელს ქვეყანაში განსაკუთრებით საშიშ ინფექციურ დაავადებათაგან დაფიქსირებულია ჯილეხის 12 შემთხვევა, ცხოველებში ცოფის 42 შემთხვევა. როგორც გვაიმედებენ, ჩატარებული ვაქცინაციის შედეგად ქვეყანაში მიღწეულია სტაბილური ეპიზოოტიური სიტუაცია.

მაინც რას მიიჩნევს სურსათის უვნებლობის სააგენტოს ხელმძღვანელი ზურაბ ჩეკურიშვილი მთავარ გამოწვევად? როგორც მან „ახალ თაობასთან“ საუბრისას აღნიშნა, მთავარ გამოწვევად ადამიანური რესურსების ნაკლებობა რჩება:

– მთავარი გამოწვევა, ალბათ, არის ადამიანური რესურსების ნაკლებობა, მაგრამ ამაზეც ვმუშაობთ, ჩამოყალიბებული გვაქვს სამომავლო სტრატეგია. რა თქმა უნდა, განვიცდით ადამიანური რესურსების ნაკლებობას, რაც ეტყობა ჩვენს მუშაობას. მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: ლიტვაში, რომელიც ევროკავშირის ქვეყანაა და ჩვენზე პატარაა, 1600 ინსპექტორია. საქართველოში ძალიან შორს ვართ ამ ციფრისგან“, – აღნიშნა ჩეკურიშვილმა.

რაც შეეხება მეწარმეთა თუ ბიზნესოპერატორთა განწყობას ხშირ კონტროლის და შემოწმების მიმართ, ჩეკურიშვილმა გვითხრა, რომ კეთილსინდისიერი მეწარმე ყოველთვის მზად არის ინსპექტირებისათვის:

– კეთილსინდისიერ მეწარმეებში ინსპექტირების პროცესი არ იწვევს უკმაყოფილებას. პირიქით, იმიტომ, რომ ისინი კონკურენციის რეჟიმში არიან და ის მეწარმე, რომელიც აქცევს ყურადღებას სურსათის უვნებლობასა და სტანდარტის დანერგვას, ეს, რა თქმა უნდა, ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ეს კეთილსინდისიერი მეწარმეა და ზრუნავს თავის მომხმარებელზე. შესაბამისად, იმ საწარმოებს, რომლებსაც არ აქვთ დანერგილი შესაბამისი სტანდარტები, ამაზე ფიქრობენ, ჩვენ ამაზე მათ არ ვაჯარიმებთ. მივდივართ, ვაძლევთ რეკომენდაციებს, თუ რა უნდა გამოასწორონ და რას მიაქციონ ყურადღება, რომ მისაღები იყოს სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის.

ლიბერთი ბანკის ახალი ფილიალი დედოფლისწყაროში

ლიბერთი ბანკი ფილიალებისა და სერვის ცენტრების ქსელის მოდერნიზებასა და გაფართოებას განაგრძობს.

30 ივლისს, ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილემ, ზურაბ წულაიამ დედოფლისწყაროში, ალაზნის ქ.№1-ში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ფილიალი გახსნა, რომელიც სრულ საბანკო მომსახურებას გაუწევს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. ფილიალში შესაძლებელი იქნება ყველა სახის სესხის აღება, საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების სისტემებით სარგებლობა, სხვადასხვა ტიპის დეპოზიტების გახსნა, კომუნალური გადასახადების დაფარვა.

2012-2013 წლებში ლიბერთი ბანკმა მთელი საქართველოს მასშტაბით 30-ზე მეტი ახალი ფილიალისა და სერვის ცენტრის გახსნა და მოდერნიზება მოახდინა. ლიბერთი ბანკს საქართველოში ყველაზე ვრცელი საბანკო ქსელით არის წარმოდგენილი, რომლის მეშვეობითაც 1.4 მლნ ფიზიკურ და 60 000-ზე მეტ იურიდიულ პირს ემსახურება.

ლიბერთი ბანკის საბაზრო წილი 2013 წლის ივნისის მდგომარეობით, მთლიანი აქტივების მიხედვით 7.7%-ს შეადგენს.

საია და უჩა ნანუაშვილი თენგიზ გუნავას შეწყალებას აპროტესტებენ

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ნება უნდა მოხდეს კონსტიტუციისვე მოთხოვნების დაცვით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ განაცხადა, რომ კონსტიტუციის დებულებების ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს კონსტიტუციური პრინციპებთან კავშირში. კონსტიტუციის პრეამბულით გათვალისწინებულია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, გულისხმობს სამართლებრივი განსაზღვრულობის და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა წინასწარი განჭვრეტის შესაძლებლობას. ეს პრინციპი ავალდებულებს საქართველოს პრეზიდენტს, თავისი დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს არა თვითნებურად, პირადი სურვილების გათვალისწინებით, არამედ წინასწარ ჩამოყალიბებული, ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი და ნათლად განჭვრეტადი კრიტერიუმების საფუძველზე. ნებისმიერ მოქალაქეს უნდა შეეძლოს იმის წინასწარ განსაზღვრა თუ კონკრეტული გარემოებების არსებობის შემთხვევაში რა სახის გადაწყვეტილებას მიიღებს ესა თუ ის სახელმწიფო ორგანო. ამ პრინციპებს ეწინააღმდეგება ,,შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის საფუძველზეც პრეზიდენტმა თ.გუნავა შეიწყალა. ამ ბრძანებულებაში არ არის განსაზღვრული ის ზოგადი კრიტერიუმები და გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც პრეზიდენტი შეიწყალებდა ნებისმიერ პირს ,,შეწყალების გამოყენების წესის შესახებ“ მისივე ბრძანებულების დებულების დაუცველად. მოცემულ შემთხვევაში პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება უსამართლო შეიძლება აღმოჩნდეს იმ ადამიანებთან მიმართებაში, რომლებიც შესაძლოა იმყოფებოდნენ თ.გუნავას ან უკეთეს მდგომარეობაში. ჩვენთვის ცნობილია არაერთი კონკრეტული შემთხვევა, როდესაც მსჯავრდებულები აკმაყოფილებდნენ პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულებით განსაზღვრულ ყველა პირობას და მათი შეწყალება მაინც არ ხდებოდა. ამ ფონზე იმ პირის შეწყალება, რომელიც სასჯელს იხდიდა ორი დანაშაულის ჩადენისათვის, არ ჰქონდა მოხდილი სასჯელის 1/3, არ ცნობდა თავს დამნაშავედ, არ ინანიებდა დანაშაულს და არც შეწყალებას ითხოვდა, ცხადია, არ წარმოადგენს ამ მნიშვნელოვანი საკითხისადმი სამართლიან მიდგომას და შესაძლებელია საზოგადოების დიდ ნაწილში არათანასწორობის, არათანმიმდევრულობისა და უსამართლობის განცდა გააჩინოს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პრეზიდენტის სუბიექტური დამოკიდებულება გამოჩნდა რამდენიმე თვის წინ, როდესაც თ.გუნავა გუბერნატორის თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის პირდაპირი აკრძალვის მიუხედავად დაინიშნა მაშინ, როდესაც მის მიმართ გამოძიება მიმდინარეობდა, – ნათქვამია საიას მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„შეიარაღებულ ძალებში კვების უსაფრთხოების თვალსაზრისით საგანგაშო მდგომარეობაა“

გულიკო ბალაძე

„ახალგაზრდა ადვოკატები“ სამხედრო მოსამსახურეების კვებითი უსაფრთხოების პრობლემებზე საუბრობენ. ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ აცხადებენ, რომ შეიარაღებული ძალების კვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობა საგანგაშოა.

– შეიარაღებული ძალების კვების უსაფრთხოების თვალსაზრისით საგანგაშო მდგომარეობაა. მივმართავთ საქართველოს თავდაცვის მინისტრს, საზოგადოებისთვის მიწოდებულ იქნას ინფორმაცია, ვინ უზრუნველყოფს და რამდენად შესაბამისობაშია სტანდარტებთან სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფა, – განაცხადა ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ლიდერმა არჩილ კაიკაციშვილმა.

ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამხედრო მოსამსახურეები არანორმირებულიდან ნორმირებული კვების რეჟიმზე გადავიდნენ. – სამხედრო მოსამსახურეები არანორმირებულიდან ნორმირებულ კვებაზე გადავიდნენ. თუმცა, უცნობია, რომელი კომპანიები იღებენ პასუხისმგებლობას უწყებაში ლოჯისტიკის სფეროს ეფექტურ მუშაობასა და უსაფრთხოებაზე, – აღნიშნავს არჩილ კაიკაციშვილი.

როდესაც ორგანიზაცია საუბრობს შეიარაღებულ ძალებში კვების საკითხში არსებულ საგანგაშო მდომარეობაზე, იხსენებს, რომ ცოტა ხნის წინ სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში დაფიქსირდა ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები.

– ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ ითვალისწინებს შემთხვევას, რომელიც ცოტა ხნის წინ მოხდა ქუთაისში. საუბარია 11 სამხედრო მოსამსახურის მოწამვლის ფაქტზე. ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტები დაფიქსირდა აგრეთვე გორში, ვაზიანსა და ფოთის სამხედრო ნაწილებში. ასევე, როგორც საზოგადოებრივი წრეებისთვის გახდა ცნობილი, გაუხმაურებელი შემთხვევა მოხდა სენაკის შეიარაღებული ძალების ეროვნულ ბრიგადაში. კერძოდ, 2013 წლის 25 ივლისს სენაკის ბრიგადაში მოიწამლა 52 ჯარისკაცი, – განაცხადა არჩილ კაიკაციშვილმა.

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ თავდაცვის სამინისტროს კვებითი უსაფრთხოების მიმართულებით კონტროლის გაძლიერებისკენ მოუწოდებს.

– მივმართავთ თავდაცვის სამინისტროს, დააყენოს კვებით უზრუნველყოფაზე კონტრაქტორი კომპანიების პასუხისმგებლობა, თუ ეს ინფორმაცია დადასტურდება, – ასეთია არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ მოთხოვნა.

არსებული ინფორმაციით, დღეს კომპანია „ქართული კვება“ შეიარაღებული ძალების სისტემაში ლიდერი კონტრაქტორია, რომელიც სფეროში ფაქტობრივ მონოპოლიას ფლობს.

შესაბამისად, ჯარისკაცების მოწამვლის შემთხვევები აუცილებელ საჭიროებას იწვევს, მეტი სიცხადე და გამჭვირვალობა არსებობდეს კვებითი უსაფრთხოების სფეროში, ხოლო სამინისტრომ და მინისტრმა გაცილებით მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს ამ მიმართულებით.

განაახლოს სატენდერო კონკურსი, რადგანაც კომპანიები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სამინისტროს მიერ 2013 წლის თებერვალში გამოცხადებულ 4 ტენდერში, გამოირჩეოდნენ ფასთა სხვაობით და შემოთავაზებული მომსახურების ხარისხით.

ამასთან, ორგანიზაცია განმარტებებს მოითხოვს, თუ რამდენად დგას აუცილებლობა შეიარაღებული ძალების კვების უზრუნველყოფისთვის, 2013 წლის ივნისში შეწყვეტილი ტენდერები განახლდეს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია სამინისტროს და მინისტრის მხრიდან გაკეთდეს განმარტებები, სამხედრო მოსამსახურეთა არანორმირებული კვების სისტემის დატოვება საბოლოო გადაწყვეტილებაა თუ დროებითი გარემოება და რა ცვლილებები იგეგმება ამ მიმართულებით.

ნინო ბურჯანაძემ გუშინ გორში საარჩევნო შტაბი გახსნა

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა და პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ, გუშინ გორში პარტიის რეგიონული ოფისი და საარჩევნო შტაბი გახსნა. ღონისძიებას პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები, კოორდინატორები და მხარდამჭერები დაესწრნენ.

„შეხვედრით ძალიან კმაყოფილი ვარ. ამ ადამიანებს ესმით, რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს და მასში ჩვენ გავიმარჯვოთ. ისინი ამისთვის მოტივირებულნი არიან. შიდა ქართლის რეგიონის მცხოვრებლებმა ყველაზე კარგად იციან, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანას კომპეტენტური და გაწონასწორებული პრეზიდენტი ჰყავდეს, რომელსაც შეუძლია, ურთიერთობები რუსეთთანაც და სხვა ქვეყნებთანაც მოაგვაროს, რადგან აგვისტოს ომის სიმწარე, ყველაზე მეტად სწორედ ამ ადამიანებმა გამოსცადეს.

გარდა ამისა, ამ რეგიონის მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მოსავალი არ ულპებოდეთ“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

გუშინვე, „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა და პრეზიდენტობის კანდიდატმა ნინო ბურჯანაძემ, შეხვედრა ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან გამართა, მოგვიანებით კი ის, სოფელ საქაშეთში, ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდება.

ნიუსპრესი

შსს-ს სამაშველო სამსახურმა პოლონელი მთამსვლელები გადაარჩინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციათა მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადების და რეაგირების სამმართველოს მაშველებმა და მესტიის მუნიციპალურმა სახანძრო და სამაშველო სამსახურმა, გუშინ, დილიდან, ამინდის გაუმჯობესებისთანავე, მწვერვალ შხარაზე პოლონური ალპინისტური ექსპედიციის წევრების წარმატებული სამძებრო-სამაშველო ოპერაცია ჩაატარეს.

პოლონური ალპინისტური ექსპედიციის წევრებმა მწვერვალ შხარაზე ასვლა რამდენიმე დღის წინ დაიწყეს. 3950 მეტრზე ექსპედიციის ერთ-ერთ წევრს დაზღვევამ უმტყუნა და სიმაღლიდან მოწყდა, რის გამოც ექსპედიცია შეფერხდა და გზის გაგრძელება შეუძლებელი გახდა.

ოპერაციას საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო ჯგუფი სრული სამთო სპეციაღჭურვილობით ახორციელებდა. დეპარტამენტის თანამშრომლებმა სამაშველო ოპერაციის მსვლელობისას ექსპედიციის ყველა წევრს მიაკვლიეს. საძიებო-სამაშველო ოპერაცია ამინდის გაუარესებისა და ცუდი ხილვადობის გამო რამდენიმე დღის განმავლობაში ფერხდებოდა. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ამ დროისთვის ექსპედიციის ოთხივე წევრი მესტიაში იმყოფება. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ჰოსპიტალიზაციას არ საჭიროებენ.

ნიუსპრესი

ვანში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ვანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1988 წელს დაბადებული სულიკო ლ. დაიკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 30 ივლისს, ურთიერთშელაპარაკებისას, 1969 წელს დაბადებულ ფრიდონ ვაშაყმაძეს ყელის არეში დანით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და მიიმალა. დაჭრილი კი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა სულიკო ლ. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში დაიკავეს.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე, სსსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები 15 აგვისტომდე განადგურდება

პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერები 15 აგვისტომდე განადგურდება. როგორც „პირველს“ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ დირექტორმა ეკა გიგაურმა ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით სპეციალური კომისიის დასრულების შემდეგ განუცხადა, მასალები შესაბამისი წესის მიხედვით განადგურდება.

„კომისიის გუშინდელ სხდომაზე გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ თომას ჰამარბერგის რეკომენდაცია შესრულდეს. პირველ რიგში, უნდა გაიწეროს კომისიის უფლებამოსილება. ასევე ეს უფლებამოსილება, შესაბამისი დებულება მთავრობის მიერ უნდა დამტკიცდეს. ამასთან, კომისიაში ახალი წევრები უნდა მივიღოთ – იუსტიციის სამინისტროსა და სასამართლოს წარმომადგენლები და პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. ამის შემდეგ კი კომისია დაადგენს, როგორ მოხდება პირადი ცხოვრების ამსახველი კადრების განადგურება. ჰამარბერგის რეკომენდაციის თანახმად, განსაკუთრებული დასაბუთების შემთხვევაში შეიძლება, საგამოძიებო პროცესში პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების გამოყენება, სხვა შემთხვევაში კი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა უზენაესია“, – განაცხადა ეკა გიგაურმა.

პირველი

მამუკა გვაძაბია: „საქართველოს პრემიერი რუსეთთან ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებს“

გულიკო ბალაძე

ინტერვიუ უპარტიოთა მოძრაობის ლიდერ მამუკა გვაძაბიასთან

– ბატონო მამუკა, თქვენ მითხარით, რომ სერიოზული ინფორმაციები გაქვთ ქართულ პოლიტიკასა და რუსულ-ქართულ მოლაპარაკებებზე. კერძოდ, რას უკავშირდება თქვენი ინფორმაციები?

– ერთი ჩემი მოსკოველი ახლობელი, რომელთანაც კარგი ურთიერთობა მქონდა 20 წლის განმავლობაში, გარკვეულ ინფორმაციას მაწვდის. მასთან მოსკოვიდან წამოსვლის შემდეგ ვინარჩუნებ კარგ ურთიერთობას. გვაქვს მიმოწერა და ვსაუბრობთ პოლიტიკის საჭირბოროტო საკითხებზე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, რუსეთის ოპოზიციის მდგომარეობაზე, საქართველოს მდგომარეობაზე, გეოპოლიტიკურ სიტუაციებსა და სხვა მეგობრულ თემებზე, მაგრამ მთავარი მაინც დღევანდელობაა ანუ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ფონზე რა ხდება. რა თქმა უნდა, როდესაც ამ თემებზე ვლაპარაკობთ, წინ წამოიწევს ხოლმე დღეს არსებული ფორმატი რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობაში. ეს არის აბაშიძე-კარასინის ფორმატი. როდესაც ახლანდელმა მთავრობამ ივანიშვილის ხელმძღვანელობით ამ ფორმატით დაიწყო ურთიერთობა რუსეთთან, პირადად მე ცოტა სკეპტიკურად შევხვდი, იმდენად, რამდენადაც, ჯერ ერთი, შესაბამისი დონე არ იყო ანუ ამ სიტუაციიდან გამოსავლის ძიებისთვის ადეკვატური.

– საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებებში ჩართული პირების დონეზე საუბრობთ?

– დიახ. საუბარია დიპლომატიური არხის, მოლაპარაკების, პიროვნებების თანამდებობრივ დონეზე. საქართველო-რუსეთის მოლაპარაკებებში ჩართული პირების დონე იმთავითვე არ მაკმაყოფილებდა.

– მაგალითად, აბაშიძის?

– აბაშიძისაც და კარასინსაც. კარასინი საშუალო დონის ჩინოვნიკიც არ არის.

– კარასინი არის რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. ამაზე მაღალი დონე ვინ უნდა ყოფილიყო?

– გეტყვით, რატომ იყო კარასინი ამ მოლაპარაკებებისთვის არჩეული. საუბარია იმაზე, რატომ ფიგურირებს კარასინის დონის ფიგურა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებებში. ეს საკითხი თვითონ ამ ჩემმა მეგობარმა (ის წარმოშობით ბელორუსია) წამოსწია. მე ყოველთვის ეჭვის თვალით ვიყურებდი ამ ფორმატს. ვეჭვობდი, ეს ფორმატი რაღაც ანტურაჟისთვის ხომ არ იყო გაკეთებული. ამაზე ჩემს ახლობლებში, მეგობრებში ყოველთვის ვამბობდი, მაგრამ დანამდვილებით არ ვიცოდი, სხვა რა ურთიერთობებზე შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი ამის პარალელურად გასაიდუმლოებული არხებით.

– ანუ რას აცხადებთ?

– იმის თქმა მინდა, რომ აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებების ფორმატი საზოგადოების თვალის ახვევისთვისაა შექმნილი. თუ ინფორმირებული არ ხარ და არ იცი, ამის უკან რა დგას, მაშინ იტყვი, რომ ეს ფორმატი შექმნილია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დარეგულირებისთვის.

– ამაში გარწმუნებთ თქვენ მოსკოველი მეგობარი?

– ის პიროვნება არის ინფორმირებული.

– ის პიროვნება ხელისუფლების რომელიმე შტოში მუშაობს?

– მნიშვნელობა არ აქვს, ხელისუფლების რომელიმე შტოში მუშაობს თუ არა. მას აქვს სერიოზული კონტაქტები პოლიტიკურ პარტიებთან, ებრაელ ემიგრანტებთან და ა.შ. იკვეთება ისეთი აზრი, რომ გარდა ამ ფორმატისა, რომელიც საზოგადოების თვალის ასახვევად და საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად არის შექმნილი, არის სხვა კონტაქტებიც.

– საზოგადოება შეცდომაში რა თვალსაზრისით შეჰყავთ?

– შეცდომაში შეჰყავთ იმ თვალსაზრისით, რომ ამ ფორმატის პარალელურად, იზოლირებულად ბიძინა ივანიშვილს პირდაპირი კონტაქტები აქვს რუსეთის უმაღლეს ხელისუფლებასთან. ისინი არ არიან რიგითი ადამიანები.

– უმაღლეს ხელისუფლებასთან, პუტინთან?

– პუტინთან და ხელისუფლებასთან. გვარსა და სახელს მნიშვნელობა არ აქვს. უმაღლეს ხელისუფლებასთან ივანიშვილს აქვს პირდაპირი კონტაქტები კარასინისა და აბაშიძის ფორმატის გვერდის ავლით. ეს ხდება ძირითადად საბჭოთა პერიოდში ემიგრირებული ებრაელების მეშვეობით, რომლებსაც ძალიან სერიოზული ბიზნესინტერესები აქვთ ერთად რუსეთში და ზოგიერთი მათგანი ახლო ურთიერთობაშია პუტინთან.

– იქნებ ამგვარ ინფორმაციას შეგნებულად ავრცელებენ რუსეთიდან სწორედ იმ პიროვნების მეშვეობით, რომელსაც თქვენ იცნობთ მოსკოვში და ასეთი ინფორმაციის გავრცელება რაღაცას ემსახურება? ვთქვათ, ეს ემსახურება უნდობლობის გაღვივებას საქართველოში ბიძინა ივანიშვილისადმი ან იმ ფორმატისადმი, რომელსაც აბაშიძე-კარასინის ფორმატი ჰქვია და თქვენ რასაც ამბობთ, არ შეესაბამება სინამდვილეს...

– ამას, რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ, მაგრამ, როგორც მე მაქვს ინფორმაცია, როგორც ჩემი ინფორმაციის წყარო მაწვდის, ეს არის გადამოწმებული ინფორმაცია.

– როგორ გადაამოწმეთ?

– მე კი არ გადამიმოწმებია, ვინც გადაამოწმა, იმან გადაამოწმა.

– და თქვენ ენდობით იმ პიროვნებას?

– რა თქმა უნდა, 100%-ით ვენდობი, რადგან მას არავითარი ინტერესი არ აქვს, გარდა იმისა, რომ მართლა ნორმალური ურთიერთობები დამყარდეს რუსეთსა და საქართველოს შორის, მაგრამ არა ქინძზე, ოხრახუშზე, ღვინოსა და „ნაბეღლავზე“ გაცვლილი. აქ საუბარია სახელმწიფოებრივ ურთიერთობებზე. ასეთი ადამიანები რუსეთში არიან, მაგრამ პოლიტიკაში მარგინალები არიან და პოლიტიკურ კლიმატს ვერ ქმნიან. რაც ვთქვი, ასეთი ადამიანების მიერ მოპოვებული და მოწოდებული ინფორმაციაა.

– მათ გვარს არ დაასახელებთ, ვინც ამ ინფორმაციას გაწვდით?

– არა.

– იქნებ სპეცსამსახურებს შესწავლილი აქვთ, რომ თქვენ იმ პიროვნებებთან კარგი ურთიერთობები გაქვთ, ენდობით და მათი მეშვეობით ისინი მათთვის სასურველ ინფორმაციას ავრცელებენ?

– მე ინფორმაციის წყაროს ვენდობი. რამდენადაც მან ამიხსნა. ის არის დაინტერესებული პიროვნება. მე მაქვს ძალიან სერიოზული პოლიტიკური ინტერესი ნებისმიერ თემაზე, განსაკუთრებით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხში, რადგან საქართველოს ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ოკუპირებულია. ოკუპანტთან დღევანდელი ხელისუფლების ურთიერთობის საკითხზეც, მე მაქვს ძალიან სერიოზული პიროვნული და პოლიტიკური ინტერესი, როგორც დევნილს, როგორც პატრიოტს, როგორც ქართველსა და როგორც დემოკრატს. ამიტომ არც ერთ შემთხვევაში, არც ერთ ვარიანტში ერთ წამს, ერთ მისხალ შესაძლებლობას არ გავუშვებ, რომ ასეთი ინფორმაცია მოვიპოვო. მე მაქვს შესაძლებლობა კიდევ სხვადასხვა ინფორმაციის მოპოვებისა. ივანიშვილი თავის გარემოცვასაც კი არ ენდობა, განსაკუთრებით, რესპუბლიკელებს. მინდა გამოვხატო ჩემი სიმპათიები დავით უსუფაშვილისადმი, მიუხედავად რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარეობისა. ამ პიროვნებას ვენდობი, რადგან ის სახელმწიფო მოღვაწედ ჩამოყალიბდა. ყველაზე გაწონასწორებული პიროვნებაა.

– თუმცა, ზოგადად, რესპუბლიკებს თქვენც არ ენდობით და აკრიტიკებთ.

– რესპუბლიკელებს არ ვენდობი იმიტომ, რომ მათი შეთავაზებული საქართველოს ტერიტორიული მოწყობის დოქტრინა, პროექტი, რომელიც დღეს პრემიერ-მინისტრს უდევს მაგიდაზე, ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია. ისინი განაგრძობენ იმ თემას, რომელსაც ჰქვია ორი თანაბარსუბიექტიანი სახელმწიფოების კავშირის თემა.

– რა იცით თქვენ, რა პროექტი უდევს მაგიდაზე ივანიშვილს?

– ვიცი, რომ ეს პროექტი ივანიშვილს მაგიდაზე უდევს. ამას პირობითად ვამბობ. ბიძინა ივანიშვილის მაგიდაზე დევს რესპუბლიკელების შეთავაზებული პროექტი აფხაზეთისა და საქართველოს მოწყობის თაობაზე.

– ანუ თქვენ ინფორმატორები ბიძინა ივანიშვილის მთავრობაშიც გყავთ.

– როგორც გინდათ, ისე გააორონიზირეთ. მე 100%-ით ვიცი, რომ ასეა...

– ვიღაცამ ხომ მოგაწოდათ ინფორმაცია.

– 100%-ით ვიცი, რომ რესპუბლიკელების პროექტი საქართველოს შემდგომი მოწყობის თაობაზე ბიძინა ივანიშვილს უდევს. ეს არის მოწყობა არა სახელმწიფოსი, არამედ სახელმწიფოების კავშირისა (აფხაზეთან). მინდა მოვიშველიო 2000 წელს მოსკოვში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების შესახებ ჩატარებულ კონფერენციაზე დავით ბერძენიშვილის განცხადება, სადაც ის ამბობს, რომ დროა ვიმსჯელოთ იმ საკითხებზე, რათა ქართველებმა და აფხაზებმა შექმნან ორი თანასწორსუბიექტიანი სახელმწიფო ანუ საუბარია კონფედერაციულ მოწყობაზე.

– მას შემდეგ, ფაქტობრივად, 13 წელი გავიდა. შეიძლება, ბერძენიშვილმა შეიცვალა აზრი, დაღვინდა, როგორც პოლიტიკოსი, მით უმეტეს მაშინ, როცა ის ახლა ხელისუფალია, რომელიც პასუხისმგებლობას ი ზიარებს ყველა იმ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც მიიღებს ხელისუფლებაში მყოფი ძალა.

– ჩვენ გვახსოვს ბევრი შეთავაზება. ჯერ ერთი, უბისაზე სადერმაკაციო ხაზზე იყო ლაპარაკი, მერე რესპუბლიკელები ეახლნენ არძინბას და აფხაზეთის სრულ აღიარებას დაჰპირდნენ.

– რესპუბლიკელების მიმართ თქვენი დამოკიდებულება გასაგებია. უსუფაშვილი რის გამო მოგწონთ?

– უსუფაშვილი გაწონასწორებული პიროვნებაა, რომელსაც კატეგორიულად არ ენდობა ივანიშვილი.

– უნდობლობა რით გამოიხატა?

– თუნდაც სარეიტინგო კენჭისყრის საკითხის გადაწყვეტაში. ივანიშვილს არ უნდოდა სარეიტინგო კენჭისყრის დაშვება, უსუფაშვილმა გაიტანა და კარგი ქნა, რომ სარეიტინგო კენჭისყრა ჩაატარა.

– ეგ იმაზე მეტყველებს, რომ ბიძინა ივანიშვილი ისევე არ აბრჩობს პარლამენტს, როგორც სააკაშვილი აკეთებდა. ასეთი გადაწყვეტილებები საკანონმდებლო ორგანოს დამოუკიდებლობის ნიშანია.

– დამოუკიდებლობის ნიშანი კი არა, სხვა მომენტია. ერთ პასაჟზე მინდა გავამახვილო ყურადღება – პუტინმა გააკეთა განცხადება, ქართველები არასოდეს აღიარებენ აფხაზეთს დამოუკიდებლად, ხოლო ჩვენ არასოდეს წავიღებთ ჩვენს აღიარებას უკან, მაგრამ გამოსავალი არსებობსო.

– თუ გამოსავალი უნდა მოვძებნოთო?

– გამოსავალი არსებობსო, რომ ამბობს, პუტინისთვის გამოსავალი უკვე მოძებნილია. ივანიშვილის მაგიდაზე რესპუბლიკელების პროექტი დევს-მეთქი, რომ ვთქვი, ეს მხოლოდ ივანიშვილმა კი არ იცის.

– ანუ კონფედერაციულ მოწყობაზეა საუბარი?

– თქვენ მოვლენებს უსწრებთ. კონფედერაციამდე მივალთ. მე გეტყვით, როგორ ხდება ეს. აფხაზეთი რუსეთმა აღიარა და იცის, რა გამოსავალი არსებობს, ისე, რომ აღიარების უკან წაღება არ მოუხდეს ანუ როგორ შეიძლება, ფორმალურად აფხაზეთმა და საქართველომ შეკრან ერთი სახელმწიფო წარმონაქმნი კონფედერაციის ქვეშ.

– რესპუბლიკელების პროექტი ვიცი. მისი განხორციელება, ფაქტობრივად, აღიარებას ნიშნავს.

– აღიარება არ არის. პროექტში წერია, რომ რუსეთს აქვს აღიარებული აფხაზეთი, საქართველო ამ აღიარებას არ ცნობს. ამ აღიარებისა და აღიარების უკან არწაღების სიტუაციაში რუსეთისთვის სახელმწიფო წარმონაქმნი საქართველოს სახელმწიფოსთან აფორმებს რაღაც მოწყობას, კონფედერაციული იქნება, სახელმწიფოების კავშირი თუ სამოკავშირეო, დასახელება იქ არ წერია. შემდეგ ეტაპზე ქართული მხარე დევნილების დაბრუნების საკითხს სვამს, მაგრამ რუსეთი დევნილების დაბრუნებისა და ომამდელი დემოგრაფიული სიტუაციის აღდგენის კატეგორიული წინააღმდეგია. რესპუბლიკელებიც ამბობდნენ, რომ რუსები არასდროს დაუშვებდნენ აფხაზეთში ომამდელი სიტუაციის აღდგენას.

– თუმცა, ეს იქიდან ძალით გამოდევნილი ქართველების კანონიერი უფლებაა.

– ეს ქართველების კანონიერი უფლებაა საერთაშორისო სამართლის მიხედვით. აფხაზეთში მოხდა ეთნიკური წმენდა, რომელიც აღიარებულია ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს მიერ. მათ მიერ მიღებულ დოკუმენტებში, ყველგან წერია, რომ აფხაზეთში ეთნიკური წმენდა მოხდა. ეთნიკური წმენდა მოახდინეს ნაციონალ-სეპარატისტებმა და დღეს უკვე ოკუპანტებმა კონფედერატების დახმარებით. ეთნიკური წმენდის მსხვერპლი არის აფხაზეთის მოსახლეობა. აქ არ არის ეთნიკურ კუთვნილებაზე საუბარი ანუ მხოლოდ აფხაზებზე, მაგრამ გასაგებია, რომ ეთნიკური წმენდის მსხვერპლთა შორის უმეტესობა ქართველია. ამ პროექტის წარმატებით განხორციელება საზოგადოებასა და მსოფლიოს რომ დაანახვონ, რუსები გალის რაიონსა და ოჩამჩირის ნაწილში ქართველების დაბრუნებაზე ილაპარაკებენ. შემდეგ რუსეთი არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებს, რომ (თუნდაც საქართველომ აფხაზეთი აღიაროს. ღმერთმა ნუ ქნას. ამაზე ლაპარაკი ზედმეტია) იქაური დემოგრაფიული სიტუაცია აღდგეს, რადგან ნებისმიერ პოლიტიკურ პროცესს მოვიგებთ.

პეტრე მამრაძე დევნილების დაბრუნებას ითხოვს

ნათია ხურცილავა

ჰესჯღუბ „მედიაინფოში" ახასამთავრობო ორგანიზაცია „მართვის სტრატეგიის ინსტიტუტის" დირექტორმა პეტრე მამრაძემ ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.

პირველი კითხვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მოსკოვში ვიზიტსა და შემდეგ მის მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხებოდა.

როგორც ცნობილია, უწმინდესმა განაცხადა, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დევნილების დაბრუნებაში ვლადიმერ პუტინი ჩაერთვება.

პეტრე მამრაძე აცხადებს, რომ პატრიარქის ვიზიტი და შემდეგ განცხადება უაღრესად მნიშვნელოვანი იყო.

– პატრიარქის განცხადება უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. ჯერ კიდევ 2008 წლის დეკემბერში ჩამოიტანა პატრიარქმა ამბავი, რომ პერევიდანაც გავიდოდნენ და დევნილებსაც დააბრუნებდნენ, ამის მზადყოფნა მედვედევმა გამოთქვა მაშინ, მაგრამ მეორე დღესვე სააკაშვილმა პერევში ავანტიურა განახორციელა. ასე ჩაფარცხდა მაშინ ყველაფერი. ამჟამად არავითარი ძალა საქართველოს მთავრობაში არ არსებობს, რომელიც ეცდება უწმინდესის შედეგის ჩაშლას. პუტინი ცნობილია, როგორც თავისი სიტყვის შემსრულებელი. ადამიანი, რომელიც თუ რამეს იტყვის, ასრულებს. ამას აღიარებენ დასავლეთის ლიდერები, მაგრამ პრობლემა სხვაა, რა პირობებს დაუყენებენ დევნილებს თუ ისინი დაბრუნდებიან თავიანთ სახლებში. რა თქმა უნდა, პუტინი რაღაც ნაბიჯებს გადადგამს, მაგრამ რამდენად მისაღები იქნება ეს საქართველოს მოქალაქეებისთვის? – აცხადებს პეტრე მამრაძე.

კითხვაზე, ორმაგი მოქალაქეობის მოთხოვნის შემთხვევაში როგორი უნდა იყოს ქართული მხარის რეაქცია? ის პასუხობს:

– კატეგორიულად მოვითხოვ, რომ საქართველოს მთავრობამ ხელი შეუწყოს ჩვენს დევნილებს, რომ საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნდნენ. ამ შემთხვევაში ორმაგი მოქალაქეობის აღება მისაღებია და აუცილებელიც არის, – აცხადებს მამრაძე.

რაც შეეხება ვლადიმერ პუტინის აზერბაიჯანში ვიზიტს, ამის შესახებ მამრაძე აცხადებს, რომ აღნიშნული ვიზიტი არ მზადდება.

– ეს ვიზიტი არ მზადდება, ისე ჩადის პუტინი აზერბაიჯანში. ეს ვიზიტი მიანიშნებს იმას, რომ აზერბაიჯანი არ გავიდეს რუსეთის გავლენის ორბიტიდან. პუტინის მთავრობის პოლიტიკა ამაზეა ორიენტირებული. ლავროვის სენსაციური განცხადება, რომ დროა სომხეთის ჯარები ყარაბაღიდან გავიდნენ, ამას ემსახურება. რუსეთის მთავრობას არ უნდა, რომ სომხეთი მიწვეული იყოს ვილნიუსის სამიტზე და იქ რაღაც დოკუმენტს ხელი მოეწეროს. ეს ვიზიტი ასევეხორციელდება აზერბაიჯანის პრეზიდენტის არჩევნების წინა პერიოდში, რაც აღიქმება, როგორც მხარდაჭერა ილჰამ ალიევისადმი, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ აზერბაიჯანი არ გავა რუსეთის პოლიტიკური გავლენის სფეროდან, – აცხადებს მამრაძე.

პეტრე მამრაძე საშინაო პოლიტიკაზეც საუბრობს.

–საპრეზიდენტო არჩევნები ჩვენთვის მნიშვნელოვანია არ იმ კუთხით, რომელი კანდიდატი გაიმარჯვებს, არამედ იმით, თუ როგორ ასახავს ქვეყნის შიგნით ვითარებას და ძალთა განაწილებას. მარგველაშვილი პირველივე ტურში გაიმარჯვებს, რადგან ის ივანიშვილის კანდიდატია. ივანიშვილს სხვა კანდიდატი რომ წამოეყენებინა, სხვა გაიმარჯვებდა, – ამბობს მამრაძე.

რაც შეეხება ივანიშვილის გადაწყვეტილებას, რომ ახალ წლამდე დატოვოს პრემიერის პოსტი, ამას მამრაძე აფასებს, როგორც:

– ეს გადაწყვეტილება მას ჯერ კიდევ 2011 წელს ჰქონდა. მე ვიცნობ ამ პიროვნებას და ვიცი, მისი პრინციპია: ნაკლებს დაპირდი და მეტი შეუსრულე. ივანიშვილის განცხადება, რომ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ეს არის ყველაზე აუცილებელი და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. მან იცის, რომ სულ სხვა პროცესის დაწყება და გაგრძელებაა საჭირო. ამიტომ მე ვეთანხმები, რომ წავიდეს პრემიერის პოსტიდან და არა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებიდან, – ამბობს მამრაძე.

ხოლო ჩვენს კითხვაზე, ამ შემთხვევაში პრეზიდენტისა და უშიშროების საბჭოს მდივნის, გიგა ბოკერიას განცხადება, რომ ეს არის ქურდული მენტალიტეტის მქონე ადამიანის განცხადება, უხილავი ხელით მართოს, რამდენად ადეკვატურია? ამ საკითხზე პეტრე მამრაძე ფსიქოლოგიურ ფაქტორზე მიუთითებს:

– ნაციონალისტები სწორედ ასე მართავდნენ საქართველოს. ყველამ იცოდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს დავით ბაქრაძეს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს კოტე კუბლაშვილს, პრემიერ ნიკა გილაურს, ამ სამი დამოუკიდებელი შტოს ხელმძღვანელს ერთად ჰქონდათ გაცილებით ნაკლები წონა ხელისუფლებაში, ვიდრე მერაბი შვილის რომელიმე მოადგილეს. მერაბი შვილი არც იკადრებდა ამ ჩამოთვლილ ლიდერებთან დარეკვას, ეკა ზღუღაძეს ან შოთა უტიაშვილს დაარეკინებდა. მე ეს ძალიან კარგად ვიცი. ქურდული მენტალიტეტით მართვა ეს მათი გამოცდილებაა და ამიტომ აცხადებენ, რომ ასე იქნება ივანიშვილის შემთხვევაშიც. არადა, ასე ნამდვილად არ იქნება. ივანიშვილი ამბობს, რომ სამოქალაქო სექტორი უნდა გაძლიერდეს, რომ ხელისუფლება აკონტროლოს სწორედ საზოგადოებამ. ივანიშვილი ფიქრობს, რომ შექმნას სისტემა, რომელიც იქნება უმთავრესი და არა პიროვნება, როგორც აქამდე იყო. შტოებს შორის კონტროლი, სამოქალაქო სექტორის გაძლიერება, ეს უნდა იყოს უმთავრესი, რაზეც საუბრობს პრემიერ-მინისტრი, – აცხადებს პეტრე მამრაძე.

რაც შეეხება კითხვას, იქნება თუ არა ვადამდელი არჩევნები, ის მიიჩნევს, რომ ასეთი აუცილებლობა არ დადგება.

„ქუჩის ბიჭები" დაბრუნდნენ

ეკა ირემაშვილი

ჯგუფი „ქუჩის ბიჭები" დაბრუნდნენ. ისინი პირველ აგვისტოს ბათუმში პიაცას მოედანზე გრანდიოზულ სოლოკონცერტს გამართავენ, რომელშიც მონაწილეობას ბენდიც მიიღებს. „ფორ ფრენდს" (მეგობრებისთვის) – ასე ეწოდება მუსიკალურ კოლექტივს, რომელიც „ქუჩის ბიჭებთან" ერთად ბათუმში დაუკრავს.

მომავალ წელს „ქუჩის ბიჭები" იუბილარია. მას დაარსებიდან 20 წელი უსრულდება. ზურა ხაჩიძე, პაატა ხაჩიძე, გოგა ხაჩიძე, გურამ ლომიძე და ირაკლი ნოზაძე ერთმანეთს ბორჯომში შეხვდნენ და მუსიკალური ჯგუფის ჩამოყალიბება გადაწყვიტეს. 20 წლიანი არსებობის განმავლობაში მათ შემადგენლობითი ცვლილებებიც განიცადეს, ჯგუფი მალევე დატოვა გოგა ხაჩიძემ, მათ დროებით ჩამოშორდა ირაკლი ნოზაძეც, მალე ჯგუფი დაიშალა და მისი ერთ-ერთი წევრი გურამ ლომიძე ამერიკაში წავიდა. ჯგუფმა წლების შემდეგ გაერთიანება სცადა, ირაკლი ნოზაძის ნაცვლად ბიჭებმა პაატა ცეცხლაძე მოიწვიეს, თუმცა საბოლოოდ ისევ ძველი შემადგენლობით დაბრუნდნენ და პირველ აგვისტოს მონატრებულ მსმენელთან შესახვედრად ემზადებიან. როგორც თავად აცხადებენ, ბათუმის კონცერტზე შესრულდება ყველა ის ცნობილი სიმღერა, რომელიც მათი მსმენელისთვის განსაკუთრებით საყვარელია.

2014 წელი მათთვის საიუბილეოა. 20 წლის იუბილეს ისინი გრანდიოზული სოლოკონცერტით და საქართველოს რეგიონებში საკონცერტო ტურნეთი აღნიშნავენ. ამჯერად კი ქართულ შოუბიზნესში 7 წლიანი პაუზის შემდეგ

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, აღაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ღამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრეხზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

რუმინული გაკვეთილი „დინამოს“

„დინამო“ (საქართველო) – „სტიაუა“ (რუმინეთი) 2:0

თბილისი. დინამო არენა

0:1, 0:2, იანკუ (64, 80)

61-ე წუთზე ჩისკომ პენალტი ვერ გამოიყენა (მეკარე)

„დინამო“: ლორია, კვარაცხელია, სეთურიძე, უსტარიცი, გლიშიჩი, კვირკველია, ე.გრიგალაშვილი, ხმალაძე, ჩისკო (ვუო 67), დვალი (გოგა 79), მერებაშვილი (ხოჭოლავა 87)

„სტიაუა“: ტატარაშანუ, გეორგიევსკი, კირიკეში, შუკალა, ლატოვლევიჩი, ბურჩიანუ, პინტილი (გარდოში 84), პოპა, სტანკუ (იანკუ 46), ტანასე, ნიკოლიჩი (პიოვაკარი 57)

იწვალა „დინამომ“. მეტოქე გაცილებით მაღალი კლასის აღმოჩნდა, ვიდრე ამას დინამოელთა ხელმძღვანელობა და სამწვრთნელო შტაბი ვარაუდობდა. „სტიაუა“ ყველა კომპონენტში უკეთ გამოიყურებოდა და მათი მოგებაც ლოგიკურია, თუმცა, იყო მომენტი, რომელსაც შეეძლო, მატჩის მიმდინარეობა თუ არა, შედეგი მაინც შეეცვალა. საუბარი ჩისკოს გამოუყენებელ პენალტზეა. ერთია, თუნდაც რეალიზებული პენალტის შემდეგ რუმინელები უფრო მოუმატებდნენ, რადგან ამის რესურსი მართლაც ჰქონდათ. ვლახები თავისუფლად თამაშობდნენ და იგრძნობოდა, რომ მაქსიმუმს არ იყენებდნენ, გატანილი გოლის შემდეგ კი ხელ-ფეხი იმდენად გაეხსნათ, რომ ანგარიში კატასტროფული შეიძლება გამხდარიყო, მაგრამ, „სტიაუამ“ „დინამო“ დაინდო.

„დინამომ“ ერთი საყრდენით ითამაშა და პირველი შეცდომა აქ დაუშვა – რუმინელებმა ცენტრი თავიდანვე ჩაიგდეს ხელში და ბურთზე კონტროლიც მათ დააწესეს. განსაკუთრებით კარგი იყვნენ ფლანგელი ნახევარმცველები – ტანასე და პოპა. არც სხვებს დაეწუნებოდათ კლასი და ფაქტიც სახეზეა.

მატჩი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტებით დაიწყო. რამე სერიოზულს შექმნას, ვერცერთი გუნდი ვერ ახერხებდა. პირველი გამოსარჩევი მომენტი ტანასეს შეექმნა, როდესაც ნიკოლიჩმა ბურთი დაუტოვა და თბილისელთა საჯარიმოში მყოფმა სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ გიორგი ლორიამ კარი არ დაანება. 28-ე წუთზე, ჯაბა დვალმა მარჯვენა ფლანგზე გიორგი მერებაშვილი მოძებნა, რომელმაც ცრუმოძრაობით ბუქარესტელთა ერთ მცველს გვერდი აუარა და მის მიერ დარტყმული ბურთი ჩიპრიან ტატარუშანუმ მოიგერია, ხოლო დამატებაზე ელგუჯა გრიგალაშვილი არაზუსტად გაისარჯა.

ეს იყო და ეს – პირველ ტაიმში მეტი გამოსარჩევი არაფერი დაგვამახსოვრდა.

მეორე ტაიმის დასაწყისი „სტიაუასი“ იყო. ერთ-ერთი კონტრშეტევისას ტანასემ მარცხნიდან ჩააწოდა და „დინამოს“ საჯარიმოში მყოფმა პოპამ ოდნავ უზუსტოდ დაარტყა. მალევე თავად ტანასემ „გაისროლა“ და ლორიამ ბურთი კუთხურზე მოიგერია, რომელსაც ისევ პოპას დარტყმა და ლორიას კარგი თამაში მოჰყვა.

55-ე წუთზე რუმინელთა უიშვიათესი შეცდომით გლიშიჩმა ვერ ისარგებლა და სტუმართა საჯარიმოში ბურთიანად შესულმა ვერც დაარტყა და პასი ვერც მერებაშვილს მისცა.

ამის შემდეგ უსტარიცმა და პიოვკარმა უზუსტო თავური დარტყმები გაცვალეს და გადამწყვეტი მომენტიც დადგა.

მე-60 წუთზე ჩისკომ შუკალას აჯობა, მაგრამ ბოლო მომენტში რუმინელი ფეხებში ჩაუწვა და არ დაარტყმევინა. თუმცა, „დინამოს“ შეტევა გაგრძელდა და მარჯვნიდან მერებაშვილის მიერ ჩამოწოდებულ ბურთზე იასმინ ლატოვლევიჩმა ხელით ითამაშა. მსაჯმა პენალტი დანიშნა, რომელიც ჩისკომ უხეიროდ შეასრულა – ტატარაშანუმ ბურთი იოლად მოიგდო ხელთ.

63-ე წუთზე ტანასემ საშუალო მანძილიდან ძლიერად დაარტყა და ლორიამ ნახტომში ბურთი კუთხურზე უკუაგდო. 64-ე წუთზე „დინამოს“ მცველმა თავით გამოიტანა საჯარიმოდან, რომელსაც შეცვლაზე შესულმა იანკუმ ფეხი შეაგება და ლორიას შანსი არ დაუტოვა – 1:0.

72-ე წუთზე, მარცხნიდან ლატოვლევიჩის ჩაწოდების მერე, შეტევაში ჩართულმა შუკალამ ახლო მანძილიდან ანგარიშის გაზრდის საუცხოო შანსი ხელიდან გაუშვა. მე-80 წუთზე, ტანასე მარცხენა ფრთაზე სეთურიძეს ისევ იოლად გასცდა და თბილისელთა საჯარიმოში იანკუ მოძებნა, რომელმაც ერთი შეხებით დუბლი შეასრულა – 2:0.

85-ე წუთზე ბურჩიანუ ცრუ მოძრაობებით ორ დინამოელს გასცდა და საჯარიმოს მისადგომებიდან ოდნავ უზუსტოდ დაარტყა. ამ ეპიზოდიდან ერთ წუთში კირიკეშმა თითქმის ნახევარი მოედანი ბურთიანად ირბინა, გზად ღამის ყველა დინამოელი გააბითურა და საჯარიმოში შესულმა შორეულ კუთხეში „ჭვინტით“ დაარტყა, მაგრამ ლორიამ არ გაატანინა.

90-ე წუთზე პიოვაკარმა გრძელი რეიდი განახორციელა და პასი ტანასეს მისცა, რომელმაც ერთი შეხებით დაარტყა და ბურთი ძელს მოხვდა.

0:2 და „დინამო“ რუმინეთში უშანსოდ ჩადის.

მატჩის შემდეგ:

დუშან უჭრინი, „დინამოს“ მწვრთნელი:

– პირველ რიგში, მინდა, მეტოქე გუნდს მივულოცო გამარჯვება. აღვნიშნავ, რომ დღეს ძალიან ძლიერ გუნდთან მოგვიწია თამაში, თუმცა ვერგატანილ პენალტამდე საკმაოდ ნორმალურად თამაშობდა ჩემი გუნდი. საერთოდ, შემტევი ფეხბურთი „სტიაუას“ სტილი – ეს გუნდი ადრეც ასე თამაშობდა. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ რამდენიმე ძალიან ხელსაყრელი მომენტი გვქონდა გოლის გასატანად, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ, ხოლო ვერგატანილი პენალტის შემდეგ ძალიან მალე გავუშვით გოლი, რის შემდეგაც ჩვენს მეტოქეს ბევრი კარგი მომენტი შეექმნა.

– გუნდის წინაშე ძალიან რთული ამოცანა დგას. რას ფიქრობთ, რის ხარჯზე შეიძლება წარმატების მიღწევა რუმინეთში?

– ჩვენ გოლის გატანის რამდენიმე შანსი გვქონდა, თუმცა 0:2 დავმარცხდით, რაც კარგი ანგარიში არ არის. მომავალ შეხვედრაში ჩემი გუნდი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ სწრაფად გავიტანოთ პირველი გოლი, შემდეგ კი ყველაფერი შესაძლებელი იქნება.

– ჩისკოს შეცვლის მიზეზი რა იყო?

– უბრალოდ, მინდოდა, თამაშში რაღაც შემეცვალა. ჩისკომ მატჩი თავისი შესაძლებლობების ნახევარზე ჩაატარა. დვალს არა უშავდა, ნორმალურად გამოიყურებოდა. ასევე, მას შემდეგ, რაც მან პენალტი ვერ გაიტანა, შესაძლებელი იყო, რომ საერთოდ ამოვარდნილიყო მატჩის მსვლელობიდან.

– „დინამოს“ გასული წლის განმავლობაში „სტიაუასთან“ მიახლოებული დონის გუნდთანაც არ უთამაშია. შედეგზე იმან ხომ არ იქონია გავლენა, რომ გუნდი შეუჩვეველი იყო მსგავსი დონის მატჩს?

– აღვნიშნავ, რომ „სტიაუას“ ყოველთვის კარგი გუნდი ჰყავს ისტორიულად, თუმცა ყველაფერი შეიძლებოდა შეცვლილიყო იმ დანიშნული თერთმეტმეტრიანით, რომლის გამოყენების შემთხვევაშიც, სხვანაირად შეიძლებოდა მომხდარიყო ყველაფერი.

– რამდენად კმაყოფილი ხართ გიორგი მერებაშვილის თამაშით და ხომ არ დააბრუნებდით მას მისთვის საყვარელ მარცხენა ფლანგზე?

– არ მიმაჩნია, რომ მან მხოლოდ მარცხენა ფლანგზე უნდა ითამაშოს. ჩვენ თამაშის ჩვენი სტილი გვაქვს, თუმცა მატჩის შემდეგ აუცილებლად მექნება მასთან დისკუსია. მგონია, რომ მარჯვენა ფლანგზე სეთურიძე ხშირად რჩებოდა მარტო.

– თუ ამ ეტაპიდან გამოვვარდით, „დინამო“ ევროპის ლიგის ფლეი-ოფში განაგრძობს ასპარეზობას. აქედან გამომდინარე, ხომ არ იგეგმება შემადგენლობის გაძლიერება?

– ტრანსფერებზე საუბარი ჯერ ადრეა. ასევე დავამატებდი, რომ ამ ეტაპზე ეს ჩემს კომპეტენციაში არ შედის. საბედნიეროდ, 5 დღეში ირაკლი ძარია დაგვემატება. ის ჩვენი გუნდისთვის დიდი ძალაა. თვითონ გუნდის ძალის აღსანიშნავად კი იმას დავამატებდი, რომ ვერგატანილ პენალტამდე „დინამო“ კარგად თამაშობდა. ბიჭები 100 პროცენტით დებდნენ თავს მოედანზე და აკეთებდნენ, რაც შეეძლოთ. მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია. ყველამ შეიძლება მოიგოს ან წააგოს. დღეს ჩვენ გამოვედით დამარცხებულები.

ლაურენტიუ რეგეკამფი, სტიაუას მთავარი მწვრთნელი:

– პირველ რიგში, ყველას მინდა, მადლობა მოგახსენოთ გუშინდელი პრეს-კონფერენციის დასრულების შემდეგ აპლოდისმენტებისთვის. რაც შეეხება დღევანდელ თამაშს, კარგი მატჩი გამოდგა. მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ ძლიერ გუნდს ვეთამაშეთ. პენალტი რომ გასულიყო, შეიძლება სხვანაირად განვითარებულიყო მოვლენები. თუმცა მატჩის ბოლოს ჩემმა ფეხბურთელებმა მოუმატეს, უკეთ ათამაშდნენ, რისთვისაც მათი მადლობელი ვარ.

ბესიკ ლიპარტელიანი: „ფაჩულია და შენგელია ევროპისთვის გამორიცხულია“

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა დაბა პოდჩეტრტეკში მდებარე სლოვენიის საუკეთესო სპორტულ კომპლექს „ტერმე ოლიმიაში“ შეკრება 25 ივლისს დაიწყო. ტრავმების გამო ნაკრებს ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია აკლია, რომლებიც ჩვენს გუნდს ევროპის ჩემპიონატზე ვერ დაეხმარებიან. ეს ინფორმაცია დაადასტურა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა, რომელიც გასულ უქმეებზე სლოვენიაში იმყოფებოდა და ეროვნული გუნდის რამდენიმე ვარჯიშს დაესწრო...

ბესიკ ლიპარტელიანი:

– თავიდანვე ვიცოდით, რომ ნაკრები მაღალი დონის სპორტულ კომპლექსში მიემგზავრებოდა. თუმცა, ადგილზე ჩასულმა მართლაც საუკეთესო მოსამზადებელი პირობები ვნახე. „ტერმე ოლიმპია“ სლოვენიაში საუკეთესო სპორტულ კომპლექსად არის აღიარებული. იქ ყველა პირობაა, რომ სპორტსმენი უმაღლეს დონეზე, კომპლექსურად მოემზადოს.

– იყო სხვა ვარიანტებიც?

– რამდენიმე ვარიანტი გვქონდა, მაგრამ საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა „ტერმე ოლიმია“ აირჩიეს. ამის მიზეზი ისაა, რომ სხვა ვარიანტებში ჩვენს ნაკრებს სხვა გუნდებთან ერთად მოუწევდა სპორტკომპლექსში ცხოვრება, „ტერმე ოლიმპიაში“ კი მარტონი არიან. ეს სიმყუდროვისა და ვარჯიშებზე მაქსიმალურად ორიენტირების გარანტიას იძლევა.

– რამდენიმე ვარჯიშს დაესწარით და რას იტყვით ნაკრების მზადყოფნის დონეზე?

– როგორც იცით, ეროვნულმა ნაკრებმა თბილისში ფიზმომზადების ვარჯიშები გაიარა. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ გუნდის წევრები კარგ კონდიციაში არიან. შეიძლება ითქვას, რომ უცხოურ შეკრებას ნაკრები ასეთ კარგ ფორმაში არასდროს შეხვედრია.

– ეს ახალმა ფიზმომზადების მწვრთნელის მუშაობამ განაპირობა?

– უფრო იმან, რომ ფიზმომზადების მწრთნელი თბილისური შეკრების დასაწყისიდან გუნდთან ერთად იყო. არანაკლებ მნიშვნელოვანია ნაკრების ახალი ფიზმომზადების მწვრთნელ ალექსანდრ ჩვოროვიჩის ფაქტორიც. ის ძალიან კარგი პიროვნებაა და მას თავისი შეხედულებები აქვს ფიზიკური მომზადების სფეროში. ჩვოროვიჩი გარანტიას იძლევა, რომ გუნდის წევრები მზადყოფნის პიკში იქნებიან, თუ მის ვარჯიშებს ბოლომდე მიჰყვებიან.

– მოთამაშეები რამდენად მონდომებულები არიან?

– ბიჭები ძალიან მონდომებულები არიან. ახალგაზრდები გრძნობენ კონკურენციას და ბოლომდე იხარჯებიან.

– თორნიკე შენგელიას ამბავი როგორაა, მოასწრებს ევრობასკეტისთვის გამოჯანმრთელებას?

– შენგელიასა და ზაზა ფაჩულიას თამაში 100 პროცენტით გამორიცხა. მწვრთნელებმა ეს იციან და უკვე შესაბამის კომბინაციებს ამუშავებენ, რომლებიც მხოლოდ იმ მოთამაშეებზეა გათვლილი, რომლებიც ნაკრების შეკრებაზე იმყოფებიან. მალე საკონტროლო მატჩები დაიწყება და მწვრთნელები უფრო კარგად აწონ-დაწონიან ვითარებას, თითოეული მოთამაშის შესაძლებლობებს შეაფასებენ და ოპტიმალურ შემადგენლობას შეარჩევენ.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

შხტიორი(ყ)-შკენდერბუ	3:0
აუსტრია-ჰაფნარფიორდური	1:0
დინამო(თბ)-სტიაუა	0:2
კალიუ-პლზენი	0:4
ბაზელი-მაკაბი	1:0
ნორდსიელანდი-ზენიტი	0:1
პაოკი-მეტალისტი	0:2
დინამო(ზ)-შერიფი	1:0
პსვ-ვარეგემი	2:0
ლიონი-გრასჰოპერსი	1:0

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

დილას ხორვატიული გამოცდა ელის

დღეს გორის „დილამ“ ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს გამართავს ხორვატიულ „ჰაიდუკთან“. გორელები დანიური წარმატების შემდეგ სამშობლოში არ დაბრუნებულან და პირდაპირ მომდევნო მეტოქის ქვეყნისკენ, ხორვატიისკენ აიღეს გეზი.

სანამ გორელებზე ვისაუბრებთ, მისი მეტოქის შესახებ: „ჰაიდუკ სპლიტი“ 1911 წელს დაარსდა ქალაქ სპლიტში. გუნდის საშინაო არენა „პოლიუდ სტადიონი“ 1979 წელს აშენდა და ის 35.000 მაყურებელს იტევს. „სპლიტი“ ხორვატიის ექვსგზის, თორმეტი ვერცხლისა და ხორვატიის თასის ექვსგზის მფლობელია.

2012-13 წლების სეზონში „ჰაიდუკმა“ ხორვატიის თასი მეექვსედ მოიგო. ფინალში „ლოკომოტივს“ შეხვდა, რომელსაც გასვლაზე 3:3 ეთამაშა, ხოლო შინ 2:1 სძლია და თასს დაეუფლა. ხორვატიის 12-გუნდიან ჩემპიონატში „სპლიტმა“ 33 მატჩი ჩაატარა, აქედან 14 მოიგო, 10 ფრედ ითამაშა და 9 შეხვედრა დათმო. მოაგროვა 52 ქულა და მეოთხე ადგილს დასჯერდა.

კლუბს ევროთასებზე მონაწილეობის დიდი გამოცდილება აქვს. შარშანდელ სეზონში „სპლიტი“ ევროპის ლიგაზე მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთო. პირველი მეტოქე ლატვიური „სკონტო“ გახლდათ, რომელსაც შინ 2:0 სძლია, ხოლო გასვლითი მატჩი 1:0 დათმო და შემდეგ ეტაპზე გავიდა. მომდევნო მეტოქე ყველასთვის კარგად ცნობილი და იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი მილანის „ინტერი“ გახლდათ, რომელთანაც „სპლიტს“ წარმატების მისაღწევად ერთი ნაბიჯი დააკლდა. „ჰაიდუკი“ შინ უშანსოდ 3:0 დამარცხდა, თუმცა გასვლაზე იტალიელები საკმაოდ ანერვიულა და 0:2 სძლია მეტოქეს.

წელს გუნდი შედარებით დასუსტდა, რადგან აქცენტი ახალგაზრდა ფეხბურთელებზე გადაიტანეს, თუმცა პირველი ეტაპის გავლა მაინც მოახერხა. „ჰაიდუკმა“ საშინაო მატჩი 2:1 დაამარცხა „ტურნოვო“, ხოლო სტუმრად ფრედ, 1:1 ითამაშა და „დილასთან“ ჯახი მოუწია.

გია ისიანი, კლუბის მენეჯერი:

– კიდევ კარგი, დანიიდან საქართველოში არ დავბრუნდით და პირდაპირ ხორვატიაში წამოვედით. დროული იყო. ძალიან ცხელა და ადაპტაციაა საჭირო. გიორგი დევდარიანმა დანიური მატჩის შემდეგ მითხრა, რომ უპრიანი იქნებოდა, პირდაპირ ადრიატიკის პირას წამოვსულიყავით. სასტუმროინტერნეტით შევარჩიეთ. დაგვეხმარა ივო შუშაკი – საქართველოს კეთილი ნების ელჩი ხორვატიაში. პირობები მშვენიერია, მინდორი კი ცუდია, მძიმე გრუნტია.

მოკლედ, „დილას“ საკმაოდ საინტერესო და რთული მეტოქე ჰყავს, თუმცა ბრძოლა ნამდვილად შეიძლება.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი 1 აგვისტოს ხორვატიის ქალაქ სპლიტში ჩვენი დროით 23:00 საათზე შედგება. ამ დაპირისპირებას ისრაელის მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება, ხოლო 8 აგვისტოს საპასუხო მატჩი თბილისში გაიმართება.

რუსთავი საქართველოში ბრუნდება, ზესტაფონი თურქეთშია

რუსთავის „მეტალურგმა“ თურქულ შეკრებაზე მეოთხე ამხანაგური მატჩი გამართა. რუსთაველები „ისტანბულ ბბ“-ს შეხვდნენ და მინიმალური სხვაობით 1:0 დამარცხდნენ. გოლი თერთმეტმეტრიანი დარტყმით გავიდა. ამ შეხვედრით რუსთაველებმა თურქული შეკრება დაასრულეს. „მეტალურგი“ სამშობლოში დაბრუნდება. შეგახსენებთ, რომ რუსთაველებმა თურქეთში 12-დღიანი შეკრება „ფენერბახჩეს“ საწვრთნელ ბაზაზე გაიარეს.

გუნდის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ „ფოლადის“ სტადიონზე იგეგმება პრესკონფერენციის გამართვა, სადაც თურქულ შეკრებას „მეტალურგის“ მთავარი მწვრთნელი გელა სანაია შეაფასებს. ასევე მოხდება ახალწვეული ფეხბურთელების ოფიციალური წარდგენა.

ასევე თურქულ შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა“ კი პირველი დივიზიონის კლუბ „ადანასპორთან“ გამართა სპარინგი.

კლუბის პრესსამსახურის ცნობით, შეხვედრა საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და, იმის მიუხედავად, რომ საბოლოოდ ნულოვანი ფრეთი დასრულდა, საკმაოდ კარგი საყურებელი გამოდგა. ზესტაფონელთაგან ანგარიშის გახსნასთან ახლოს იყვნენ იგორ იელიჩი, გიორგი ადამია და ოთარ კვერნაძე, თუმცა „ადანასპორი“ ხან კარის ძელმა გადაარჩინა, ხანაც მეკარის საიმედო თამაშმა. გოლის გატანის შანსები თურქებსაც ჰქონდათ – ჯერ როინ კვასხვაძესთან პირისპირ გასულ ადანელთა ფორვარდს უმტყუნა სიზუსტემ, მერე კი თავის გუნდის გადარჩენა უკვე ზესტაფონელთა კიპერს მოუწია.

მეორე ტაიმი პირველივით მომენტებით მდიდარი აღარ გამოდგა, თუმცა გუნდები შეხვედრის ბოლო წუთამდე გამარჯვების მოსაპოვებლად იყვნენ მომართულნი. საგოლე შანსები ორივე მხარეს მიეცა, თუმცა ფრედ, 0:0 დასრულდა.

„ადანასპორთან“ შეხვედრაში ზესტაფონელთა შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: კვასხვაძე, ტერზიჩი, რენე დოს სანტოსი, თედო გრიგალაშვილი, კანდელაკი, რეკრუკი (შარიქაძე 58), ჭანტურიშვილი, იელიჩი (გაგოშიძე 15), სარდალიშვილი (კიკნაველიძე 75), ადამია (ლომია 80), კვერნაძე (ქობალია 58).

კულტურის სამინისტრო საგანგებო განცხადებას ავრცელებს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო საგანგებო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ:

„მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს გორში, სტალინის სახელმწიფო მუზეუმის ტერიტორიაზე, სტალინის ქანდაკების დადგმის ნებართვა გაცემულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ, სინამდვილეს არ შეესაბამება და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მცდელობას წარმოადგენს.

სტალინის ქანდაკების გორში განთავსებასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ჯერ კიდევ 2010 წლის 16 ივნისის №29 განკარგულებით.

2013 წლის 28 ივნისს, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილის საპასუხოდ, საკრებულოს მიერ შერჩეული ქანდაკების განთავსების ორი სავარაუდო ადგილიდან სამინისტრომ მხოლოდ ტექნიკური სახის რეკომენდაცია გაუწია პროექტის იმ ვერსიას, რომელიც ქანდაკებას მოიაზრებს, როგორც ექსპონატსა და სამუზეუმო კომპლექსის შემადგენელ ნაწილს (ქოხი, სადაც დაიბადა სტალინი, საგამოფენო სივრცე და სტალინის ვაგონი).

აქვე ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ გადაწყვეტილება სტალინის ქანდაკების გორში დადგმასთან დაკავშირებით სცდება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უფლებას და ის მხოლოდ გორის მუნიციპალიტეტის პრეროგატივას წარმოადგენს.

სამინისტრო მუშაობს სტალინის სახელმწიფო მუზეუმის ახალ კონცეფციაზე, რომლის განხორციელება დამთვალიერებლისათვის კიდევ უფრო თვალსაჩინოს გახდის საბჭოთა რეჟიმის სისასტიკეს“.

„ქუჩის ბიჭები“ დაბრუნდნენ

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ბრუნდებიან. მართალია მათ აღდგენა და გაერთიანება გასულ წელსაც სცადეს, თუმცა მაშინ ეს მონდომება სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი, რაც გურამ ლომიძის საქართველოში ხანმოკლე ვიზიტმა განაპირობა. მათ უკვე ჩაწერეს დუეტი ერთ-ერთ თაყვანისმცემელთან ანი ღონღაძესთან ერთად. სიმღერის ავტორი პაატა ფარცვანაია, ტექსტი „ქუჩის ბიჭებს“ ეკუთვნით. სიმღერაზე კლიპი უკვე გადაღებულია და მისი ავტორი თორნიკე გულაშვილია. კლიპის პრემიერა შემოდგომაზეა დაგეგმილი.

მომღერლები ახლა ბათუმში მყოფ მსმენელთან შესახვედრად ემზადებიან. „ქუჩის ბიჭებს“ აქვს ამბიცია, რომ საქართველოში შოუ ბიზნესი გამოაცოცხლონ, მაყურებელს მათ კონცერტზე ბილეთის შეძენის და, შესაბამისად, მასზე დასწრების სურვილიც ჰქონდეს. მათ უკვე ჩაწერეს ახალი სიმღერები და გადაიღეს კლიპი სიმღერაზე „გასულები“.

უფრო შორეული გეგმაა რიგით მეექვსე ალბომი, რომელშიც „ქუჩის ბიჭების“ მიერ გამოცემული ხუთივე ალბომიდან საუკეთესო სიმღერები გაერთიანდება. ჯგუფი გაჩერებას არ აპირებს და ახალ სიმღერებზეც აქტიურად მუშაობს.

ბათუმში დაგეგმილი „ქუჩის ბიჭების“ კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 10 ლარია. სექტემბერში კი მომღერლები თბილისელ ფანებს შეხვდებიან და სპეციალურად მათთვის კონცერტს გამართავენ.

ლეილა აბაშიძე იუბილარია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ქართველი იყო, რომლებიც თურმე მოუთმენლად ელოდნენ ჩემ გამოჩენას და ტაშით მხვდებოდნენ. მაშინ ჩემი და მამას ფოტოსთან ერთად დაიბეჭდა გაზეთში სტატია. ეს იყო პირველი რეცენზია, რომლითაც მე მაღიარა მაყურებელმა“.

აბაშიძეების ოჯახმა ძალიან დიდხანს არ იცოდა, რა ბედი ეწია რეპრესირებულ პატიმარს. მოგვიანებით მიუვიდათ მათ დახვრეტის ოქმი, მომავალი მსახიობის დედას გამოუცხადეს, რომ მისი მეუღლე დახვრიტეს:

– ოქმში წერია, დახვრეტის წინ, რომ გაჰყავდათ მამა, ოჯახის წევრების ჩამონათვალია და მოხსენიებულია ახლად დაბადებული ვაჟი, არის ზედ მამას ბოლო ხელმოწერა სიკვდილის წინ.

პატარა ლეილა დროებით ინტერნატში მიაბარეს და ციმბირშივე გაჩნდა მისი მესამე ძმაც. იქ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა და დედა იძულებული გახდა, შვილებთან ერთად საქართველოში დაბრუნებულიყო.

ლეილა აბაშიძე პირველად ეკრანზე გამოჩნდა 8 წლის ასაკში კონსტანტინე პიპინაშვილის ფილმში „ქაჯანა“, სადაც კატოს როლი შეასრულა. ამ ფილმში პატარა მსახიობი პარტნიორობას ნატო ვაჩნაძეს უწევდა:

– ვიყავი 8 წლის, ქართული არ ვიცოდი, რადგან დაწყებითი განათლება რუსეთში მქონდა მიღებული და ახალი ჩამოსული ვიყავი საქართველოში ციმბირიდან. ჩემი მამიდა სიხარულით მეუბნებოდა, რომ გაზეთში განცხადება ნახა – ფილმისათვის სჭირდებოდათ ცელქი, ანცი გოგონა და მაგ დროს მეც ძალიან ცელქი ბავშვი ვიყავი, ჩემთვის არც უკითხავთ თუ მსურდა გადაღება, მაგრამ აზრიც არ ჰქონდა, რადგან მე ფილმი ნანახი არ მქონდა, რა იყო კინო საერთოდ არ ვიცოდი. მიმიყვანეს სინჯებზე უშნოდ გაკრეჭილი, ჩაუცმელი, სასაცილო ბავშვი. შევედი ოთახში და როცა დავინახე ოციოდე გოგონა ერთმანეთზე უკეთესი კულულებით, ბაფთებით, ვიგრძენი, რომ ზედმეტი ვიყავი და სადღაც კედელთან გავჩერდი, ვიცოდი, რომ არ გამოვდგებოდი ამ საქმეში. მოვიდა ასისტენტი და მითხრა: გოგონა, თქვენ თავისუფალი ხართ, წაბრძანდით. ძველ სტუდიაში ერთი რკინისრიკულებიანი კიბეა, იმას მოვაჯექი ბიჭურად და ბზრიალით დავეშვი ზემოდან, ვღიღინებ რაღაცას და დავეჯახე ვიღაც კაცს. მას გაუკვირდა და მკითხა:

– გოგონა, საიდან მოდიხარო? – მე ვუპასუხე, ზემოდანთქო.

–იქრა გინდოდაო? – ვუთხარი, რომ კინოში გადაღება მინდოდა, მაგრამ არ მოვეწონე და წამოვედი.

– ძალიან გინდა კინოში თამაშიო? – ვუპასუხე, ძალიან, ძალიან-თქო! და, ეტყობა, იმდენი სურვილი ჩავაყოლე ამ ორ სიტყვაში, რომ მას გაეცინა. მომკიდა ხელი და მითხრა, ჩემთან წამოდიო და თურმე ეს გახლდათ თავად ფილმის დამდგმელი რეჟისორი კონსტანტინე პიპინაშვილი. შემეკითხა:

– და ან ძმა გყავსო? – მე ვუთხარი, რომ ორი ძმა მყავდა.

–ძალიან ცუდი ამბავი უნდა გითხრა, შენი ძმა დამუნჯდაო.

– რომელი? – ვიკითხე მე, თურმე ისეთი ტრაგიკული ხმით.

– უფროსიო – მამიდამ უკარნახა და მე წავიშინე თავში ხელი, ვეღარ გამაჩერეს, ვტიროდი, ცრემლები ღაპა-ღუპით მომდიოდა, ბოლოს და ბოლოს დამაწყნარეს და თურმე ეს იყო სინჯები, ასე დამამტკიცეს როლზე, – ასე იხსენებს მსახიობი თავის პირველ როლზე დამტკიცებას.

„ქაჯანა“, „ოქროს ბილიკი“, „აკაკის აკვანი“, „ქეთო და კოტე“, „გაზაფხული საკენში“, „შეხვედრა მთაში“, „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, „ჭრიჭინა“, „ჩვენი ეზო“, „აბეზარა“, „მაია წყნეთელი“, „ხევისბერი გოჩა“, „შეხვედრა წარსულთან“, „დიდოსტატის მარჯვენა“ – ეს იმ ფილმების მცირე ჩამონათვალია, რომელშიც მსახიობმა მონაწილეობა მიიღო. ერთ-ერთი ბოლო ფილმი, რომელშიც იუბილარმა მსახიობმა მიიღო მონაწილეობა, ორიოდე წლის წინ გადაღებული სურათია „როცა ბებიას პაემანზე მიეჩქარება“.

ლეილა აბაშიძემ ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის სიკო დოლიძის ფილმში „შეხვედრა წარსულთან“ ლენინგრადის საკავშირო კინოფესტივალის პირველი პრემია მიიღო. კონსტანტინე პიპინაშვილთან ერთად დაწერა სცენარი „მოლოდინი“, რომელიც შოთა და ნოდარ მანაგაძეებთან ერთად გადაიღო. შექმნა მრავალი კომედიური და დრამატული სახე. არის მხატვრული ფილმების „მოლოდინი“, „კოშკები სდუმან“ სცენარის ავტორი, მხატვრული ფილმის „თბილისი, პარიზი, თბილისი“ სცენარის ავტორი და რეჟისორი.

80 წლის იუბილესთან დაკავშირებით თბილისში, კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ ლეილა აბაშიძის ვარსკვლავი გაიხსნა. ვარსკვლავის გახსნამდე კინოთეატრში მსახიობის პატივსაცემად საღამო გაიმართა, რომელსაც ქართული კინოს ცნობილი მოღვაწეები და ხელოვანები, აგრეთვე, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. საღამოზე ლეილას მონაწილეობით ცნობილი კინოფილმების კადრები, ბიოგრაფიული ფოტოები, ფოტოსესიები და ინტერვიუ იყო ნაჩვენები, აგრეთვე, ჰოლივუდის და ევროპული კინოს ვარსკვლავებთან ერთად გადაღებული მისი ფოტოები, სადაც საინფორმაციო პორტალების შეფასებით: „ქართველი ვარსკვლავი ოდრი ჰეპბერნსა და ჯინა ლოლობრიჯიდას სილამაზეში ტოლს არ უდებს“. მსახიობი მის პატივსაცემად მოწყობილ ღონისძიებაზე ემოციებს ვერ მალავდა და საინტერესო მოგონებების გახსენებასთან ერთად საზოგადოებას თავისი ლექსიც წაუკითხა. ხოლო ვარსკვლავის გახსნის შემდეგ განაცხადა:

– მე დღეს მეორედ დავიბადე. ადრე თუ გვიან, აღარ ვიქნები ამ ქვეყანაზე და ეს ვარსკვლავი კი, სადაც ჩემი სახელი და გვარია ამოტვიფრული, მუდამ იარსებებს. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ეს რამხელა პატივია ჩემთვის. მით უმეტეს, რომ ჩემი ვარსკვლავი დიდებული, გენიალური ქართველი მსახიობი ქალის, ნატო ვაჩნაძის ვარსკვლავის გვერდით გაიხსნა. დიდი მადლობა, უპირველეს ყოვლისა, ქართველ ერს, ჩემს მაყურებელს, დიდი მადლობა ყველა იმ რეჟისორს, ვისაც ამ ვარსკვლავის გახსნაში წვლილი მიუძღვის, რადგან მათ ფილმებში მათამაშეს. მე ამას აღვიქვამ, როგორც უდიდეს ჯილდოს. ამ ბედნიერ დღეს ღმერთს ვთხოვ, რომ გენიალური ქართული კინო ისევ აღორძინდეს და უფრო მეტი ბრწყინვალებით წარდგეს მაყურებლის წინაშე. ჩემთვის ერთი ვარსკვლავი ცოტაა. მე მინდა საქართველო ვარსკვლავების ქვეყნად იქცეს.“

ვარსკვლავთან ერთად ლეილა აბაშიძე არაერთი ჯილდოსა და პრემიის მფლობელია, ის საქართველოს დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, ჩეჩნეთ-ინგუშეთის სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქეა, დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, მიღებული აქვს პირველი პრემია ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ფილმში „შეხვედრა წარსულთან“, მინიჭებული აქვს ლენინგრადის საკავშირო კინოფესტივალის, მეორე მსოფლიო ფესტივალის პირველი პრიზი ტოკიოში.

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურის დღეები ჩინეთში გაიმართება

2 და 3 აგვისტოს ქართული კულტურის დღეები ჩინეთში გაიმართება. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ჩინეთის ქალაქ პეკინში საქართველოს კულტურის დღეები მოეწყობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლები „რუსთავი“ და „ბათუმი“.

როგორც კულტურის სამინისტრო იუწყება, 2 აგვისტოს დაგეგმილია ქართული ანსამბლების პირველი საკონცერტო გამოსვლა. 3 აგვისტოს კი სახელმწიფო ანსამბლები ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საკონცერტო დარბაზ „ძინთაის“ სცენაზე წარდგებიან.

კონცერტს დაესწრებიან ჩინეთის სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებისა და პეკინში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

საქართველოს კულტურის დღეების ფარგლებში, აგრეთვე დაგეგმილია გიორგი პაჭკორიას მიერ დამზადებული ქართული კერამიკის, კერძოდ, ქართული ღვინის ჭურჭლის მინაბაძების გამოფენა.

ეკა ირემაშვილი

მხატვართა კავშირი 80 წლისაა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

და გამოყენებითი ხელოვნების, ხელოვნებათმცოდნეობის განვითარების ხელშეწყობა, ქართული ხელოვნების პოპულარიზაცია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. მხატვართა შემოქმედების, რეწვისა და ხალხურ ოსტატთა მხარდაჭერა. ზრუნვა კავშირის წევრთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის, ხელშეწყობა პროფესიული საავტორო უფლებების დაცვისათვის. საქართველოს მხატვართა კავშირში ჩამოყალიბებულია რეგიონალური განყოფილებები, მათ შორის, აჭარის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, ქუთაისის, თელავის, ფოთის, ზუგდიდის და შემოქმედებითი სექციები – ფერწერის, გრაფიკის, გამოყენებითი ხელოვნების, ქანდაკების, მონუმენტური ხელოვნების, კრიტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის, კინოსა და თეატრალურ-დეკორატიული, კომისიები – ხალხური ოსტატების, ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის. კავშირი ხელმძღვანელობს საწარმოო საქმიანობას, აწყობს სამეცნიერო-შემოქმედებით კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, პლენერებს, რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებს, მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში, ეწევა საგამომცემლო საქმიანობას, აწესებს პრემიებს, წარადგენს მხატვართა კავშირის წევრებს სახელმწიფო ჯილდოებზე.

გულიკო ჭუმბაძე, მხატვართა კავშირის წარმომადგენელი:

– ჩვენი კავშირი 80 წლის იუბილეს სხვადასხვა ღონისძიებებით აღნიშნავს. მთელი წელია ჩვენი იუბილე და გამოფენები წლის ბოლომდე გაგრძელდება. გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა იყო ქარვასლაში, იყო სახვითი ხელოვნება წარმოდგენილი, როცა რუსთაველის გამზირი მთლიანად გადავკეტეთ, ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა მოვაწყვეთ „მე მიყვარს ხატვა“, ქუთაისელი მხატვრების გამოფენები იყო „მუზაში“, აფხაზ მხატვართა ნამუშევრები წარმოვადგინეთ, სხვადასხვა ექსპოზიციები მოვაწყვეთ, ამჯერად კი ლატვიელი მხატვარი წარმოადგენს თავის ნამუშევრებს ჩვენი იუბილეს ფარგლებში.

– მთელი წელი აპირებთ იუბილეს აღნიშვნას?

– რა თქმა უნდა. სექტემბერში გვაქვს ყოფილ ცისფერ გალერეაში, ახლა უკვე დიმიტრი შევარდნაძის სახელობის გალერეაა, გამოფენა, სადაც წარმოვადგენთ სახვითი ხელოვნების ნიმუშებს. გვექნება დაჯილდოება ღვაწლმოსილი მხატვრების, მოხდება კატალოგის პრეზენტაცია ბერძენი შვილის კულტურის ცენტრში „მუზა“. პირველ აგვისტოს დანიშნული გამოფენაც ერთგვარი იუბილეს მოლოცვაა ჩვენთვის ბალტიისპირელი მხატვრების მიერ.

– სხვა უცხოელი ხელოვანებიც ჩაერთვებიან თქვენს იუბილეში?

– დიახ. ამჯერად ლატვიელი ხელოვანები გაგვაცნობენ თავის ნამუშევრებს, ეს არის გამოყენებითი ხელოვნება, აბრეშუმზე ხატვა, რასაც ჩვენ ბატიკაზე ხატვას ვეძახით. ოღონდ ეს არის აბრეშუმზე ხატვა. ოქტომბერში ბელგიელი მხატვრები ჩაერთვებიან ჩვენი კავშირის 80 წლის იუბილეში. ჩვენ მთელი წელი გაწერილი გვაქვს უკვე და ყველა თვეს სხვადასხვა საიუბილეო ღონისძიება გვექნება. ჩვენი იუბილეს ღონისძიებების ხელშემწყობია კულტურის სამინისტრო, ქალაქის მერია და ამჯერად სამხატვრო აკადემია.

–ლატვიელი მხატვრის ნამუშევრები როდემდე იქნება გამოფენილი?

– 5 აგვისტოს ჩათვლით. ამჯერად კი შარდენის 19-ში ოთარ შარაბიძის გამოფენაა. ეს მხატვარი თურქეთში მოღვაწეობს. ეს ექსპოზიცია ემიგრანტთა თემაა, რომელიც კიდევ გაგრძელდება. ეს იქნება არა 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოწყობილი გამოფენები, არამედ ეს უკვე ცალკე ციკლი იქნება. სამწუხაროდ, ბევრი ქართველი ემიგრანტი მხატვარია უცხოეთში. ამჯერად უკვე 100-მდე ქართველი მხატვრის სია მაქვს, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს. ყველა ეს ხელოვანი კავშირის წევრია, ამიტომ ჩვენ ვეცდებით მათი შემოქმედება საქართველოში მცხოვრებ მათ თანამემამულეებს გავაცნოთ.

ეკა ირემაშვილი

ჯოსვოხდი ბ

შვეულად: 2. ნახევარკუნძული ევროპაში; 3. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 4. რაიმე საქმეში, პროექტში კაპიტალის დამბადებელი პირი; 5. საჯარისო შენაერთი; 6. ღომში ჩახარშული სულგუნით მომზადებული მეგრული კერძი; 8. სისხლის თეთრი ბურთულაკების წარმომქმნელი შინაგანი ორგანო; 11. რაიმე ცნების, იდეის, სიდიდის პირობითი ნიშანი; 14. კარსტულ მღვიმეში ძირიდან ზემოთკენ აღმართული კონუსისებური სვეტი; 15. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 16. ვარდების ბაღი; 17. სახალხო თავყრილობა ძველ რომში; 19. ლირიული სიმღერა; 21. კავკასიის აღპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 22. ფშავ-ხევსურეთის ძველი სახელწოდება.

თარაზულად: 1. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. პოპულარული ბრაზილიური ყავა; 7. ბაყაყის ძველი სახელწოდება; 9. ქართველი ფიზიოლოგი, აკადემიკოსი; 10. პოპულარული ჰოლანდიური ლუდი; 12. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 13. ლუთერანული ეკლესიის უფროსი მღვდელი; 16. ძვირფასი სამახსოვრო ნივთი; 17. ჩრდილო და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 18. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 20. წელიწადის მეოთხედი; 22. იტალიური საავტომობილო კომპანია; 23. ფრანგული ბულდოგი; 24. ქართული რადიო; 25. დენის ძაბვის საზომი ერთეული.



შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პალერმო; 2. თხემი; 3. ზარანდია; 4. სავანა; 5. ვერსაჩე; 6. სახიობა; 11. შაორი; 13. ოპერეტა; 14. ბონისტიკა; 15. დინოზავრი; 17. იადონი; 18. პურადი; 19. დოხა.

თარაზულად: 7. თაბახი; 8. „ნაცარქექია“; 9. „ბეშუმი“; 10. „ბარახასი“; 12. მონოგრაფია; 14. ბლენდა; 16. ნიველირი; 18. პანსიონი; 20. ტრასა; 21. „გზა“; 22. კოსტიოლი; 23. შოვი; 24. კარალიოკი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ექოლოტი; 3. ეპიტაფია; 4. ადაპტაცია; 5. მძივი; 6. „ოსკარი“; 8. კვაისა; 11. ლომბერი; 14. ექსტერიერი; 15. წერეთელი; 16. „რეზონანსი“; 17. ყაურმა; 19. ალფონსი; 21. ტონგა; 22. ბლუზი.

თარაზულად: 1. გენეტიკა; 5. მუცო; 7. ჯაკუზი; 9. მოდიფიკაცია; 10. კალმარი; 12. არამისი; 13. ბოცვერი; 16. რარიტეტი; 17. ყავა; 18. ღალია; 20. „ევერტონი“; 22. ბიეფი; 23. კოლომბო; 24. „ნადური“; 25. გოგრა.

აშშ სნოუდენის მიერ გახმაურებულ დოკუმენტებს გამოაქვეყნებს

აშშ სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლის ედვარდ სნოუდენის მიერ გასაჯაროებული, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს პროგრამების შესახებ დოკუმენტებს გამოაქვეყნებს.

ამის შესახებ საგენტო „როიტერი“ იტყობინება.

საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნება, შესაძლოა, მიმდინარე კვირასაც მოხდეს.

სააგენტოს ინფორმაციით, შესაბამისი გადაწყვეტილება ეროვნული დაზვერვის სამსახურის დირექტორის ჯეიმს კლეპერის განცხადებას უკავშირდება, რომელმაც განაცხადა, რომ სპეცსამსახურების საქმიანობა უფრო ღია უნდა გახდეს.

გამოქვეყნებული დოკუმენტები ნათელს მოჰფენს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს პროგრამებს, რომლის შესახებაც ინფორმაცია სნოუდენმა გააჟღერა, ასევე ცნობილი გახდება თვალთვალზე სასამართლოს საიდუმლო ორდერის შესახებაც, რომელიც ასევე ფიგურირებს სნოუდენის საქმეში.

„ვფიქრობ, ეს სწორი გადაწყვეტილებაა. ეს შესაძლებელს გახდის ყველამ ნახოს რის გაკეთებას ვცდილობთ და როგორ ვცდილობთ“, – განაცხადა ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ხელმძღვანელმა კიტ ალექსანდერმა.

შეგახსნებთ, რომ აშშ-დან გამოქცეულმა სნოუდენმა, რომელიც თავს მოსკოვს აფარებს, მედიას გადასცა ინფორმაცია ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს საქმიანობის, კერძოდ სატელეფონო ზარების მოსმენის, ინტერნეტ-აქტივობების კონტროლისა და სხვა საქმიანობის შესახებ

ედვარდ სნოუდენის მამამ, ლონ სნოუდენმა „რასია-24-სთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ მისი შვილის ადგილზე რომ იყოს, რუსეთში დარჩებოდა.

მან ასევე იმედი გამოთქვა, რომ რუსეთის ხელისუფლება მის შვილს დროებით თავშესაფარზე უარს არ ეტყვის: „მე მიმაჩნია, რომ რუსეთს გააჩნია შესაძლებლობა დაიცვას ჩემი შვილი და აარიდოს მათ, ვისაც ედვარდისათვის ზიანის მოტანა შეუძლია. ამიტომ, მე რომ მის ადგილზე ვიყო, რუსეთში დავრჩებოდი“.

მან ასევე მადლობა გადაუხადა „რუს ხალხს, ვლადიმერ პუტინს და ქვეყნის მთავრობას მათი სიმამაცისათვის“.

ედვარდ სნოუდენმა რუსეთის ხელისუფლებას დროებითი თავშესაფრის მინიჭების თხოვნით მიმართა.

ზიმბაბვეში პრეზიდენტს ირჩევენ

ოთხშაბათს ზიმბაბვეში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. როგორც ვარაუდობენ, არჩევნებზე დასწრება მაღალი იქნება.

„ბი-ბი-სის“ ინფორმაციით, სამშაბათს პრეზიდენტმა რობერტ მუგაბემ, რომელიც ქვეყანას 33 წელია მართავს, განაცხადა რომ თუ არჩევნებში დამარცხდა-გადადგება.

ამ განცხადებამდე პრემიერ მორგან ცვანგირის პარტიამ „მოძრაობა დემოკრატიული ცვლილებებისათვის“ მუგაბეს პარტია „პატრიოტული ფრონტი“ საარჩევნო სიების გაყალბებაში დაადანაშაულა.

ქვეყანაში საარჩევნო კამპანიამ მშვიდ ვითრებაში ჩაიარა. არჩევნების ოფიციალურ შედეგებს რამდენიმე დღეში გამოაქვეყნებენ. როგორც აღნიშნავენ, საარჩევნო სიებში ე.წ „მკვდარი სულების“ არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა.

ზიმბაბვეს პრეზიდენტს, სახელმწიფოს მეთაურს მოსახლეობა 6 წლის ვადით ირჩევს.

სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო, ქალაქ სოხუმის პედაგოგიური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალაქ სოხუმის მე-15 საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი, აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი

ალექსანდრე (საშა) ნარსია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა: 1 აგვისტოს.

მისამართი: მეტრო „დელისი“, დელისის მე-3 ქუჩა №24, სმენადაქვეითებულთა სკოლა-ინტერნატი (დევნილთა საერთო საცხოვრებელი).

პალიკო ესებუა ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება ბიძაშვილის მეუღლის

ველოდი ფარცვანიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ქეტრინ ეშტონი: მოჰამედ მურსი კარგ პირობებშია

ეგვიპტის გადაყენებული პრეზიდენტი მოჰამედ მურსი კარგ პირობებში იმყოფება, თუმცა მისი ადგილმდებარეობა უცნობია, – განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა საგარეო ურთიერთობათა საქმეებში ქეტრინ ეშტონმა კაიროში დაპატიმრებულ ექს-პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ.

ეშტონი მურსის ორშაბათს საღამოს შეხვდა. შეხვედრა ორ საათს გრძელდებოდა. ბარონესას თქმით, მათ საკითხთან ფართო სპექტრი მიმოიხილეს. თუმცა ეშტონმა ამ საუბრის დეტალების გამხელისგან თავი შეიკავა. „არ მინდა მისი სახელით ვისაუბრო“, – განაცხადა ეშტონმა.

მისივე თქმით, ექსპრეზიდენტს აქვს უფლება უყუროს ტელევიზორს და იკითხოს გაზეთები. ის ასევე თვალყურს ადევნებს ქვეყანაში მოვლენების განვითარებას.

ბოლო 12 დღის განმავლობაში ეს ეშტონის რიგით მეორე ვიზიტია ეგვიპტეში. ამ დროის განმავლობაში მურსის 70 ზე მეტი მომხრეა დაღუპული უსაფრთხოების ძალებთან შეტაკებაში.

მურსის მომხრეები კვლავ აქციებისათვის ემზადებიან. დროებითმა მთავრობამ უკვე გაკეთა განცხადება, რომ კანონდამრღვევებს მკაცრად გაუსწორდებიან.

ეშტონი ასევე შეხვდა ეგვიტის შეიარაღებული ძალების სარდალს და დროებითი მთავრობის მინისტრებს.

„ბი-ბი-სისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ეშტონი ჰყვება, რომ სამხედრო ობიექტამდე ის მთელი ღამის განმავლობაში მიდიოდა. გზის ნაწილი მან ვერტმფრენით დაფარა, ნაწილი კი ტრანსპორტის სხვა დასხვა სახეობებით.

მისივე თქმით, მურსი ჯანმრთელობას არ უჩივის და კარგ ხასიათზეა.

„ჩვენს შეხვედრამდე ნახევარი საათით ადრე მას უთხრეს, რომ მე მივდიოდი. ვფიქრობ, მას ჩემი დანახვა გაუხარდა. მასტან ერთად ორი მრჩეველია. ისინი იქ ერთად არიან. ეს სამხედრო ობიექტია. მურსის კარგად უვლიან“, – განაცხადა ეშტონმა.

ამ ფონზე, ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი და მისი კოლეგა ლინდსი გრემი მომავალ კვირას ეგვიპტეში ჩავლენ. შესაბამისი განცხადება სენატორებმა გააკეთეს.

მაკკეინის თქმით, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ თხოვნით მიმართა სენატორებს, რათა ისინი ჩავიდნენ ეგვიპტეში და სამხედრო ხელისუფლება ახალი არჩევნების ჩატარების აუცილებლობაში დაარწმუნონ.

მაკკეინს და გრემს აღნიშნულ საკითხზე სხვა კომენტარი არ გაუკეთებით, თუმცა აღნიშნეს, რომ შეეცდებიან მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ეგვიპტეში შერიგების პროცესს.

გრემის თქმით, მათი მისიის მიზანია ეგვიპტის ხელისუფლებასთან მიიტანონ იდეა ქვეყანაში სამოქალაქო მმართველობის აღდგენის შესახებ.

თავად თეთრი სახლი სენატორების ეგვიპტეში დაგეგმილი ვიზიტის შესახებ კომენტარს არ აკეთებს.

შეგახსენებთ, რომ ივლისის დასაწყისში პრეზიდენტი მუსრი სამხედროებმა ხელისუფლებას ჩამოაცილეს. ქვეყანაში სამხედრო დაპირისპირება არ წყდება.

ბრეივიკმა ოსლოს უნივერსიტეტში ჩაბარების თხოვნით რექტორატს უკვე მიმართა

ანდერს ბრეივიკმა, რომელმაც 2011 წელს 77 ადამიანი მოკლა, ოსლოს უნივერსიტეტში მიღებაზე განცხადება შეიტანა.

უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა პიტერ ოტერსენმა განცხადების მიღების ფაქტი დაადასტურა. მისი თქმით, აბიტურიენტების ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ.

ოსლოს ცენტრში მოწყობილი აფეთქებისა და კუნძულ უტოიაზე ახალგაზრდულ ბანაკზე თავდასხმისათვის, ბრეივიკს მაქსიმალური სასჯელი 21 წელი მიუსჯეს.

ანდერს ბრეივიკი სწავლობდა სმესტადის დაწყებით სკოლაში, რისის საშუალო სკოლაში, სრული ზოგადი განათლება კი ჰართვიგ ნისენის სკოლაში მიიღო. უმაღლეს განათლებას ინტერნეტით ეუფლებოდა, ნორვეგიის მენეჯმენტის სკოლაში. 1999 – 2003 წლებში, ანდერს ბრეივიკი საკომუნიკაციო კომპანია „თელიას“ ქოლ ცენტრში მუშაობდა.

აზერბაიჯანის ხელისუფლება გამჭვირვალე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების პირობას დებს

აზერბაიჯანის საპრეზიდენტო არჩევნები სამართლიანად და გამჭვირვალედ ჩაივლის და გამარჯვებული ყველაზე ღირსეული კანდიდატი გახდება.

აღნიშნულის შესახებ 30 ივლისს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პოლიტიკური საკითხების განყოფილების ხელმძღვანელმა ალი ჰასანოვმა განაცხადა.

ჰასანოვის თქმით, აზერბაიჯანის მთავრობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად საარჩევნო პრაქტიკის დახვეწაზე მუშაობს: „ჩვენ უეთოს, ევროკავშირისა და ევროსაბჭოს შესაბამის სტრუქტურებთან ერთად გარკვეულ სამუშაოებს ვაწარმოებთ“, – აღნიშნა გასაანოვმა.

ჩინოვნიკის თქმით, ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველს თავისუფლად შეეძლება საკუთარი ნების გამოვლენა და არჩევნები გამჭვირვალე იქნება.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაური აირჩევა 5 წლის ვადით პირდაპირი და საყოველთაო არჩევნების გზით. იგი ამავე დროს ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია.

მოსკოვში „ოსტანკინოზე“ გაჩენილი ხანძრის შედეგად 1000 ადამიანის ევაკუაცია მოხდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კოშკების საერთაშორისო ფედერაციაში. 2005 წლისთვის ის რჩებოდა ევრაზიაში უმაღლეს, ცალკე მდგომ სტრუქტურად.

ანძის მშენებლობა 1963 წელს დაიწყო და 1967-ში დასრულდა. მას ათი წლის განმავლობაში მსოფლიოს უმაღლესი სტრუქტურის ტიტული ეჭირა, სანამ მას ტორონტოს ტელეანძა (კანადა) გაუსწრებდა. 2003 წელს გაზეთებში იუწყებოდნენ, რომ კოშკზე ახალ ანტენას ამონტაჟებდნენ, რაც ანძის სიმაღლეს 577 მეტრამდე გაზრდიდა. თუმცა გადამოწმების შემდეგ დადგინდა, რომ ახალი ანტენა იგივე სიმაღლის იყო.

2000 წლის 27 აგვისტოს ანძაზე ხანძარი გაჩნდა, რამაც სატელევიზიო და რადიო გადაცემების შეწყვეტა გამოიწვია მოსკოვისა და მის შემოგარენში მცხოვრები 18 მილიონი ადამიანისთვის. ხანძარმა სამი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ხანძარი დაახლოებით 98 მეტრი სიმაღლეზე გაჩნდა საობსერვატორიო პლატფორმიდან და მეშვიდე ცის რესტორნიდან, რის გამოც იქ მყოფი მთელი პერსონალისა და მნახველების ევაკუაცია გახდა საჭირო. ელექტრონული მოწყობილობის სიძველის (მისი უმეტესობა 60-იან წლებში იქნა დამონტაჟებული) და 20 წლის განმავლობაში აღდგენითი სამუშაოების ჩაუტარებლობის გამო, დანაკარგი უზარმაზარი იყო.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

ხუთშაბათი 1 აგვისტო

08.00 დ/ფ " კოდის კონცხი" **09.10** საბ. მხ/ფ "**ნენსი დრიუ**" **11.00** "ეკონომ მენიუ" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.35** მხ/ფ "**პარი პოტერი და ფენიქსის ორდენი**" **15.00** ან/სერ. "ტარატაბონგი" **15.05** ტ/სერ. "**ჭორიკანა**" **17.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.00** დ/ფ "სიცოცხლე" **19.05** ტ/სერ. "**მაგდა ემი**" **21.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **22.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **23.00** მხ/ფ "**ჩვენი მამების დროშები**"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" **3** ნაწ. **14.00** დ/ფ "პოლვირილიო-სიჩქარის ფილოსოფოსი" **16.00** დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" **4** ნაწ. **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

08.00 მხ/ფ."**სცენის პარკვლავი**" **10.00** სერ. "**დაუვიწყარი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ცივი გული**" **1** სერ. **12.30** მუსიკალური ლიგა (გ/ჩ) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **16.00** სერ. "**დაბალული სიმარილე**" **17.50** სერ. "**მაგნატები**" **18.50** სერ. "**აკრძალული სიყვარული**" **21.00** სერ."**დაბრუნება**" **22.00** ქ/სერ. "**შუა ქალაქში**" (გ/ჩ) **23.00** ქ/სერ. "**ცხელი ქაღალი – 4**" **1** სერ. **00.15** მხ/ფ. "**სიყვარულის დღესასწაული**" (მ.ფრიმენი)

08.00 მხ/ფ **10.00** სერ. "**სიყვარული მშვენიერია**" **11.00** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** ქარო. მხ/ფ **14.00** სერ "**ერთგულების ქალა**" **15.30** კომედი შოუ (გ/ჩ) **17.00** სერ. "**ნამდვილი გრძნობა**" **18.50** სერ. "**ტიტების დრო**" **22.00** პროფილი **23.00** სერ. "**სისრულის თეორია**" **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერი დაივჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** მხ/ფ "**დები ბრონტეები**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.05, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.30, 21.05** ლექსით ქებათა ქება **10.35** დოკ/ფ "გალობის რაინდები" **11.20** ეთნოგრაფია **11.30** ეპოქის სახელები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**მოიტანეთ თამარ ქალი**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **14.45** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" **15.55** დოკ/ფ "ვაჟკაცსა კარგ უნდა ჰყვანდის ცხენია" **16.25** კონცერტი -სიმფონიური მუსიკის კონცერტი (გია ყანჩელი) **17.45** ეთნოგრაფია **18.10** ტელეზღაპარი **18.30** ქრისტიანული სწავლება **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ლუკას სახარება**" **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების სალონი **22.25** დოკ/ფ "პატრიარქობის ჯვარისმტვირთველი" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "იქ ცა და მიწა ერთდება" **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) **02.15** ნიამორი

7.00, 0.00, 2.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** მულტფილმები **9.30** მაგთიფანი (გამ.) **10.00** გადაცემა "პულსი" (გამ.) **10.30** მალვიძარა (კოლაჟი) **11.00, 15.40, 17.30, 2.30** ფარული კამერა **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.40, 22.20, 3.30** თოქ–შოუ - "არგუმენტები" **14.40, 22.00, 1.30, 5.30** "ყოველდღიური აბები" **16.00 სერიალი "შპორმი"** **18.05, 0.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "1001 ღამე"**

8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი **8.05, 9.05, 10.05** ახალი დილა **11.05, 20.00 სერიალი "ბაბილი შსამი"** **12.30, 17.30** როგორ შევხვდი დედაშენს **13.10, 14.30, 5.00** ცხელი შუადღე **15.30** ჩემიანი **16.10, 17.10, 23.30, 7.00** დოკ/ფ **18.00, 1.50** ღია თამაში **22.00, 3.50** მთავარი კითხვა **0.20** მხ/ფ

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 1,6541
- ევრო — 2,198
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,545
- 100 რუსული რუბლი — 5,0345

ამინდის პროგნოზი 1 აგვისტოსთვის

მოსკოვში „ოსტანკინოზე“ გაჩენილი ხანძრის შედეგად 1000 ადამიანის ევაკუაცია მოხდა

რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტრომ ოსტანკინოს ტელეანძაზე მომხდარი ხანძრის ორი სავარაუდო მიზეზი დაასახელა.

სამინისტროს საზედამხედველო საქმიანობის დეპარტამენტის დირექტორის იური დუშევიხის განცხადებით, ხანძარი ელექტროგაყვანილობამ, ან დეკორაციის დამზადებისას ტექნოლოგიური პროცესის დარღვევამ გამოიწვია.

აალება წუხელ, მხატვრული დეკორაციის დასამზადებელ საამქროში მოხდა. ბოლო მონაცემებით, დამწვარია 200 კვადრატული მეტრის ფართი.

ხანძრის გამო ოსტანკინოს ათასამდე თანამშრომლის ევაკუაცია მოხდა, არავინ დაშავებულა.

მომხდარის გამო „ოერტე“ სარეზერვო მაუწყებლობაზე გადაერთო, ხოლო „ენტევე პლიუსი“ იძულებული გახდა საფეხბურთო მატჩის კომენტირება შეეწყვიტა.

ოსტანკინოს ტელეანძა ცალკე მდგომი სატელევიზიო და რადიო გადამცემი ანძაა მოსკოვში. 540 მ სიმაღლის ოსტანკინოს პროექტი ეკუთვნის ნიკოლაი ნიკიტინს და გაწევრიანებულია უდიდესი

გაგრძელება მე-11 გვერდზე

ასტროპროგნოზი 1 აგვისტოსთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
შემოქმედებითი დღეა

ვერძი — თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ, დაჯილდოვდებით კიდეც. **კურო** — საქმეს ბოლომდე მიიყვანეთ, პასუხისმგებლობა არ მოიხსნათ. **ტყუპები** — არ აყვეთ პროვოკაციას, თავი შეიკავეთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — არ აჩქარდეთ, ყველაფერს მოასწრებთ. **ქალწული** — ახლობლები გეხმარებიან, დაბრკოლებას ადვილად გადალახავთ. **სასწორი** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **ღრიანკალი** — ზედმეტი აქტიურობა საჭირო არ არის. **მშვილდოსანი** — ახალი პროექტი გაამართლებს, ფულს იშოვით. **თხის რქა** — იმიჯის შეცვლა სტიმულს მოგცემთ, შეხვედრაზე წახვალთ. **მერწყული** — თქვენი საქმე კარგად მიდის, შეძლებული ადამიანი გეხმარებათ. **თევზები** — გზიდან ვიღაც ჩამოვა, მისგან ახალ ამბავს გაიგებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ა

შვეულად: 1. მე-17 საუკუნის ესპანელი ფერმწერი; 2. ფულის ერთეული სომხეთში; 3. მიწის სათხრელი მანქანა; 4. ვირგილიუსის ეპიკური პოემა; 5. ლითონის ჩაღრმავებული ფორმა შრიფტის ჩამოსასხმელად; 6. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 11. სამონასტრო კომპლექსი გორის მახლობლად; 13. სამხრეთ ამერიკის აღმომჩენი იტალიელი ზღვაოსანი; 14. კომიკური ოპერების სახელწოდება გერმანიასა და ავსტრიაში; 15. ატმოსფერული წნევის საზომი ხელსაწყო; 17. დიდი სპორტული შეჯიბრება ნიჩბიანი, იალქნიანი და მოტორიანი ნავებით; 18. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული მუქი ყავისფერი ძვირფასბეწვიანი პატარა ცხოველი; 19. ტოკიოს ძველი სახელწოდება.

თარაზულად: 7. მეფის სიგელი; 8. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 9. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 10. გეომეტრიული ფიგურა; 12. გამდნარი თუჯიდან ფოლადის მიმღები აპარატი მეტალურგიაში; 14. ტყეში ბინადარი ეკლებიანი ცხოველი; 16. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 18. აშშ-ს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრი; 20. ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 21. ელექტროობის წინააღმდეგობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 22. ბუნებრივი წყალვარდნილი; 23. რძის პროდუქტი; 24. შიგაწვის ძრავის მქონე ორთვლიანი მანქანა.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა



ნორლანდი საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს სტუმრობდა

საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი სტუმრობდა. სეოკ-ის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა, პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა, ვიცე-პრეზიდენტებმა ნინო სალუქვაძემ და მამუკა ხაბარელმა, გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა საპატიო სტუმარს ქართული ოლიმპიური მოძრაობის ისტორია გააცნეს, ასევე მიაწოდეს ინფორმაცია „თბილისი 2015“-ის თაობაზე და გაისად სეოკ-ის დაარსების 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე ლერი ხაბელოვმა აღნიშნა, რომ სეოკ-ი არაერთი ქვეყნის ოლიმპიურ კომიტეტთან ნაყოფიერად თანამშრომლობს და კარგი იქნებოდა, თუ აშშ-ის ეოკ-თანაც გაფორმდებოდა მემორანდუმი. იქვე ხუმრობით დასძინა, რომ პირველად მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკებში სწორედ რიჩარდ ნორლანდის სამშობლოში, კერძოდ, კოლორადოში გახდა, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს დებიუტი ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში 1996 წელს ატლანტაში შედგა.

ლერი ხაბელოვი:

– უპირველესად, მინდა მადლობა გადაგიხადოთ 23 ივნისს ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილ გარბენში მონაწილეობისთვის. სასიამოვნოა, რომ გამონახეთ დრო და ოლიმპიურ კომიტეტში გვეწვიეთ. ჩვენი და თქვენი ქვეყნის სპორტის ბიუჯეტი ერთმანეთს ვერც შეედრება, მაგრამ სპორტული ტრადიციებით მართლაც მდიდრები ვართ.

რიჩარდ ნორლანდი:

– მოხარული ვარ, რომ დღეს ოლიმპიურ კომიტეტში ვარ. ჩვენ ქვეყნებს ერთმანეთთან ახლო ურთიერთობები აკავშირებთ და, რა თქმა უნდა, სპორტშიც გგულშემატკივრობთ. ვიცი, რომ საქართველო დიდი სპორტული ტრადიციების ქვეყანაა. ისიც ვიცი, რომ 2015 წელს მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიების მასპინძლობა გელით. ოლიმპიადა ძალზე ამაღელვებელი ფორუმია. ახლახან მარათონში მონაწილეობამ კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ საქართველოში ოლიმპიურ სულისკვეთებას ბევრი ადამიანი იზიარებს. მინდა, წარმატებები გისურვოთ.

შეხვედრის დასასრულს აშშ-ის ელჩმა ოლიმპიური ბიბლიოთეკა და მუზეუმი დაათვალიერა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მხატვართა კავშირი 80 წლისაა

საქართველოს მხატვართა კავშირი 80 წლისაა. ამ მნიშვნელოვან იუბილეს კავშირის ხელმძღვანელობა და მისი წევრები სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით აღნიშნავენ.

პირველ აგვისტოს შარდენის ქუჩაზე სამხატვრო აკადემიასთან არსებული გობელენის მუზეუმში გაიმართება საქართველოს მხატვართა კავშირის 80 წლისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენას გამართავენ ლატვიელი მხატვრები ევგენია და ილონა სტურე, წარმოდგენილი იქნება აბრეშუმზე შესრულებული სხვადასხვა კომპოზიციები. გამოფენა კულტურის სამინისტროს, მერიის და სამხატვრო აკადემიის მხარდაჭერით გაიხსნება.

საქართველოს მხატვართა კავშირი დაარსებიდან 80 წლის იუბილეს მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებებით აღნიშნავს. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმმა საქართველოს მხატვართა კავშირთან ერთად წარმოადგინა საქართველოს მხატვართა კავშირის 80 წლის საიუბილეო გამოფენა.

საქართველოს მხატვართა კავშირი 1933 წელს ცნობილი მხატვრის, დიმიტრი შევარდნაძის ინიციატივით დაფუძნდა. მას შემდეგ შეიქმნა კავშირები საქართველოს სხვა რეგიონებში, მათ შორის აფხაზეთსა და აჭარაში. საზოგადოებას, სხვადასხვა პერიოდში, ქართული მხატვრობის არაერთი ცნობილი წარმომადგენლები ხელმძღვანელობდნენ. დღეს ის 1700-ზე მეტ მხატვარს და ხელოვნებათმცოდნეს აერთიანებს.

თბილისის ისტორიის მუზეუმმა საიუბილეო თარიღს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ექსპოზიცია მიუძღვნა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ნამუშევრები სტილის სხვადასხვაობითა და მრავალფეროვნებით, რაც ნათლად ასახავდა ქართულ მხატვრობაში არსებულ შემოქმედებით პროცესებს.

საიუბილეო გამოფენაზე 200-მდე მხატვრის შემოქმედება გამოიფინა. „ქარვასლაში“ მოწყობილ ექსპოზიციაზე გამოიფინა ნამუშევრები შესრულებული გამოყენებითი ხელოვნების ყველა დარგში – თექაში, ბატიკაში, მინანქარში, გობელენში. ექსპოზიციისთვის შეირჩა 20-მდე ქართველი გარდაცვლილი მხატვრისა და 180-მდე თანამედროვე მხატვრის ნამუშევრები. მათ შორის, ნანო ჩოტკოველის (კერამიკა), გოგი ქართველიშვილის (კერამიკა), მედეა ჩიხლაძის (ბატიკა), გია იაშვილის (კერამიკა), რაისა ეკალაძის (კერამიკა), გულიკო ჭუმბაძის (დეკორატიული მინა), ეკატერინე აბესაძის (მინანქარი) ნამუშევრები.

საქართველოს მხატვართა კავშირის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებები სახვითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენების ციკლით გაგრძელდება და მთელი წლის განმავლობაში ნებისმიერ მსურველს შეეძლება სხვადასხვა საგამოფენო სივრცეში წარმოდგენილი ნამუშევრები დაათვალიეროს.

საქართველოს მხატვართა კავშირი არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. იგი მემკვიდრეა 1916 წელს დიმიტრი შევარდნაძის მიერ დაარსებული ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სამუზეუმო საქმისა და სამხატვრო ცხოვრების განვითარებას. საქართველოს მხატვართა კავშირის მიზანია ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება და დაცვა. სახვითი

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ლეილა აბაშიძე იუბილარია

ქართული კინოს ვახსოვრავი ლეილა აბაშიძე პირველ აგვისტოს იუბილარია. მართალია, ოგორც წესი, ქალს ასაკს არ ეკითხებიან, მაგრამ ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ იუბილარ ხელოვანს 84 წელი შეუსრულდა.

ლეილა აბაშიძე ათეულობით წლებია ქართულ კინოს ემსახურება. იგი არა მარტო მსახიობია, არამედ რეჟისორი და სცენარისტიც არის. მსახიობის დებიუტი შედგა კონსტანტინე პიპინაშვილის ფილმში „ქაჯანა“, სადაც კატოს როლი შეასრულა. თეატრალური უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ კი „ქართულ ფილმში“ მომუშავე ცნობილ რეჟისორებთან ერთად არაერთი დაუვიწყარი როლი შექმნა.

რთულმა ბავშვობამ მის ცხოვრებაზე თავისებური კვალი დატოვა. ცნობილია, რომ მსახიობის მამა რუსეთში ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა. ის 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა და ციმბირში გადაასახლეს. ლეილას დედა მეუღლეს-

თან სიახლოვის გამო, მედმუშაკად წავიდა ციმბირში და თან ქალიშვილიც წაიყვანა. პატარა ლეილამ და დედამ რეპრესირებული ოჯახის წევრი მხოლოდ ციხის გისოსებს მიღმა ნახეს, ახლოს მისვლა არ შეიძლებოდა, ეკრძალებოდათ და მხოლოდ შორიდან ესალმებოდნენ ერთმანეთს. როგორც მსახიობი იხსენებს:

„იყო გახლართული მავთულები, სადაც 220 ვოლტი დენი გადიოდა, ვერ მიეკარებოდი, იქვე დედამ ერთი ადგილი იცოდა, დადგებოდა და შორიდან შეუმჩნევლად დაუქნევდა ხელს მამას, ისიც ჩუმად მიესალმებოდა. მე პატარა ვიყავი, დავიმახსოვრე ის ადგილი, გავძვრებოდი-გამოვძვრებოდი ყოველდღე, მივიდოდი იქ, ხან სიგარეტს გადავუგდებდი მამას, ის გამომხედავდა ასე მადლიანი თვალებით და მხოლოდ ეს იყო ჩვენი შეხვედრები“.

ციხეში პატიმრებისათვის გამართულ სპეციალურ კონცერტზე პატარა ლეილაც გამოდიოდა, რომელიც მთელი შთაგონებით კითხულობდა ლექსებს. მის გამოჩენას იქ მყოფი ყველა გადასახლებული ქართველი განსაკუთრებით ელოდა, მეორე დღეს კი ერთ-ერთმა საბჭოთა გაზეთმა დაწერა: „გუშინ საპატიმროს სცენაზე ნამდვილი ვარსკვლავი დაიბადა, ეს გოგონა დიდი მსახიობი იქნება“. ამ პერიოდს მსახიობი ასე იხსენებს:

– მამამ, რომელიც ბუნებით ხელოვნების მოყვარული კაცი იყო, მოიფიქრა კონცერტი ტუსაღებისათვის და მე ვკითხულობდი ლექსს ლენინზე. ისე განვიცდიდი სიტუაციას, რაც ჩვენს გარშემო იყო, რომ მთელ განცდებს ვაქსოვდი ამ ლექსში, იქ ბევრი

გაგრძელება მე-10 გვერდზე